პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76) მდივნის 10—58) ღამის მორიგის 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—20 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

სამშაბათი, 11 დეკემბერი, 1928 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 286 (2329)

დღიური

- მუშების თავდასხმა ლოძის რეფორმისტულ პროფკავშირზე
- ამხ. ანდრე მარტი კვლავ მისცეს პასუხისგებაში.
- სამხრეთ-სლავიის მთავრობა აძლიერებს ტერორს ხორვატიაში.
- ესტონეთის მთავრობამ დაამტკიცა რეის მთავრობა.
- თებერვლიდან ძალაში შევა ნანკინის მთავრობის მიერ შემუშავებული ახალი საბაჟო ტარიფი.
- პოლონური გაზეთების რედაქციებზე თავდასხმებთან დაკავშირებით ლვოვში დააპატიმრეს 40 უკრაინელი.
- მექსიკა ახალი არეულობის წინ.

კანტონის აჯანყების წლის თავი

ერთი წლის წინედ, 1927 წლის 11 დეკემბერს, ჩინეთში უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამბავი მოხდა: აჯანყებულმა მუშებმა, გლეხებმა და ჯარის ნაწილებმა კომუნისტების ხელმძღვანელობით კანტონში ხელთ ჩაიგდეს ძალა-უფლება.

ეს ის პერიოდი იყო, როცა გომინდანმა საბოლოოდ გასცა ჩინეთის ხალხის რევოლიუციონურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და მშრომელ მასებს ჯალათის როლში მოევლინა. იმ ძლევამოსილ ბრძოლის პროცესში რომელიც მანამდე ჩრდილოეთის ფეოდალური ფრაქციის და იმპერიალისტების წინააღმდეგ სწარმოებდა და, რომელშიაც მუშურ-გლეხური მასები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, — თვით სამხრეთ ჩინეთში ვითარდებოდა კლასობრივი ბრძოლა. ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული და ეკონომიურად უაღრესად დამონებული მშრომელი მასები სულ უფრო დაჟინებით მოითხოვდნენ თავის ინტერესების დაცვას და ამის მიხედვით ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრების გარდაქმნას. ამასთან იზრდებოდა გავლენა კომპარტიისა, რომელიც მათ რაზმავდა ბრძოლისათვის ამ მოთხოვნილების მისაღწევად.

და აი, გომინდანმა, რომელიც ვითომ მომხრე იყო სოციალური რეფორმების გატარების და რომლის დროშაზე ეწერა რეაქციის მოსპობა და ჩინეთის განთავისუფლება უცხოელთა ძალადობისაგან, — მაშინვე გამოაშკარავა თავისი ნამდვილი სახე, როცა მოძრაობამ მიაღწია იმ დონემდე, რომ ბურჟუაზიის განუკითხავ ბატონობას საფრთხე ემუქრებოდა, როცა საჭირო შეიქნა მასების მიმართ ცარიელ დაპირებებიდან საქმეზე გადასვლა, — გომინდანმა თავისი მახვილი ამ მასების შესამუსრავად მოაბრუნა. სამხრეთ ჩინეთში გამეფდა რეაქცია, რომელიც თავისი სიმკაცრით არაფრით ჩამოუვარდებოდა ჩან-ძოლინის თეთრ ტერორს.

აქედან იწყება სრულიად ახალი ხანა ჩინეთის რევოლიუციაში. სწარმოებს ჩინეთის სოციალურ ძალთა მკაფიო გამიჯვნა, მუშურ-გლეხური მასები ახდენენ თავის რიგების რევოლიუციონურ მობილიზაციას, როგორც გამცემელ გომინდანის, ისე იმპერიალიზმის წინააღმდეგ. გომინდანის ხელისუფლების დამხობა კანტონში და იქ მუშათა და გლეხთა ძალაუფლების გამოცხადება—ამის უმაღლესი გამოხატულება იყო.

თავის თავად ცხადია, მთელი ჩინეთის ბურჟუაზია ფეხზე დადგა წითელი კანტონის გასანადგურებლად. ამ მიზნით გაერთიანდენ სამხრეთის მილიტარისტების ყველა ჯგუფები და მათ დროებით დაივიწყეს მისცეს ურთიერთი უთანხმოებანი. ისინი ყოველმხრიდან შეესიენ რევოლიუციონურ კანტონს და სისხლში ჩაახრჩვეს ის მანამდე, სანამ აჯანყებული მასები მოასწრებდნენ რამოდენიმედ ფეხის მომაგრებას და ბრძოლის გაფართოვებას.

ბურჟუაზია შეუდგა საშინელ შურისძიებას, რომლის მსგავსი ისტორიას არ ახსოვს. აი, მაგ., რა დირექტივას იძლეოდა გომინდანის „მემარცხენე“ ლიდერი ვან ცზინ-ვეი: „აუცილებელია დაუყოვნებლივ, ყოველ შებრალების გარეშე, ამოსწყვიტოთ დარჩენილი კომუნისტები. არ უნდა დავინდოთ ახალგაზრდობაც, თუ გინდ ის დამნაშავე იყოს მხოლოდ მხურვალე სიტყვების წარმოთქმაში. აუცილებელია შესწყვიტოთ ყოველგვარი მასიური მოძრაობა, მოსპოთ ყველა, ვინც გარეულია გლეხურ და მუშურ მოძრაობაში“. და ეს ველური ბრძანება მტკიცედ სრულდებოდა; რომ არ ვილაპარაკოთ კომუნისტებზე, ათასობით ჟლეტდნენ და აწამებდნენ მუშებს და გლეხებს, ყველა იმათ, ვიზედაც ეჭვი ჰქონდათ, რომ არამც თუ მონაწილეობდა რევოლიუციონურ ბრძოლაში, არამედ თანაუგრძნობდა მას.

ამავე დროს გაჩაღდა გაგიჟებული კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. უდანაშაულო საბჭოთა მოქალაქეთ აპატიმრებდნენ, სცემდნენ, სდევნიდნენ. — მოკლულ იქნა — საბჭოთა ვიცე-კონსული კანტონში. ნანკინის მთავრობამ, რა თქმა უნდა, უსაფუძვლოდ, საბჭოთა საკონსულო და ჩვენი სხვა ორგანოები გამოაცხადა აჯანყების სულის ჩამდგმელებად და ორგანიზატორებად და შესწყვიტა საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა. — აშკარა იყო, რომ ამ შემთხვევაში მას, პროლეტარიატის დიქტატურის სიძულვილთან ერთად, ამოძრავებდა ინგლისელ იმპერიალისტების გულის მოგების სურვილი. რეაქციონურმა კურსმა შიგნით გომინდანი ბუნებრივად წამოაჩოქა იმპერიალიზმის წინაშე და საბჭოთა კავშირის მიმართ ავანტიურის გზაზე დააყენა.

ყველა ამის შედეგი ჩინეთის განთავისუფლების საქმისათვის თვალწინ გვაქვს: იმპერიალისტების მძიმე უღელი კვლავ კისერზე ადგას ჩინეთის ხალხს. იაპონიამ მოახდინა შანდუნის ოკუპაცია, ის დაეუფლა მანჯურიას. ნანკინი იძულებულია დასთანხმდეს დამამონებელ ხელშეკრულებებზე იმპერიალისტებთან. ინგლისი და იაპონია ახორციელებენ მთლიან ფრონტს თავის პრივილეგიების განსამტკიცებლად ჩინეთში. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. გომინდანი ყოველნაირად ახშობს მშრომელთა მოძრაობას, ხოლო მათ დახმარების გარეშე წარმოუდგენელია იმპერიალიზმთან წარმატებით ბრძოლა ამავე დროს მისი მტრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან, რომელიც დაჩაგრულ ხალხთა დამოუკიდებლობის სადარაჯოზე დგას, მსოფლიო ყაჩაღებს უადვილებს ჩინეთის დამონებას.

მაგრამ ჩინეთის მშრომელი მასები, მიუხედავად უსასტიკესი რეპრესიებისა, რასაც ისინი განიცდიან,—არ არიან გატეხილნი. ისინი კვლავ ირაზმებიან, რომ გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართონ თავის შინაურ და საერთაშორისო მტრებს. კანტონის მუშების პირველი გმირული ცდა, მათი ისტორიული ინიციატივა ამ მხრივ ჩირაღდანია მთელი ჩინეთის მშრომელთათვის. დღეს, კანტონის აჯანყების წლის თავზე, ჩინეთის მშრომელნი გადახედავენ განვლილ ბრძოლის გზას და მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისათვის დაცემულთა წინაშე ფიცს დასდებენ გამარჯვებით დაასრულონ ის საქმე, რომელსაც მათ სიცოცხლე შესწირეს.

პროფკავშირების მე-8 ყრილობა

ორი წელიწადი, რომელიც გავიდა პროფკავშირების მე-7 სრულიად საკავშირო ყრილობიდან, წარმოადგენს საბჭოთა კავშირის გაძლიერებული სამეურნეო მშენებლობის პერიოდს და სოციალისტური მშენებლობის შემდგომში გაშლის საქმეში არსებულ სიძნელეთა დაძლევის პერიოდს.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ახორციელებს პროფკავშირების აქტიური მხარის დაჭერით, დასახა სხვადასხვა უმნიშვნელოვანესი პრობლემა და, პირველ რიგში, ჩვენი მრეწველობის გაშლა-გაფართოება მისი ტეხნიკური დონის ამაღლების ნიადაგზე. ეს გაშლა-გაფართოება უზრუნველჰყოფს საბჭოთა კავშირისათვის ეკონომიურ დამოუკიდებლობას და საშუალებას აძლევს მას „შედარებით მინიმალურ ისტორიულ ვადაში დაეწიოს, ხოლო შემდეგ გაუსწროს მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ინდუსტრიალურ განვითარების დონეს“ (საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობის რეზოლიუცია). პროფკავშირების მეშვიდე სრულიად საკავშირო ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „პროფკავშირების და სამეურნეო ორგანოებმა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თავიანთი ყურადღების ცენტრში უნდა მოაქციონ საწარმოო პროცესების და მუშა ხელის რაციონალიზაციის საკითხები“.

უკანასკნელ წლებში ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის შეუფერხებელმა განვითარებამ და ამ განვითარების საფუძველზე საფაბრიკო-საქარხნო პროლეტარიატის მატერიალური მდგომარეობის (რომელიც გასცილდა ომის წინადროინდელ დონეს) შესამჩნევად გაუმჯობესებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა მუშათა მასების კულტურული დონის და პოლიტიკური აქტივობის ასამაღლებლად და იმ ახალ მუშაკთა ფართო კადრის შესაქმნელად, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ სოციალიზმის მშენებლობაში

მაგრამ სოციალისტური მშენებლობის გაშლა-გაფართოება მუშათა კლასის აქტივობის გადიდებასთან ერთად იწვევს აგრეთვე მისდამი მტრულად განწყობილი ჯგუფების (ნეპმანის, კულაკის, ბურჟუაზიული ინტელიგენციის) აქტივობის ზრდას და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას, განსაკუთრებით სოფლად. პროლეტარიატის კლასობრივი მტრების ეს აქტივობა, რომელიც ვითარდება, მიუხედავად მუშათა კლასის ეკონომიური და პოლიტიკური პოზიციის განმტკიცებისა მოითხოვს პროლეტარიატის უფრო მტკიცედ და მჭიდროთ შეკავშირებას, მოითხოვს მეტს აქტივობას პროფესიონალური კავშირების მხრივ.

პროფკავშირებმა მუშათა კლასის მასიურმა ორგანიზაციებმა—საკავშირო კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობით თვალსაჩინო შედეგებს მიაღწიეს თავიანთ მუშაობაში: პროფორგანიზაციებში წარმოებებზე შეიქმნა მუშათა აქტივი, გაძლიერდა მუშაობა მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის და ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად, შესამჩნევად გაძლიერდა პროფორგანიზაციების კავშირი მუშათა მასებთან პროფკავშირული დემოკრატიის მეთოდების ფართოდ გატარების გზით, გაუმჯობესდა კავშირების საფინანსო მუშაობა და, დასასრულ, კავშირების მუშაობაში საბოლოოდ დაძლეულ იქნა სამხედრო კომუნიზმის ეპოქის მეთოდები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროფკავშირთა წევრების რიცხვი თვალსაჩინოდ გაიზარდა (9 პროცენტით). ამგვარად, კავშირებში გაერთიანებულ მშრომელთა რიცხვი ამჟამად 11.060.000 კაცამდე აღწევს.

ამ მუშაობის შედეგად, რომელსაც პროფკავშირები აწარმოებდნენ წევრთა მასიდან ახალი აქტივის დასაწინაურებლად, პროფკავშირთა ორგანოების შემადგენლობა მნიშვნელოვნად განახლდა. მოვიყვანთ ციფრებს: საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების შემადგენლობა განახლდა 62 პროცენტით, საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების განთავისუფლებულ წევრთა რიცხვი 44 პროცენტს უდრის, პროფსაბჭოების პრეზიდიუმთა შემადგენლობა განახლდა 58 პროცენტით, გამგეობების და განყოფილებების შემადგენლობა—63 პროცენტით, პროფსაბჭოების თავმჯდომარეების და მდივნების შემადგენლობა—34 პროცენტით, ცენტრალურ კომიტეტების—21 პროცენტით.

მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით საკმაოდ აქტიურად და გადაჭრით ვერ ტარდება ცხოვრებაში პროფკავშირების უმნიშვნელოვანესი ამოცანა—ყველა მუშის ჩაბმა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობაში, სახელმწიფოს მმართვა-გამგეობის და მრეწველობის ხელმძღვანელობის საქმეში. ჩვენი შემდგომი მიღწევები სოციალისტური მშენებლობის დარგში სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მონაწილეობას მიიღებს ამ საქმეში საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი. წარმოებათა რაციონალიზაციის, მრეწველობის სწორი ხელმძღვანელობის და ბიუროკრატიზმთან ნაყოფიერი ბრძოლის უზრუნველსაყოფად პროფკავშირებმა მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციონ მუშებისა და მუშა-ქალების დაწინაურებას სამეურნეო, სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციების ყველა საფეხურზე.

პროფმუშაობის დეფექტების გამოაშკარავების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თვითკრიტიკის ფართოდ გაშლას. ამავე დროს მრავალ საწარმოსა და დაწესებულებაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ისეთ მდგომარეობას, როცა მუშას ეშინია კრიტიკით გამოსვლა, რადგან ჯერ კიდევ არ მოუღებია ბოლო მუშების დევნას (აშკარად ან ფარულად) კრიტიკისათვის. აქედან გამომდინარეობს პროფორგანიზაციების ამოცანები: თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა, ენერგიული ბრძოლა თვითკრიტიკის შეფერხების ყოველგვარ ცდასთან ვისგანაც არ უნდა გამომდინარეობდეს ის და რა ფორმებშიაც არ უნდა გამოიხატებოდეს.

პროფკავშირებში თვითკრიტიკის მიზანს შეადგენს, პირველ ყოვლისა, მუშათა კლასის ფართო საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია, მასების ფართო კონტროლის მოწყობა მუშაობაში ყველა დეფექტის გამოსასწორებლად. თვითკრიტიკის გაშლით, თავისი მრავალი მილიონი წევრის ჩაბმით ამ თვითკრიტიკაში, პროფკავშირები ამაღლებენ მუშათა კლასის პოლიტიკურ და კულტურულ დონეს, უადვილებენ ძნელ ამოცანას—ქვეყნის მმართვა-გამგეობის საქმის შესწავლას.

პროფკავშირების მუშაობა ამ დარგში არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. ზოგიერთ პროფორგანიზაციას არ სურს ან ეშინია გამოამჟღავნოს თავისი დეფექტები, ბევრი მათგანი ცდილობს შეალამაზოს საქმის ნამდვილი მდგომარეობა. ამას უნდა ბოლო მოეღოს. მასებისა და ზევით მდგომ ორგანიზაციების წინაშე ყველაფრის დამაკმაყოფილებლად გამოყვანა, რა მოსაზრებითაც არ უნდა ხდებოდეს ის, ყოვლად დაუშვებელია და იგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეუწყობს ხელს ამ ერთ-ერთი ძირითადი ამოცანის განხორციელებას, რომლის თანახმადაც პროფკავშირები კომუნიზმის სკოლას უნდა წარმოადგენდნენ.

საზიზღარი მოვლენები, რომელნიც გამომჟღავნდებიან შახტის და სხ. „ცნობილი“ საქმეების შესწავლის დროს, პირველ ყოვლისა არის პროფორგანოების ცალკე ხელმძღვანელთა მასებისგან მოწყვეტის, ბიუროკრატიზმის და ჩინოვნიკური გადაგვარების, აგრეთვე პროფკავშირული დემოკრატიის ცხოვრებაში სუსტად გატარების შედეგი.

პროფკავშირის ზოგიერთ ორგანოს უყურადღებობა და ფორმალური დამოკიდებულება მუშების მოთხოვნილებებისა და საჭიროებებისადმი უნდა აღმოიფხვრას პროფკავშირთა არჩეული მუშაკების პასუხისმგებლობის გადიდებით კავშირის წევრ-ამომრჩეველთა წინაშე. პროფკავშირების მუშაობას საფუძვლად უნდა დაედვას კავშირის ყველა ორგანოს მიერ ანგარიშის ჩაბარება კავშირის წევრთა მასისათვის.

საჭიროა სასტიკი და გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადოს პროფმუშაკების ჩინოვნიკურ დამოკიდებულებას წევრთა მასის საჭიროებისადმი. გახრწნილ ელემენტებს არ უნდა ჰქონდეს ადგილი პროფკავშირთა რიგებში.

განვლილ პერიოდში, ეჭვს გარეშეა, გაძლიერდა პროფკავშირების მონაწილეობა საბჭოთა კავშირის ეკონომიურ მშენებლობაში, მაგრამ ამ დარგში ჯერ კიდევ ბევრი რამ არ არის გაკეთებული. საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭო შემდგომი სოციალისტური, მშენებლობის საქმეში გადამჭრელ მომენტად სთვლიდა და სთვლის მასიური ეკონომიური მუშაობის მოწყობას.

მიუხედავად ამისა, პროფკავშირებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს მასიური ეკონომიური მუშაობის ისე დაყენება, რომ ის გადაიქცეს მუშების მასიურ კონტროლად სამეურნეო მშენებლობის გეგმების განხორციელების საქმეში. ამგვარად, აღვნიშნავთ რა ზოგიერთ მიღწევას ამ დარგში— საწარმოო თათბირების ქსელის ზრდას, მუშაობის ცენტრის გადატანას ცეხებში და სხვ.—ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ კავშირების მასიური ეკონომიური მუშაობა ჯერ-ჯერობით მეტად სუსტია; ჩვენი შემდგომი ამოცანაა—რაც შეიძლება მეტი ყურადღება მივაქციოთ ამ საქმეს.

სამუშაო ხელფასის დარგში პროფკავშირების მიზანია მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიური ინტერესების დაცვა და ამ პოლიტიკის სავსებით შეთანხმება საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიურ მდგომარეობასთან, მის რესურსებთან და საწარმოო ძალთა ზრდასთან. მთელს საანგარიშო პერიოდს ახასიათებს ნომინალური ხელფასის თანდათანი ზრდა. ორი წლის განმავლობაში ფაბრიკა-ქარხნების მუშათა ნომინალური სამუშაო ხელფასი გაიზარდა 23 პროცენტით. იმავე დროს რეალური სამუშაო ხელფასი 1927—28 წლის მეორე კვარტალში ომის წინადროინდელ დონეს 27 პროცენტით გასცილდა.

საბჭოთა კავშირის ცაკის მანიფესტით გამოცხადებულმა შვიდი საათი სამუშაო დღემ პროფკავშირის წინაშე დააყენა სხვადასხვა ახალი პრობლემა, რომლებიც დაკავშირებული არიან დიდ სიძნელეებთან. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია ამ დარგში აღვნიშნოთ ბევრი მიღწევა. 1928 წლის დასაწყისში შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანილი იქნა ზოგიერთი საფეიქრო ფაბრიკა. საორიენტაციო გეგმის თანახმად, 1928-29 წლის განმავლობაში დამატებით იქნება გადაყვანილი მუშათა საერთო რიცხვის 15,5 პროცენტი. ამჟამად პროფკავშირების წინაშე სდგას შემდეგი ამოცანა: მათ უნდა დაამუშაონ საკითხი შვიდი საათის სამუშაო დღის შემდგომი გავრცელების შესახებ იმგვარად, რომ ხუთი წლის დამლევს შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადავიდეს საბჭოთა კავშირის მთელი მრეწველობის ყველა მუშა.

პროფკავშირების კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა საანგარიშო პერიოდში თვალსაჩინოდ გაიზარდა როგორც რაოდენობით, ისე თვისებით. თუ 1923 წელს გვქონდა მხოლოდ 2.000-მდე კლუბი 1928 წლისთვის მათი რიცხვი 3.776-მდე ავიდა. ამას უნდა მივუმატოთ კიდევ 30.471 წითელი კუთხე.

პროფკავშირების მუშაობის წყალობით მუშათა მასებში გაძლიერდა მისწრაფება განათლებისაკენ, კლასობრივი თვითშეგნების გადიდებისაკენ, კულტურულ დასვენებისა და გართობისაკენ.

პროფკავშირების შემდგომი ამოცანას კულტმუშაობის დარგში შეადგენს: მუშაობის გაძლიერება მასების კლასობრივი და კულტურული დონის ასამაღლებლად იმისათვის რომ უფრო სრულად და ღრმად ჩაბმულ იქნეს ეს მასები სოციალისტურ მშენებლობაში და მეურნეობისა და მთელი ქვეყნის მმართვა-გამგეობის საქმეში, ხელმძღვანელი კადრების კულტურული დონის ინტენსიურად ამაღლება, აქტიური ბრძოლის წარმოება პროლეტარული ინტელიგენციის ფართოდ და რაც შეიძლება სწრაფად მომზადებისათვის, ბრძოლა კულტურულ რევოლიუციისათვის.

საბჭოთა კავშირის პროფესიონალური ორგანიზაციები რომლებშიაც გაერთიანებულნი არიან მუშათა კლასის ფართო მასები, წარმოადგენენ საბჭოთა ხელისუფლების ბაზისს. მათი მონაწილეობა პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელებაში აუცილებელია. პროფესიონალური კავშირების მუშაობა არ უნდა განისაზღვროს პროფმუშაობის ვიწრო ჩარჩოებით. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმმა თავის დადგენილებაში შემდეგნაირად განსაზღვრა ამოცანები, რომლებიც სდგანან პარტიისა და, მაშასადამე, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის წინაშე.

„პარტიის ძირითად ამოცანას და მის გენერალურ ხაზს შეადგენს ჩვენი ქვეყნის შემდგომი ინდუსტრიალიზაცია, სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის რაც შეიძლება უფრო სწრაფი ტემპით ზრდა, გლეხობის შეკავშირება კოოპერაციაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოლექტიური ფორმების ზრდა (კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი) და სხვ. შავი მეტალურგიის, მანქანათმშენების, ელექტრომშენებლობისა და ქიმიური მრეწველობის განვითარება, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია და მაშინიზაცია, საწარმოო საშუალებათა წარმოების ხვედრითი წონის სისტემატიურად გადიდება, —ყველაფერი ეს აუცილებელ წინასწარ პირობას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, და აუცილებლად მოითხოვს მთელი საწარმოო პროცესის რაციონალიზაციის გაძლიერებულ ზრდას, მეცნიერების უფრო ფართოდ გამოყენებას დასავლეთ ევროპისა და ამერიკის გამოცდილების რაც შეიძლება სრულად გამოყენებას სოციალისტური მშენებლობის პროცესში მასების ფართოდ ჩაბმის და მასების მატერიალურ კულტურულ დონის ზრდის ნიადაგზე“.

ეს ამოცანა, რომელიც დაისახა პროლეტარული დიქტატურის ავანგარდმა და ხელმძღვანელმა—საკავშირო კომუნისტურმა პარტიამ, არის პროფკავშირების, როგორც პროლეტარიატის მასიური ორგანიზაციის, ამოცანაც.

„პრავდა“ 9 დეკემბერი.

ინგლის-საბჭოთა სავაჭრო პალატის წერილი

პალატა დაინტერესებულია ინგლის-საბჭოთა კომერციული ურთიერთობის გაფართოების საკითხებით

ნანკინის მთავრობა სცდილობს შეუთანხმდეს ინგლისსა და იაპონიას

10 დეკემბერს დაიწყო ინგლის-ნანკინის მოლაპარაკება.--ნანკინმა იცნო პეკინის მთავრობის ვალები

ინგლის-საბჭ. სავაჭრო პალატის წერილი

ლენინგრადი, 10 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის დასავლეთ ევროპის სავაჭრო პალატის ლენინგრადის განყოფილებამ, დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ, მიიღო წერილი ინგლის-საბჭოთა სავაჭრო პალატისაგან. პალატა წინადადებას იძლევა განახლებულ იქნას საქმიანი ურთიერთობა. პალატა დაინტერესებულია სხვადასხვა საკითხებით, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციებსა და ინგლისის ფირმებს შორის კომერციული ურთიერთობის განვითარებასთან. (ადს).

ნანკინის მთავრობას სურს იმპერიალისტების გულის მოგება

ნანკინმა იცნო ძველი ვალები

შანხაი, 9 დეკემბერი. იუწყებიან, რომ ნაციონალური მთავრობის ფინანსთა მინისტრმა იცნო „ნისი ხორას სესხი“, რომელიც 1920 წელს პეკინის მთავრობამ დასდო იაპონიის კაპიტალისტებთან მეტად არახელსაყრელი და მძიმე პირობების საფუძველზე. ეს სესხი არ არის უზრუნველყოფილი არავითარი შემოსავლით და აქამდის მას ნაციონალური მთავრობა არ სცნობდა.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს იაპონელთა ადგილობრივ წრეებში აცნობეს, რომ ნაციონალურმა მთავრობამ იაპონიასა და ნაციონალურ მთავრობას შორის მოლაპარაკების დაწყების წინ სიტყვიერად იცნო იაპონიის ყველა სესხი, მაგრამ იაპონიის მთავრობამ მოითხოვა წერილობითი ცნობაც (ად).

მაილს ლემპსონს საზეიმო შეხვედრა გაუმართეს

შანხაი, 9 დეკემბერი. ნანკინში ჩავიდა ინგლისის ელჩი მაილს ლემპსონი, რომელსაც ზეიმით შეეგებენ. ნანკინის საგარეო საქმეთა მინისტრი ვან-ჩენ-ტინი შეეგება ლემპსონს პუკოუში, საიდანაც ისინი ნანკინში ჩავიდნენ ინგლისის სამხედრო გემ „კოკჩეფერ“-ით. ეს გემი ცნობილია იმით, რომ მან მონაწილეობა მიიღო ინგლისელების დამსჯელ ექსპედიციაში ჩინეთში.

ნანკინში ლემპსონის პატივსაცემად გაიმართება დიდი ბანკეტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს მთავრობის ყველა წევრი.

მოლაპარაკება დაიწყება 10 დეკემბერს (ადს).

საბაჟო ტარიფის ახალი განაკვეთები

შანხაი, 9 დეკემბერი. ნანკინის მთავრობამ დაამტკიცა საბაჟო ტარიფის ახალი განაკვეთები, რომლებიც ძალაში შედიან 1 თებერვალს.

ჩინეთის პრესის ცნობით, ახალი ტარიფი გააცნეს უცხოეთის კონსულებს შანხაიში, რომლებმაც უნდა აცნობონ ამის შესახებ დიპლომატიურ კორპუსს პეკინში.

„სინ-ვენ-ბაო“ იუწყება, რომ, როგორც იაპონური წყაროებიდან სჩანს, იაპონიის მთავრობამ არ მიიღო ნოტა ახალი ტარიფის შესახებ (ადს).

ანდრე მარტი კვლავ პასუხისგებაში მისცეს

პარიზი, 9 დეკემბერი პარიზის გამასწორებელ სასამართლოს მე-12 კამერაში ირჩეოდა საფრანგეთის კომპარტიის ცეკას წევრის ანდრე მარტის ახალი საქმე. მარტის წარუდგინეს ბრალდება იმის შესახებ, რომ იგი „მოუწოდებდა მკვლელობისაკენ“. ბრალდებას საფუძვლად უდევს ის წერილი, რომელიც მარტიმ დაბეჭდა „ლიუმანიტე“-ში მარშალ ფოშის ცნობილ ინტერვიუს საპასუხოდ. მარშალ ფოშის ეს ინტერვიუ დაბეჭდილი იყო ინგლისურ ორგანოს „რეფერი“-ში და შეიცავდა მოწოდებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციის მოწყობის შესახებ. ვინაიდან სამხედრო მინისტრმა პენლევემ განაცხადა, რომ „რეფერი“-ში დაბეჭდილი ინტერვიუ ნამდვილი არ არისო, მარტის დამცველები სცდილობდნენ დაემტკიცებინათ ინტერვიუს სინამდვილე. დამცველების მიერ მოწმედ გამოწვეულმა „რეფერი“-ს მთავარმა რედაქტორმა პრესტონმა სასამართლოში განაცხადა:

„ფოშის ინტერვიუ უდავოდ ნამდვილია. ინტერვიუ, რომელიც ხელმოწერილია მარშალის მიერ, გამოართვა მას ცნობილმა და სავსებით სანდო ლონდონელმა ჟურნალისტმა ხიტკოტმა. ფოშთან საუბარს დაესწრო ორი ფრანგი ოფიცერი. ფოში თითონ განმარტავდა თავის განცხადებებს და გეოგრაფიულ რუკაზე აღნიშნავდა სხვადასხვა სტრატეგიულ პუნქტებსო.

დამცველ ბერტელოს შეკითხვაზე—შეიტანა თუ არა „რეფერი“-ს რედაქციაში ფოშმა ან საფრანგეთის საელჩომ რაიმე განცხადება ინტერვიუს უარსაყოფად, პრესტონმა უარყოფით უპასუხა.

მარტიმ განაცხადა რომ ფოშის ინტერვიუ მოწმობს, იმპერიალისტური საფრთხის გაძლიერებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგო.

„თუ საფრანგეთის იმპერიალიზმი თავს ესხმის საბჭოთა კავშირს—განაცხადა მარტიმ,— მშრომელთა პარტია და ყველა მშრომელი დაიცავს საბჭოთა კავშირს, როგორც მოიქცნენ საფრანგეთის გმირი მეზღვაურნი 1919 წელს“.

საბოლოო სიტყვაში მარტიმ განაცხადა:

„ფოშის საპასუხოდ დაბეჭდილ წერილში ინტერვენციას რუსეთის წინააღმდეგ მე ვუწოდე სისხლიანი დანაშაული. ჩემი განცხადებიდან მე ერთ სიტყვასაც არ უარვყოფ და რომ საშუალება მომეცეს, კიდევ გავიმეორებ მასო“. (ადს).

ესტონეთის პარლამენტმა დაამტკიცა რეის მთავრობა

რეველი, 9 დეკემბერი. პარლამენტმა დაამტკიცა ახალი მთავრობა, რომელიც შეადგინა სოციალ-დემოკრატმა რეიმ. ახალი მთავრობის დეკლარაციას რეი წაიკითხავს რამდენიმე დღის შემდეგ. ფინანსთა და ვაჭრობის, განათლების და შრომის სამინისტროებს სათავეში უდგანან სოციალ-დემოკრატები. შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრი, აგრეთვე სამხედრო მინისტრი შრომის ჯგუფების წარმომადგენელნი არიან. საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა ქრისტიან დემოკრატების ლიდერი პასტორი ლატიკი (ადს).

სოციალ-დემოკრატები თავს იმართლებენ

რეველი, 9 დეკემბერი. ესტონეთის სოციალ-დემოკრატების ორგანო „რახვა სენა“ წერილში, რომელშიაც ეხება ახალ მთავრობას, წინასწარ სცდილობს გაამართლოს „რადიკალური რეფორმების გატარების შეუძლებლობა“.

„ახალი მთავრობა, — სწერს გაზეთი—ნიშნავს არა იმდენად სოციალისტების გამარჯვებას, რამდენადაც ბურჟუაზიული პარტიების დამარცხებას. არ უნდა ვიფიქროთ, რომ სახელმწიფო ცხოვრებაში დადგა ძირითადი გარდატეხის ხანა. სოციალისტებს არ შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი სურვილები და პოლიტიკური იდეები, ისინი იძულებულნი არიან კომპრომისი ექმნონ ეხლა სახელმწიფო ფრაქციებთან“ (ადს).

მუშურ-გლეხური ბლოკის დევნა რუმინეთში

ვენა, 9 დეკემბერი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, მუშურ-გლეხურმა ბლოკმა 6 დეკემბერს მოიწვია ახალი სახალხო კრება ბუქარესტში. მთავრობას არ უნდოდა თითონ აეკრძალა კრება და წინადადება მისცა ბინის პატრონს უარი ეთქვა ბინის გაქირავებაზე. როდესაც კრების ადგილზე გამოცხადდა რამდენიმე ასი მუშა, პოლიციამ კრება აკრძალა. თავმოყრილი მუშები გაფანტეს, ხოლო 5 მუშა დააპატიმრეს. (ადს).

მუშები რეფორმისტების წინააღმდეგ

ვარშავა, 9 დეკემბერი. ლოძში ვიძევის მანუფაქტურის რამდენიმე ასმა მუშამ (ვიძევის მანუფაქტურის მუშები აქამდის განაგრძობენ გაფიცვას) ძალით დაიჭირა ლოძის ფეიქართა პროფკავშირის შენობა. პროფკავშირის შენობაში მუშებს უნდოდათ დაერიგებიათ საბჭოთა კავშირიდან მიღებული დახმარება, რადგან დახმარების დარიგება შესწყდა საგაფიცვო კომიტეტის დაპატიმრებისა და შენობის დახურვის გამო, რომელშიაც საგაფიცვო კომიტეტი სხდომებს მართავდა. პროფკავშირის შენობაში შეიჭრა 600 მუშა, პოლონეთის მენშევიკებმა მოინდომეს წინააღმდეგობის გაწევა, რასაც მოჰყვა ის, რომ მუშებმა პროფკავშირის შენობაში დაამტვრიეს ავეჯი და სცემეს მდივანს — პოლონეთის სოც. პარტიის წევრს. დასახმარებლად მოვიდა პოლიცია, რომელმაც გაფანტა გაფიცულები.

ამ ამბის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მუშები აღშფოთდენ მენშევიკურ პროფკავშირების საქციელით, რომელთაც უარი სთქვეს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატისაგან დახმარების მიღებაზე (ადს).

მექსიკა ახალი არეულობის წინ

მექსიკის შრომის ფედერაციის მორონესს ბრალს დებენ პროფკავშირების თანხების გაფლანგვაში, გარყვნილ ცხოვრებაში და მონაწილეობას პრეზიდენტ ობრეგონის მოკვლაში

ნიუ-იორკი, 9 დეკემბერი. როგორც მექსიკიდან იუწყებიან ნაციონალური აგრარული პარტიის ლიდერებმა სასტიკად გაილაშქრეს დეპუტატთა პალატაში და სენატში მექსიკის შრომის ფედერაციის ლიდერის მორონესის, ყოფილი პრეზიდენტის კარესის და მექსიკის შრომის ფედერაციის წინააღმდეგ. ამ გამოსვლების შემდეგ პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა დროებით პრეზიდენტს პორტეს ხილს.

აგრარული პარტიის ორატორები ბრალს სდებდნენ მორონესს, რომ ის ხელმძღვანელობდა პირველ განზრახვებს ობრეგონის მოსაკლავად. აგრარიებმა განაცხადეს, რომ მორონესმა უღალატა მუშებს, გაფლანგა პროფკავშირთა ფონდი და გარყვნილ ცხოვრებას ეწევაო. (ადს).

ნიუ-იორკი, 9 დეკემბერი. მექსიკიდან მიღებული ცნობებით დეპუტატთა პალატის 8 დეკემბრის სხდომაზე ადგილი ჰქონდა მღელვარე სცენებს. სხდომაზე გამოსულმა ორატორებმა მკაცრად გაილაშქრეს მორონესის წინააღმდეგ, აგრეთვე მექსიკის შრომის ფედერაციის წინააღმდეგ, რომელსაც მორონესი ხელმძღვანელობს. პარლამენტის შენობასთან თავი მოიყარა 500-მდე მიწათმფლობელმა. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ პალატაში შეშვებას, ქვებით ჩაამტვრიეს ფანჯრები და ატეხეს ხმაურობა, რის გამოც შეუძლებელი იყო ორატორების მოსმენა. პოლიციამ სროლა აუტეხა მათ და გაჰფანტა. (ადს).

ნიუ-იორკი, 9 დეკემბერი. მექსიკის შრომის ფედერაციის ყრილობა მეტად ნერვიულ ატმოსფერაში მიმდინარეობს. შენობა, სადაც ყრილობაა გამართული, იცავს რეფორმისტების მიერ შედგენილი რაზმი, ვინაიდან პოლიციამ უარი სთქვა შენობის დაცვაზე. მორონესის განცხადებით მან წინადადება მისცა ყველა ორგანიზაციებს, რომლებიც ფედერაციას ემხრობა, საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადონ. თუ ყრილობას თავს დაესხნენ. მორონესის სიტყვით, ის ნაციას მიმართავს მოწოდებით რევოლიუციისაკენ“.

ლოიდ-ჯორჯს „ღმერთის“ იმედი აქვს

ლონდონი 9 დეკემბერი. მანჩესტერში ლოიდ-ჯორჯმა გახსნა ლიბერალური პარტიის კამპანია მშვიდობიანობისათვის და განაცხადა, რომ ერთა ლიგის დაარსებისა, ლოკარნოს ხელშეკრულების დადებისა და კელოგის პაქტის ხელმოწერის შემდეგ შეიარაღება განუწყვეტლივ იზრდება.

„თუ ხალხები გულწრფელად და ნებაყოფლობით არ დათანხმდნენ კონფლიქტების გადაჭრის მშვიდობიან საშუალებებზე, მხოლოდ ღმერთს შეუძლია იხსნას კაცობრიობა ისეთი უსაშინლესი ომისაგან, რომლის მსგავსიც ჯერ არასოდეს არ ყოფილა“. (ადს).

ტერორი ხორვატიაში

ვენა, 9 დეკემბ. ზაგრების პრესის ცნობით, ბელგრადის მთავრობამ გადასწყვიტა, ხორვატელთა ოპოზიციის წინააღმდეგობა დასძლიოს ხორვატიის ადმინისტრაციის მილიტარიზაციით. ხორვატთა ოლქებში სამოქალაქო ადმინისტრატიულ ხელისუფლების მეთაურებად სერბიელ ოფიცრებს ნიშნავს. განზრახულია პოლიციის ნაწილობრივ შეცვლა სერბიელი ჟანდარმებით. ზაგრების დივიზიის უფროსად დაინიშნა ჟანდარმერიის უფროსი, რომელიც ხელმძღვანელობდა სერბიის მაკედონიის სამხედრო სამმართველოს. ამგვარად, ხორვატიის ჟანდარმერია და არმია დაექვემდებარება საერთო სარდლობას.

საოლქო თვითმმართველობამ დაადგინა, ბოიკოტი გამოუცხადოს ახალ პრეფექტს — პოლკოვნიკ მაქსიმოვიჩს. ზაგრების გაზეთები იუწყებიან, რომ მთავრობამ გადასწყვიტა, გლეხურ-დემოკრატიული კოალიციის წინააღმდეგ გამოიყენოს კანონი სახელმწიფოს დაცვის შესახებ. (ადს).

რენოდელის „ფილოსოფია“

„რაც უფრო სასტიკია ომი, მით უფრო ნაკლებ რეალურია მისი საფრთხე“

პარიზი, 9 დეკემბერი. ჰავასი იუწყება: „დეპუტატთა პალატის სხდომაზე ავიაციის მინისტრმა ლორან ეინაკმა წარმოსთქვა სიტყვა საავიაციო უწყების ბიუჯეტის შესახებ. ლორანმა ჩამოსთვალა ის ზომები, რომლების მიღებაც საჭიროა საფრანგეთის ავიაციის განვითარებაში მატერიალური კრიზისის დასაძლევად.

ავიაციის სამინისტროს ბიუჯეტის გარშემო გამართული კამათის დროს რენოდელმა (მომხსენებელი) გააკეთა წითელი არმიის საჰაერო ძალების მიმოხილვა და განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის საჰაერო ფლოტი დაახლოვებით საფრანგეთის ფლოტის თანასწორია, და რომ საბჭოთა კავშირმა შექმნა ომის ისეთივე ქიმიური საშუალებები, როგორიც საფრანგეთს აქვსო. რენოდელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ არც ინგლისს და არც გერმანიას არ მოუწერიათ ხელი ხელშეკრულებაზე, რომლითაც აკრძალულია გაზებით ომი. ამავე დროს რენოდელის აზრით, გაზებით ომის აკრძალვას არ ექნება დიდი მნიშვნელობა და არც არის საჭირო ომისათვის ჰუმანური ხასიათის მიცემა. რაც უფრო აუტანელი და სასტიკია ომი მით უფრო ნაკლებად რეალურია ომის საფრთხე“. (ადს).

უშედეგო თათბირი

ბერლინი, 9 დეკემბერი. ერთა ლიგის განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს, შეიმუშაოს კონვენცია სამხედრო მასალის დამზადებაზე კონტროლის დაწესების შესახებ და წარუდგინოს ეს კონვენცია ერთა ლიგის საბჭოს საერთაშორისო კონფერენციის სასწრაფოდ მოსაწვევად, სამი დღის უშედეგო თათბირის შემდეგ განუსაზღვრელი ვადით გადასდო მუშაობის განგრძობა. სადაო საკითხად რჩება ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის და ჰოლანდიის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ კონტროლი არ გავრცელდეს კომერციული და სატრანსპორტო აეროპლანების დამზადებაზე, აგრეთვე ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, ჰოლანდიის, სალვადორის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მოთხოვნა, რომ გამოქვეყნდეს დაწვრილებითი ცნობები აეროპლანების დამზადების შესახებ ღირებულების, წონის და რაოდენობის აღნიშვნით.

რეფორმისტების კომპრომისი

ვენა, 9 დეკემბერი. ფოსტის მუშაკთა პასიური წინააღმდეგობა დამთავრდა იმის გამო, რომ მოქმედების კომიტეტმა, რომელსაც რეფორმისტები ხელმძღვანელობდნენ, კომპრომისული შეთანხმება დასდო მთავრობასთან.

კომუნისტური „როტე ფანე“ მოუწოდებს ფოსტის მუშაკებს, უარჰყონ კომპრომისი.

უკრაინელების დაპატიმრება

ვარშავა, 9 დეკემბერი. ლვოვის გაზეთ „სლოვო პოლსკე“-ს და კრაკოვის გაზეთ „კურიერ პოდზენნი“-ს რედაქციებზე მომხდარი თავდასხმების გამო ხელისუფლებამ დააპატიმრა 40-ზე მეტი უკრაინელი. დაპატიმრებულებს წარედგინათ ბრალდება, რომ ისინი შედიან უკრაინელთა სამხედრო ორგანიზაციაში.

ლვოვში ჩავიდა პოლონეთის პოლიციის უფროსი მალიშევსკი (ადს).

სხვადასხვა

● ვილნოს (პოლონეთი) სასამართლოში გაირჩა 29 კაცის საქმე, რომელთაც ბრალდებოდა დასავლეთ ბელორუსიის კომპარტ. წევრობა. ოთხს მიუსაჯეს—7 წლის კატორღა, ხუთს—ექვსის, ერთს—ხუთის და 12-ს—ოთხის, დანარჩენები გაამართლეს.

● კოლმართან (საფრანგეთი) დაიმტვრა მატარებელი. მოკლულია ერთი კაცი, 27—დაიჭრა.

● პრაღაში დაიწვა ტელეფონების ქარხანა. ზარალი ექვს მილიონ ჩეხურ კრონს უდრის.

საკავშირო ცაკის მეოთხე სესია

კამათი ამხ. მილიუტინის მოხსენების გამო

მოსკოვი, 8 დეკემბერი. 8 დეკემბრს საღამოთი საკავშირო საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოში დაიწყო კამათი ამხ. მილიუტინის მოხსენების გამო—მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის საერთო საფუძვლების შესახებ. საკავშირო საბჭოში კამათის დროს ციმბირის ოლქის წარმომადგენელმა ამხ. **სიზინცევმა** განაცხადა, რომ ეს კანონი, განხორციელების შემდეგ დიდ გავლენას მოახდენს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციაზე. განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ, ახალი კანონის თანახმად, სხვა გლეხებთან ერთად მიწის საკითხების გადაჭრაში მონაწილეობის უფლება ეძლევათ სოფლის მოჯამაგირეებსაც.

აზერბეიჯანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. მუსაბეკოვი ესაუბრება ამხ. სტალინს

ამხ. **კოსტენკო** (ჩრდ. კავკასია) წინააღმდეგია კანონის პროექტის პირველი მუხლის რედაქციისა, რომელშიაც ნათქვამია, რომ იმ შემთხვევაში, როცა გლეხები მიწებს ნებაყოფლობით უცვლიან ერთმანეთს, მათ მიწები ჩამოერთმევათო. „მიწის ჩამორთმევა გლეხისათვის,—სთქვა ამხ. კოსტენკომ,—სიკვდილს უდრის; გლეხისთვის მიწის ჩამორთმევა იმას ნიშნავს, რომ დაისაჯოს არა მარტო ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა, არამედ მისი ოჯახიც, რადგან ოჯახს უმიწოდ არსებობა არ შეუძლია. კანონში უნდა იყოს სასჯელი მიწის გადაცვლისათვის, მაგრამ არ შეიძლება, გლეხს მიწა ჩამოერთვას“.



ამიერ-კავკასიის დელეგაცია სესიაზე ამხ. დ. რიაზანოვთან ერთად.
სხედან: (მარცხნიდან მარჯვნივ): ამხ. რიაზანოვი, მუსაბეკოვი, ორახელაშვილი, ელიავა, ტერ-გაბრიელიანი.
დგანან: ამხ. გუსეინოვი, ლადარია, ჩანბა და სხვ.

ამხ. **კოსტენკო** (ჩრდ. კავკასია) წინაალმრა მიწათმოწყობის საკითხს, იძლევა რჩევას, რომ ხელი შეეწყოს არა მარტო მსხვილი კოლექტიური მეურნეობის დაარსებას, არამედ წვრილი კოლექტიური მეურნეობების დაარსებასაც. ზოგიერთ რაიონებში კოლექტიურ მეურნეობებში შვიდი და, თუნდა, ხუთი მეურნეობის გაერთიანება დიდ ნაბიჯს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ამაღლების საქმეში. „ახალი კანონი მიწათმოწყობისა და მიწათ-სარგებლობის შესახებ,—სთქვა ამხ. პრეშეპამ (ბელორუსიის ს.ს. რესპუბლიკა),—საერთოდ, სრულის კმაყოფილებით იქნა მიღებული ბელორუსიის გლეხთა ფართო მასებისა და სპეციალისტების მიერ, მაგრამ ახალი კანონპროექტის ზოგიერთ მუხლებს შესწორება სჭირიათ. კერძოდ, 1-ლი მუხლი შეცვლილ უნდა იქნას იმ მხრივ, რომ იმ შემთხვევაში, თუ უკანონო გარიგება მოხდა, მფლობელს ჩამოერთვას არა მთელი მიწა, არამედ მხოლოდ ის ნაწილი, რომელსაც გარიგება ეხება. მიწათმოწყობა უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება მიწათმოწყობის ფართოდ და სასურველად ჩატარება“.

ამხ. **ვასილიუკოვა** (ციმბირი) მოითხოვს, რომ ახალ კანონპროექტში უფრო გარკვევით იყოს ახსნილი სოფლის მოჯამაგირეთა ინტერესები. კერძოდ, შემოკლებულ უნდა იქნას ის ვადა, რომელიც სოფლის მოჯამაგირეს მიწის მიღების უფლებას აძლევს.

ეროვნებათა საბჭოში კამათის დროს ამხ. **სტროეკი** (მოლდავია) საჭიროდ სცნობს, რომ იმ მუხლებს, რომელნიც განსაზღვრავენ მიწით სარგებლობის წესებს, დაერთოს სასჯელი მტაცებლური წესით მიწის ექსპლოატაციისათვის. ასეთ დამნაშავეს მიწითსარგებლობის უფლებაც კი უნდა ჩამოერთვას.

სხდომის დამთავრებამდე ხუთმა ამხანაგმა კიდევ ილაპარაკა. მათი ნათქვამის მთავარი აზრი ის იყო, რომ კანონის გამოცემა, დროულია და რომ კანონის საფუძვლები სავსებით შეეფარდებიან ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საფუძვლებს. ამხანაგები შეეხენ მხოლოდ ძირითად საფუძვლების ცალკე მომენტებს, რომლებიც, მათის აზრით, სარედაქციო შესწორებებს მოითხოვენ.

კამათი გადაიდო 10 დეკემბრისათვის. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ფეიქარ მუშების რისხვა იზრდება

მოსკოვი, 10 დეკემბერი. „იზვესტია“-ს ვარშაველი კორესპონდენტი იტყობინება ტელეფონით შემდეგს:

პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ უარი განაცხადა საბჭოთა კავშირის პროფესიონალურ კავშირების ფულად დახმარებაზე, რომელიც ეგზავნებოდა ვიდზევსკის მანუფაქტურის გაფიცულ მუშებს. პეპეესოველების ამგვარი მორიგი თაღლითური ნაბიჯი სერიოზულ შეხლა-შემოხლას იწვევს მუშებსა და თვით პეპეესოველ ბიუროკრატიის შორის.

ფეიქართა შენობის წინ თავი მოიყარა ვიდზევსკის მანუფაქტურის მუშების დიდმა რაოდენობამ, რომელიც მოითხოვდა, რომ გაფიცულებისათვის აღმოეჩინათ მატერიალური დახმარება. პეპეესოველებმა ირონიულად უპასუხეს, რომ საბჭოთა კავშირიდან ჯერჯერობით ფული არ მოსულაო. მუშები ამგვარ თავხედობამ აღაშფოთა. ისინი შეიჭრენ შენობაში და დაარბიეს იქაურობა.

რატომ არაფერი სთქვა შტრეზემანმა საბჭოთა კავშირზე

მოსკოვი, 10 დეკემბერი. „იზვესტია“-ს ბერლინელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ მას ჰქონდა საუბარი გერმანიის ხელმძღვანელ წრეების ავტორიტეტულ მოღვაწეებთან იმის შესახებ, თუ რატომ არაფერი სთქვა შტრეზემანმა მის მიერ რეიხსტაგში საგარეო პოლიტიკაზე წარმოთქმულ უკანასკნელ სიტყვაში გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ.

„იზვესტია“-ს კორესპონდენტს ამაზე უპასუხეს: ის ქორწინება უფრო საიმედოა, რომელზედაც ცოტას ლაპარაკობენო.

„პრავდა“ მიწის ნაციონალიზაციის შესახებ

მოსკოვი, 10 დეკემბერი. „პრავდა“ თავის დღევანდელ ნომერში ეხება თბილისის პრესაში მოყვანილ ფაქტებს მიწის კოდექსის დარღვევის შემთხვევის შესახებ და აღნიშნავს, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვამ ზოგიერთ რაიონებში მასიური ხასიათი მიიღო.

გაზეთი აცხადებს, რომ ჩვენ მტკიცედ ვდგევართ და უნდა ვიდგეთ მიწის ნაციონალიზაციის საფუძვლებზე. საჭიროა რესპუბლიკის ცაკებმა გააძლიერონ მეთვალყურეობა მიწის კოდექსის გატარებაზე. პრესამ და სათანადო საბჭოთა ორგანოებმა ახსნა-განმარტებითი კამპანია უნდა ჩაატარონ ჩვენი მიწის კოდექსის იდეის პოპულიარიზაციის მიზნით.

ღამის ცნობები

ერთა ლიგის საბჭოს სესიის გახსნა

ლუგანო, 10 დეკემბერი. 10 დეკემბერს ბრიანის თავმჯდომარეობით გაიხსნა ერთა ლიგის საბჭოს სესია. (ადს).

კამათი დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 10 დეკ. დეპუტატთა პალატაში საავიაციო საქმ. სამინისტროს ბიუჯეტის გარშემო გამართულ კამათის დროს ვრცელი სიტყვით გამოვიდა კომუნისტი დეპუტატი დორიო. დორიოს შემდეგ სიტყვით გამოვიდა დეპუტატი რეინო („დემოკრატიული მოქმედების“ მემარჯვენე ჯგუფიდან), რომელმაც მომხსენებელს, სოციალისტ რენოდელს შემდეგი კითხვით მიმართა:

— „მისცემენ თუ არა სოციალისტები ხმას სამინისტროს ბიუჯეტს, რომელიც გულისხმობს 800 მილიონი ფრანკის დახარჯვას საჰაერო თავდაცვის საქმისათვის, თუ ისინი რენოდელის წინააღმდეგ წავლენ?“

რენოდელმა შეკითხვაზე პასუხისგაცემის დროს განაცხადა: „ყველაფერ იმას, რასაც კავშირი აქვს ჩვენი ქვეყნის მრეწველობის განვითარებასთან და ეროვნული თავდაცვის საქმესთან, სოციალისტები სათანადო ყურადღებას აქცევენ. თუ პრინციპათ მივიღებთ ერის შეიარაღებას, მაშინ არ შეიძლება, რომ ქვეყანას საბრძოლველად მივაწოდოთ ხის ხმლები და შეღებილი კარტონისაგან დამზადებული ჰაეროპლანები“.

კენჭის ყრის დროს პალატამ დაამტკიცა საავიაციო საქმეთ ასამინისტროს საიდუმლო ფონდი. წინადადება სამხედრო ჰაეროპლანების დასამზადებლად გათვალისწინებული ხარჯების შემცირების შესახებ უარყოფილია. (ადს).

ლეგიონერთა ორგანიზაციების ყრილობა

ვარშავა, 10 დეკემბერი. ლეგიონერთა ორგანიზაციების ყრილობა დამთავრდა. ლეგიონერთა კავშირის თავმჯდომარედ არჩეულია პილსუდსკის უახლოესი თანამშრომელი პოლკოვნიკი კლავეცი. (ადს).

ბოლივიასა და პარაგვაის შორის მომხდარ კონფლიქტის გამო.

ნიუ-იორკი, 10 დეკემბერი. ბოლივიასა და პარაგვაის საზღვრებზე რამდენიმე სამხედრო შეტაკების შემდეგ, ორივე ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა შეწყდა.

ბოლივიაში გაიმართა დემონსტრაციები, რომლებიც მოითხოვდნენ პარაგვაისთან ომის გამოცხადებას. კონფლიქტის მიზეზია ბოლივიასა და პარაგვაის შორის მდებარე ბორეალის სადაო ოლქი. ბორეალის ოლქი თავისი ტერიტორიით თითქმის უდრის პარაგვაის მთელ ტერიტორიას და ამავე დროს იქ მოიპოვება ნავთის მდიდარი წყაროები. (ადს).

ამუნდსენის ფონდი

ოსლო, 9 დეკემბერი. ნორვეგიის პრესის ასოციაცია, მეცნიერებათა აკადემია, გეოგრაფიული საზოგადოება, ოსლოს უნივერსიტეტი და აეროკლუბი შეუდგნენ შემოწირულებათა შეგროვებას ამუნდსენის ფონდისათვის. შემოწირულების შეგროვება მოხდება როგორც მოსახლეობის შორის, ისე მთელ დედამიწაზე. ფონდის შემოსავალი დაიხარჯება იმ მიზნებისათვის, რომლებიც ამუნდსენს აინტერესებდა, სახელდობრ: გეოგრაფიულ და სხვა სამეცნიერო გამოკვლევებისათვის (ადს).

საბჭოთა კავშირში

ამხ. რიკოვის მილოცვა სამხედრო აკადემიას

მოსკოვი, 10 დეკემბერი. ამხ. რიკოვის მილოცვაში, რომელიც ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიას გაუგზავნა ნათქვამია:

„სალამი ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის წითელ-მეთაურთა ამ სამჭედლოს — მშენებლებს, პროფესორებს და მასწავლებლებს მისი სახელოვანი ათი წლის მუშაობის გამო.

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ა. ი. რიკოვი“.

ამხ. როზენგოლცი დამტკიცებულია მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილედ

მოსკოვი, 10 დეკემბ. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა ყოფილი სავაჭრო წარმომადგენელი ინგლისში ამხ. როზენგოლცი დაამტკიცა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილეთ. (ადს).

ამხ. ვლადიმიროვის არჩევა

მოსკოვი, 10 დეკემბერი. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ვლადიმიროვი. საბჭოს პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ როგორც მოკავშირე რესპუბლიკების კოოპერაციის წარმომადგენელნი, ისე კოოპერაციის ქვედა ქსელის წარმომადგენელნი. (ადს).

ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის თანხების ხელახლა განაწილება

მოსკოვი, 10 დეკემბერი. რადგან გაიზარდა მოთხოვნილება ინდუსტრიალიზაციის სესხის უპროცენტო - მომგებიან ობლიგაციებზე, სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა—პროცენტიან - მომგებიან ობლიგაციები გამოშვებულ იქნას 200 მილიონი მანეთისა, უპროცენტო - მომგებიანი ობლიგაციები — 300 მილიონი მანეთისა.

პირველი ჭაბურღილი სახალინის ნავთის სარეწაოებზე

მოსკოვი, 10 დეკემბერი. საბჭოთა ტრესტის „სახალინ - ნეფტის“ სახალინის ნავთის სარეწაოებზე გაითხარა პირველი ჭაბურღილი. პირველსავე ხანებში ჭაბურღილიდან ამოღებულ იქნა დღეში 25 ტონა მაღალხარისხოვანი ნავთი. სწარმოებს მუშაობა დანარჩენი ჭაბურღილების ასამუშავებლად. (ადს).

სრულიად უკრაინის პროფკავშირთა ყრილობა

მოსკოვი, 10 დეკემბერი. დაიხურა სრ. უკრაინის პროფკავშირთა ყრილობა. ყრილობაზე დამსწრე გერმანელ ფრონტელთა წითელი კავშირის დელეგატმა გოხიკემ მიმართა უკრაინის პროფორგანიზაციებს მიიღონ მონაწილეობა სრულიად გერმანიის წითელფრონტელთა მეხუთე ალლუმში, რომელიც გაიმართება ჰამბურგში 1929 წლის მაისში. ყრილობამ დაადგინა—მიიღოს მიწვევა.

ყრილობამ აირჩია უკრაინის პროფსაბჭოს ახალი პლენუმი 139 წევრისა და 52 კანდიდატის შემადგენლობით. (ადს).

სრულიად უკრაინის პროფსაბჭოს პირველი პლენუმი

ხარკოვი, 10 დეკემბერი. სრ. უკრაინის პროფსაბჭოს პირველმა პლენუმმა ერთხმად დაამტკიცა სრულიად უკრაინის პროფსაბჭოს თავმჯდომარედ ამხ. აკულოვი, ხოლო მდივნად—ამხ. კუზმენკო. უკრაინის შრომის კომისრად დამტკიცებულ იქნა ამხ. გულინი. (ადს).

მიწა-ტყის მუშათა საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 10 დეკემბერი. 6 დეკემბერს დაასრულა მუშაობა მიწა-ტყის მუშათა მეექვსე საკავშირო ყრილობამ. ახალი ცენტრალური კომიტეტი შესდგება 87 წევრისა და 20 კანდიდატისაგან. ცენტრალურ კომიტეტში შედიან ამხანაგები ანცელოვიჩი, კაზაკოვი, კოლესოვი, რუმიანცევი, საპრონოვი, ახმატოვი, ბუშინსკი, ვოლკოვი, სმიდოვიჩი, შჩეგლოვი და სხვები. არჩევნების შემდეგ ყრილობას მიულოცეს საზღვარგარეთელი კავშირების წარმომადგენლებმა. (ადს).

1.240.000 მან. საბინაო მშენებლობისათვის ამიერ-კავკასიაში

მოსკოვი, 10 დეკემბერი. ცენტრ. კომუნალური ბანკის გამგეობამ გადასწყვიტა, გადასდოს მუშათა საბინაო მშენებლობისათვის ა.-კავკასიაში 1.240.000 მან. აქედან განჯის საფეიქრო ფაბრიკას მიეცეს 475.000 მან., 250.000 მან. — „აზრიბას“, 285.000 მან. — ლენინაკანის საფეიქრო ფაბრიკას, 95.000 მან. — სომხეთის „ტყავტრესტს“, — 35.000 მან.—სომხეთის სატყეო ტრესტს და 100.000 მან. — საქართველოს სატყეო მრეწველობას. (ადს.

საკავშირო თათბირი ქალთა შორის მუშაობის შესახებ

მოსკოვი, 10 დეკემბერი. 8 დეკემბრის დილის სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. სერინას მოხსენების (ქალების ჩაბმა წარმოებაში) გამო.

საქართველოში, როგორც ამხ. ანდრიანოვამ განაცხადა, 1926 წელს პროფკავშირებში ირიცხებოდა 28.694 ქალი, ერთი წლის შემდეგ კი 33.428 ქალი. მნიშვნელოვანია ქალთა აქტივი წარმოებაშიც. წარმოების მუშა-ქალები დაწინაურებულნი არიან ხელმძღვანელ თანამდებობებზე: მკერავთა კავშირის თავმჯდომარედ, ფაბრიკის დირექტორად, პროკურორად, პროფსაბჭოს კულტგანყოფილების გამგედ და სამაზრო კომიტეტის მდივნად. ქალების უმუშევრობასთან ბრძოლისათვის მოწყობილია კოლექტივები.

ქალთა ჩაბმის შესახებ აზერბეიჯანის მრეწველობაში ილაპარაკა ამხ. რახმეევამ. აზერბეიჯანში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება თურქი ქალებისა და სომეხ-ქალების ჩაბმა წარმოებაში. 1 ივლისისათვის წარმოებაში მუშაობდა 31.919 ქალი, მათ შორის ბაქოში და მის რაიონებში—25.000 ქალი. წარმოებაში ჩაბმულია 2.726 თურქი - ქალი, 4.875 სომეხი-ქალი, 458 თათარი ქალი. უდიდეს დაბრკოლებას ადგილობრივი ქალების წარმოებაში ჩაბმისათვის წარმოადგენს თურქი - ქალების კარჩაკეტილობა.

ძალიან მცირეა ქალთა რიცხვი ინგუშეთის სუსტ მრეწველობაში, როგორც განაცხადა დელეგატ - ქალმა ბიტიშლახტომ. ასეთივე მდგომარეობაა, ამხ. სიტოვას სიტყვით, კარაკალპაკში, სადაც წარმოებაში ჩაბმულია მხოლოდ 12 კარაკალპაკელი ქალი.

ამხ. სერინას საბოლოო სიტყვის შემდეგ თათბირმა აირჩია კომისია რეზოლიუციის შესამუშავებლად (ადს).

„დნეპროსტროის“ გეგმის შეცვლა

მოსკოვი, 10 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო რამდენიმე საყურადღებო გადაწყვეტილება, რომლებიც შრომისა და თავდაცვის საბჭოს წარედგინება დასამტკიცებლად. ეს გადაწყვეტილებანი სავსებით სცვლიან სამუშაოების მიმდინარეობას „დნეპროსტროი“-ზე, სამუშაოთა სამმართველოს ნება ეძლევა დადგას სადგურზე ათი აგრეგატი თითო 80.000 ცხენის ძალისა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული შვიდი აგრეგატისა (თითო 50.000 ცხენის ძალისა). სადგურის საერთო სიმძლავრე 800.000 ცხენის ძალისა იქნება. პირველ ხანებში დაიდგმება 6 აგრეგატი, აქედან ოთხი შეკვეთილი იქნება საზღვარგარეთ, ხოლო ორი საბჭოთა ქარხნებში დამზადდება. ამასთან დაკავშირებით სადგურის ამუშავება გადატანილ იქნა 1932 წლის 1-ლ აპრილიდან 1-ლ დეკემბრისათვის.

სადგურის ღირებულება გამოანგარიშებულია 220.440.000 მანეთად, ნაცვლად 213.240 მილ. მანეთისა.

რადგან დიდი მოთხოვნილებაა შავ ლითონზე, დადგენილია მრეწველობის განვითარების ხუთ-წლიან გეგმაში შეტანილ იქნას ახალი სამეტალურგო ქარხნის აგება ზაპოროჟიეში. ამასთან ერთად მიღებულ იქნა სხვა დიდი ქარხნების აგების გეგმა. (ადს).

აზერბეიჯანელ მალაკნების ყრილობა

ბაქო, 10 დეკემბერი. გაიმართა აზერბეიჯანელი მალაკნების ყრილობა. ყრილობის ერთ-ერთი საინტერესო გადაწყვეტილებაა ერთხმად მიღებული რეზოლიუცია, რომელიც შეეხება სავალდებულო სამხედრო სამსახურს წითელი არმიის რიგებში „იარაღის ხმარებით“. რეზოლიუციის დასაცავად ყრილობას მოჰყავს ის საბუთი, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ამხ. ლიტვინოვის სახით განიარაღების კონფერენციაზე დაგვიმტკიცა, რომ ის არის ყველაზე უფრო მშვიდობიანი ხელისუფლება და თუ გვსურს მშვიდობიანობა, მზად უნდა ვიყოთ ომისათვის. ყოველივე ეს არ ეწინააღმდეგება საღვთო წერილს და ამიტომ ხელისუფლების ღონისძიებებს საბჭოთა კავშირის დასაცავად, მხარი უნდა დავუჭიროთ“.

ყრილობაზე გარკვეულად გამომჟღავნდა კლასობრივი განხეთქილება, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ შეიქმნა ეგრედწოდებული პროგრესიული მიმართულების მალაკანთა ჯგუფი. ურწმუნოთა კავშირი ბაქოს მუშათა რაიონებში აწყობს კამპანიას ყრილობის კლასობრივი არსის გასამარტავად.

დასმულია საკითხი იმის შესახებ, რომ აზერბეიჯანში გამოიცეს ჟურნალი „ალახსიზ“-ი („ურწმუნო“) თურქულ ენაზე. (ადს).

ბრძოლა მცენარეულობის მავნებლებთან

სოხუმი, 10 დეკემბერი. მოსკოვიდან სოხუმში მოვიდა ელექტრო-ტეხნიკოსი ჯო პატოი, რომელმაც გამოიგონა აპარატი მავნე პარაზიტების გასანადგურებლად. იგი ადგილობრივ სადგურზე მცენარეულობის დაცვის ცდებს მოახდენს. ცდები, სადგურის პროფესორის კოროლკოვის მეთვალყურეობით მოხდება, თამბაქოს, ვაზის და სხვა მავნებლებზე. პატოის აპარატი შემოწმებული და მოწონებულია გამოგონებათა ბიუროში. აპარატის გამოცდა მოხდა მოსკოვსა და ესენტუკში ავიაქიმის სადგურებზე. (ადს).

„საბჭოთა აღმშენებლობა“

საქართველოს ცაკის დადგენილებით განზრახულია გამოცემულ იქნეს ყოველთვიური ჟურნალი „საბჭოთა აღმშენებლობა“.

ჟურნალის მიზნისა და დანიშნულების შესახებ საქ. ცაკის მდივანმა ამხ. ი. ვარძიელმა ჩვენი გაზეთის თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

ამჟამად საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს საბჭოების მუშაობის გამოცოცხლება და საბჭოთა აღმშენებლობის გაძლიერება.

ამ ამოცანის განსახორციელებლად პირველ რიგში საჭიროა ძირითადი ორგანოების სამ.-აღმასკომების, განსაკუთრებით კი თემაღმასკომების და სოფლის საბჭოების მუშაობის გაშუქება, მათ მუშაობასთან დაკავშირებული საკითხების განმარტება და სხვ.

საბჭოთა ძირითადი ორგანოების და მათი აპარატის გასაჯანსაღებლად ერთ-ერთ საშუალებათ მიჩნეული იქნა—სპეციალური ჟურნალის „საბჭოთა აღმშენებლობის“ გამოცემა. ჟურნალში გაშუქებული იქნება საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, არჩევნების პოლიტიკური და ორგანიზაციული მხარეები. გარდა ამისა ჟურნალი შეეცდება აღნიშნოს ძირითად ორგანოების მუშაობაში შემჩნეული დეფექტები და მიუთითოს მათ იმ ღონისძიებებზე, რომლებიც დასახული აქვს საბჭოთა ხელისუფლებას აღმშენებლობის გასაძლიერებლად.

რომ ძირითადი ორგანოები უფრო ნათლად გაერკვენ უმაღლესი ორგანოების დადგენილებებში, ჟურნალში ოფიციალურ ნაწილს გარდა მოთავსებული იქნება შესაფერი განმარტებები და პოპულიარული მასალები. ჟურნალში აგრეთვე მოთავსებული იქნება ყველა ის დირექტივები და ინსტრუქციები რომლებიც შეეხება საბჭოების მუშაობის გამოცოცხლების საკითხებს და სხვ.

როგორც აღვნიშნე, ჟურნალში უმთავრესად გაშუქებული იქნება ადგილობრივ საბჭოთა ორგანოების მუშაობა. ამგვარათ მათ საშუალება ექნება გაიცნონ ერთიმეორის როგორც მიღწევებს, ისე ნაკლოვანებებს. ასეთი დაახლოება კი ხელს შეუწყობს ადგილებზე საბჭოთა აღმშენებლობის გაძლიერებას და საბჭოთა ორგანოების გაჯანსაღებას.

ამავე მიზნით ჟურნალში მოთავსებული იქნება ადგილობრივი საბჭოთა აპარატის მუშაობის გამოკვლევის შედეგები და გამოკვლევის დროს აღმოჩენილ დეფექტების გამოსასწორებლად შემუშავებული ღონისძიებები.

ჟურნალის გამოცემა უკვე გადაწყვეტილი აქვს საქართველოს ცაკს თბილისის აღმასკომთან შეთანხმებით. ჟურნალის გამოცემაში უახლოეს მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე საქ. სახ. კომისართა საბჭო.

რომ ჟურნალმა სავსებით შეასრულოს თავისი ამოცანები, საჭიროა მას შესაფერი დახმარება აღმოუჩინოს სახ. კომისარიატებმა, სამაზრო აღმასკომებმა და თემაღმასკომებმა.

—:—

საქ. ცაკში შესდგა საორგანიზაციო თათბირი, რომელზედაც არჩეულ იქნა ჟურ. „საბჭოთა აღმშენებლობა“-ს სარედაქციო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ი. ვარძიელი (პასუხისმგებელი რედაქტორი), დ. ქუჩულორია, დ. თხილავა, შ. გომართელი, სტეფანოვი, ორჯონიკიძე და არუთინოვი.

ჟურნალი წლიურად ეღირება 5 მანეთი ექვსი თვით—3 მ., სამი თვით—1 მ. 50 კ. ცალკე ნომერი—30 კ. წლიურ ხელისმომწერლებს პრემიის სახით მიეცემათ ამხ. ფ. მახარაძის ბროშურები.

ჟურნალის პირველი ნომერი გამოვა 1929 წლის 1-ლ იანვარს.

თათბირმა დაადგინა გამოცემულ იქნეს მიმართვა დაინტერესებულ ორგანოებისადმი ჟურნალის მიზნების გასაცნობად.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება,

შესდგება დღეს, 11 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე თბილისის მუშათა თეატრის შენობაში.

10 დეკემბრისათვის დარიგებული ბილეთები ძალაში რჩება.

თბილის ს კომიტეტის პრეზიდიუმი.

ხვალ, 12 დეკემბერს საღამოს 6 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბის შენობაში

ი ხ ს ნ ე ბ ა

ს. კ. პ. (ბ) თბ. ორგანიზაციის ლენრაიკომის მე-11-ე პარტ-კონფერენცია

დღის წესრიგი:

1) ს. კ. პ. (ბ) ც. კ. მოხსენება საქ. კომპარტიის მიმდინარე ამოცანების შესახებ.
2) რაიკომის მოხსენება, ა. ლ. კ. კ. რაიკომის თანამოხსენებით და სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3) ა/კ. რკ. გზ. მეურნეობის მდგომარეობის შესახებ.
4) არჩევნები: რაიკომის, სარევიზიო კომისიის და დელეგატების თბილისის პარტკონფერენციაზე.

ს. კ. პ. (ბ) ლენინის რაიკომის პ/მგ. მდივანი: **ფანცულაია.**

პარტიაში

მურმანსკის ორგანიზაციის გამოკვლევა

მურმანსკი, 10 დეკემბერი. სპეციალურმა საოლქო კომისიამ გამოიკვლია მურმანსკის პარტიული ორგანიზაცია. გამოკვლევის შედეგად მოხსნილნი არიან სამუშაოდან ლოთობისა და მთელი რიგი დაუშვებელი ნაბიჯებისათვის საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის თავმჯდომარე იოგანსონი, მისი მოადგილე შილოვი და საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორი მაკშეევი. გარდა ამისა, სამუშაოდან მოხსნილია და პარტიიდან გამორიცხულია რაიონული პარტიული კომიტეტების და ქალაქის პარტიული კოლექტივების რამდენიმე მდივანი (ადს).

დავიცავთ მე-15 ყრილობის ხაზს

(ქალაქის რაიონის პარტკონფერენციის რეზოლიუცია ცეკას მოხსენების გამო)

ქალაქის რაიონის მე-11 პარტკონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში (საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მოხსენების გამო) ნათქვამია:

პარტკონფერენცია აღნიშნავს, რომ საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას ლენინური ხელმძღვანელობით საქართველოს მუშათა კლასმა და მშრომელებმა მთელ რიგ სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის განვითარების, კულტურული მშენებლობის დარგში და სხვ.

მიღწევებთან ერთად ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს, რომლებიც, კონფერენციის აზრით, აუცილებლად უნდა იქნან აცილებული მომავალ მუშაობაში.

აღნიშნავს რა კომპარტიის იდეოლოგიური გავლენის განმტკიცებას, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, კონფერენცია აუცილებლად სთვლის არსებული მიღწევების შემდგომ ორგანიზაციულ განმტკიცებას საბჭოთა - სამეურნეო მუშაობაში მშრომელი მასების ჩაბმის საშუალებით. გაფართოებულ უნდა იქნას მუშაობა ინტელიგენციის შორის, უნდა გაძლიერდეს მუშაობა სოფლიდან ჩამოსული ახალი მუშათა ფენების ინტერნაციონალურ-პროლეტარულ ნიადაგზე აღსაზრდელად, უნდა გაძლიერდეს მუშაობა მოჯამაგირეთა და ღარიბთა შორის და ამით განმტკიცდეს ქალაქისა და სოფლის პროლეტარული ფრონტი.

კონფერენცია აღნიშნავს მთელ რიგ მიღწევებს კულტურული ფრონტის დარგში, მაგრამ ამასთანავე ხაზს უსვამს იმ სიძნელეებს, რომლებიც გვეღობება სოციალისტური მშენებლობის გზაზე და რომელიც ჩვენი კულტურული ჩამორჩენილობის შედეგია. ამიტომ ჩვენს მუშაობაში უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ გატარდეს ცხოვრებაში მე-15 ყრილობის ლოზუნგი კულტურული რევოლუციის შესახებ.

კონფერენცია კმაყოფილებით აღნიშნავს მიღწევებს ეროვნული პოლიტიკის სწორ ლენინურ გატარებაში, რომელსაც პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით საქართველოსათვის.

კონფერენცია საჭიროდ სთვლის, მომავალშიაც ასეთივე ტემპით სწარმოებდეს ბრძოლა ნაციონალისტურ - შოვინისტურ მიდრეკილებათა წინააღმდეგ და აგრეთვე მენშევიზმის ყოველგვარი სახის წინააღმდეგ.

სახალხო მეურნეობის განვითარებას ახასიათებს ქალაქისა და სოფლის საწარმოო ძალთა ზრდა, მეურნეობის სოციალისტური ელემენტების გაძლიერება მძიმე ინდუსტრიის განვითარების საფუძველზე. ეს პერიოდი მოითხოვს დიდ ძალ - ღონისა და სახსრების დახარჯვას, მით უმეტეს, რომ კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგობა თანდათან ძლიერდება, რაც ამწვავებს კლასობრივ ბრძოლას. ამ სიძნელეთა ზეგავლენით მუშათა კლასის ზოგიერთ ფენებში, აგრეთვე ჩვენი პარტიის ზოგიერთ მერყევ ნაწილებში იბადება აშკარა ოპორტუნისტული მემარჯვენე განწყობილება პარტიის იმ გენერალური ხაზის გადათვალიერების სასარგებლოდ, რომელიც შეიმუშავა საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობამ მძიმე ინდუსტრიის განვითარებისა, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და საბჭოთა-სამეურნეო მშენებლობის დარგში. ამავე დროს ნაწილობრივი გამოცოცხლება ეტყობა ეგრეთ წოდებულ „მემარცხენე“ ტროცკისტულ-მენშევიკური ოპოზიციის მუშაობას; ეს ოპოზიციაც „არსებითად მემარჯვენეა. მემარჯვენეა, მაგრამ მემარცხენე ფრაზეოლოგიის ნილაბს ატარებს“ (სტალინი). კონფერენცია ფიქრობს, რომ მთელი პარტიის მთავარი ამოცანა უნდა იყოს იდეოლოგიური ბრძოლა მემარჯვენე საფრთხესთან; ამავე დროს არ უნდა შესუსტდეს ბრძოლა ტროცკისტულ - მენშევიკური ოპოზიციის ნაშთებთან და აგრეთვე მათთან შემარიგებლობასთან. პარტიის რიგებში არსებული ყოველგვარი ანტი-ლენინური მიდრეკილების წარმატებით დაძლევისათვის საჭიროა თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა-გაძლიერება, მუშებისა და მშრომელი მასების მაქსიმალურად ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში, შინაპარტიული და მუშური დემოკრატიის სერიოზული და თანამიმდევრობითი გატარება.

ლენრაიონი მორიგი შემოწმების წინ

რა გაკეთდა ერთი წლის განმავლობაში

პარტიის ხაზის დასაცავად

ლენრაიონის ორგანიზაცია, ისე როგორც მთელი პარტია, საანგარიშო პერიოდის დასაწყისში უმთავრეს ყურადღებას აქცევდა ტროცკისტულ ოპოზიციასთან ბრძოლას. უნდა ითქვას, რომ ლენრაიონის ორგანიზაცია ამ ბრძოლიდან იდეოლოგიურად კიდევ უფრო განმტკიცებული გამოვიდა.

ოპოზიციის ლიკვიდაციის შემდეგ ორგანიზაციამ თავისი მუშაობის ცენტრი სამეურნეო საკითხებზე გადაიტანა. რაიკომი და უჯრედები მთავარ ყურადღებას აქცევდნენ მუშათა ფართო მასების ჩაბმას საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობაში. ამ მიზნისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა მასიური მუშაობის გაძლიერება როგორც პარტიულ, ისე პროფ. და სხვა ორგანიზაციების ხაზით.

მასების აქტივობის ზრდას ხელი შეუწყო საქ. კომ. პ. (ბ) ცეკას მიმართვამ, რომელიც გამოშვებული იყო შახტის ამბებთან დაკავშირებით.

თვითკრიტიკის ლოზუნგის განსახორციელებლად რაიკომმა ჩაატარა სათანადო მუშაობა. ამ საკითხის გასარჩევად მოწვეულ იქნა უჯრედების მდივანთა თათბირები. დიდი ყურადღება ექცეოდა საერთო და პარტიულ კრებებზე შემოტანილ წინადადებათა განხორციელებას. მიუხედავათ ამისა ჩვენ ჯერ-ჯერობით მაინც ვერ შევსძელით პარტიისა და მუშათა კლასის ფართო მასების ჩაბმა პრაქტიკულ მუშაობაში, პროფესიონალური და სამეურნეო ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ ღებულობენ საკმაო ღონისძიებებს მასების მიერ აღმოჩენილ ნაკლთა გამოსასწორებლად. სწორედ ეს გარემოებაა იმის მიზეზი, რომ ზოგიერთი კომუნისტი და უპარტიო მუშა ერთგვარი უნდობლობით უცქერის თვითკრიტიკის ლოზუნგებს.

ორგანიზაცია განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრა საკ. კ. პ. (ბ) ცეკას მიმართვას მოსკოვის ორგანიზაციისადმი და თბილისის კომიტეტის მიმართვას მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლის შესახებ. ლენრაიონის ორგანიზაციამ გადაჭრით დაჰგმო მემარჯვენე გადახრა და მთლიანად შეუერთდა საკ. კ. პ.(ბ) ცეკას მიმართვას.

ბიუროების გადარჩევაც მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლის ნიშან ქვეშ ჩატარდა. კამათში გამოსულთა დიდი უმრავლესობა მოითხოვდა უფრო რადიკალურ ზომების მიღებას მემარჯვენე იდეოლოგიის წინააღმდეგ.

შემოდგომისათვის ლენრაიონის ორგანიზაციამ კიდევ უფრო უნდა გააფართოვოს შინაპარტიული დემოკრატია და მასიური თვითკრიტიკა, ტროცკიზმის ნამსხვრევებთან ბრძოლის შეუსუსტებლად მან გადამწყვეტი შეტევა უნდა აწარმოოს მემარჯვენე განწყობილებისა და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ.

სამეურნეო მშენებლობის დარგში

მეორე რაიონის გაუქმების შემდეგ ლენრაიონის საწარმოთა რიცხვი 23-დე ავიდა. ამ საწარმოებში მუშაობს სულ 12.126 მუშა.

რაიკომი საანგარიშო პერიოდში მთავარ ყურადღებას აქცევდა პარტიის დირექტივების შესრულებას სამეურნეო ხარჯების 20 პროცენტით დაკლების, წარმოების რაციონალიზაციის, თვითღირებულების შემცირების და წარმოების მუშაობაში შექმნილ დაბრკოლებათა დროულად გადალახვის შესახებ. საბჭოთა უჯრედები საკმაო ყურადღებით ეპყრობოდნენ ადმ. სამმართველო ხარჯების შემცირებას და ბიუროკრატიზმთან ბრძოლას. ხშირად ეწყობოდა სამეურნეო მუშაკთა თათბირები, სადაც მუშავდებოდა პრაქტიკული ზომები პარტიის ამა თუ იმ დირექტივის შესასრულებლად.

მიუხედავად ამ ღონისძიებებისა პარტუჯრედებმა მაინც ვერ შესძლეს სათანადო თვალყურის დევნება პარტიული დირექტივების შესრულებისადმი, რის გამოც ხარჯების შემცირებით მოსალოდნელი მატერიალური ეფექტი ვერ იქნა მიღწეული, რკ. გზებზე მაგალითად, ხარჯების შემცირებას უნდა მოეცა 450.000 მანეთის ეკონომია (ე. ი. 22 პროც.); ამიერ-კავკასიის მ. და გლ. ინსპექციის ცნობებიდან კი სჩანს, რომ შემცირება მხოლოდ 5 პროცენტით ჩატარებულა.

რაიკომის და უჯრედების მუშაობა ცალკე საწარმოთა მდგომარეობის შესწავლის დარგში დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. ამას ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ პრეზიდიუმისა და პლენუმის მიერ გარჩეულ საკითხებში დიდი ადგილი უჭირავთ სამეურნეო საკითხებს.

ხელფასის მდგომარეობა

კოლხელშეკრულებათა გამოცვლის კამპანიაში პარტორგანიზაცია აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. კამპანიის საერთო შედეგები ასეთია: რკ. გზის მოძრაობის დარგში და სავაგონო პარკში საკმაოდ გაიზარდა მუშათა ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასი. გამონაკლისს შეადგენს სალიანდაგო დარგი, სადაც ნარდი მუშაობიდან მოხსნის გამო საგრძნობლათ შეუმცირდა ხელფასი რემონტის მუშებს.

სახ. აპარატის გაჯანსაღებისათვის

პარტუჯრედების მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას შეადგენდა კომუნისტებისა და მუშების ფენის გადიდება სახ. აპარატში. საანგარიშო პერიოდში დაწინაურებულ იქნა ადმინისტრატიულ-სამეურნეო თანამდებობებზე 33 მუშა-აქტივისტი. ეს ციფრი, რასაკვირველია არ არის დამაკმაყოფილებელი და აიხსნება იმით, რომ სახელმწიფო აპარატი საკმაოდ არ აფასებდა და ზოგჯერ წინააღმდეგობასაც უწევდა აპარატის გამუშურების ცდებს.

პროფკავშირების მუშაობა დასაწინაურებელთა რეზერვის აღრიცხვის დარგში ვერ სდგას საჭირო სიმაღლეზე. ნაკლია აგრეთვე ისიც, რომ უკანასკნელ ხანებამდე ცალკე მუშების დაწინაურების საკითხი არ ირჩეოდა მუშათა მასიურ კრებებზე.

უპარტიო ორგანიზაციების საქმიანობა

პროფკავშირების მუშაობაში მიღწევად უნდა ჩაითვალოს ყველა მუშა-მოსამსახურეთა ჩაბმა კავშირის რიგებში, საამქრო-ბიუროების განმტკიცება და მასიური მუშაობის გაუმჯობესება.

ნაკლად კი უნდა აღინიშნოს ადგილკომებთან არსებულ კომისიების სუსტი ხელმძღვანელობა, რის გამოც ამ უკანასკნელთა გეგმები ხშირად არ ეთანხმებიან ადგილკომების გეგმებს, საწარმოო კომისიები ზოგჯერ სწევენ საწარმოო თათბირის მაგივრობას საამქროში და სხვ.

კომკავშირისადმი ხელმძღვანელობას პარტორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევდა. უჯრედები საკმაოდ მონაწილეობდნენ კომკავშირის კამპანიაში. ყურადღება ექცეოდა აგრეთვე პარტბირთვის რიცხვობრივ და თვისობრივ გაუმჯობესებას, ოქტომბრის გაწვევით მიღებულთა შორის კომკავშირელები 53 პროც. შეადგენენ. მიუხედავად ამისა პარტბირთვი ა. წ. 1 იანვართან შედარებით მაინც შემცირდა. ეს აიხსნება იმით, რომ კომკავშირმა აღრიცხვიდან მოხსნა ასაკგადაცილებული ა.ლ.კ.კ. წევრები (პარტიულები).

საანგარიშო პერიოდში კომკავშირის ორგანიზაციას მოემატა 1106 წევრი მეორე რაიონის შემოერთების გამო. საკუთრივ ზრდა კი 216 ახალი წევრის მიღებაში გამოიხატა. ლენრაიონის მუშა-ახალგაზრდობის 85 პროც. უკვე ჩაბმულია კომკავშირის რიგებში.

კომკავშირისათვის პარტხელმძღვანელობის გაწევა ადგილებზე ვერ სდგას კარგად. პარტუჯრედები ჯერ კიდევ კმაყოფილდებიან საერთო სახის ანგარიშების მოსმენით, კომკავშირის მუშაობის ცალკე დარგებს კი არ სწავლობენ.

ორგანიზაციის ზრდა

მე-10 რაიკონფერენციის დადგენილებით მუშათა ბირთვი ლენრაიონის ორგანიზაციაში 80 პროცენტამდე უნდა გაზრდილიყო ამ ამოცანის შესრულების მიზნით ორგანიზაციამ მიიღო მთელი რიგი ზომები.

ამ ღონისძიებებმა გააძლიერეს მუშებში პარტიისადმი ლტოლვა. საანგარიშო პერიოდში უჯრედებში მუშების მიერ შეტანილ იქნა 1066 განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. ოქტომბრის გაწვევამ ორგანიზაციას შემატა 410 მუშა.

ამჟამად ორგანიზაციაში სულ ირიცხება 4.436 კაცი, აქედან: წევრები—3.387, კანდიდატები—1,049; მუშები—3.708 (83,5 პროც.), გლეხები—183 (4,1 პროც.), მოსამსახურეები—533 (12,0 პროც.), სხვა—17 (0,45 პროც.).

საწარმოო უჯრედების საქმიანობა

საამქრო უჯრედების მუშაობის 3 წლიან გამოცდილებამ სავსებით გაამართლა ასეთი უჯრედების არსებობა, საამქრო უჯრედების განმტკიცებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვედა საფეხურების პარტაქტივის წამოზრდას და მის ჩაბმას პრაქტიკულ პარტმუშაობაში.

კოლექტივების ბიუროების გაუქმებამ და მათ ნაცვლად საამქრო უჯრედთა მდივნების თათბირების მოწვევის პრაქტიკამ დადებითი შედეგი მოგვცა.

სააგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობა

საპროპაგანდო მუშაობაში მთავარი ყურადღება ექცეოდა პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის დაყენებასა და ცალკე საკითხების დამუშავებას წრეების საშუალებით. უჯრედების სხდომებზე სპეციალურად დამუშავებული იქნა მე-15 ყრილობის შედეგები, კომინტერნის მე-6 კონგრესის შედეგები და კომინტერნის პროგრამა. განსაკუთრებით ფართოდ იქნა დამუშავებული ცეკას მოწოდება თვითკრიტიკის შესახებ და სახ. მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა.

1927—28 წ. სკოლებსა და წრეებში სულ ჩაბმული იყო 1392 კაცი, აქედან სკოლები დაამთავრა 1027 კაცმა (74 პროც.)

მუშაობა ქალთა შორის

ქალთა შორის მუშაობის უშუალოდ გამტარებელი აქტივის კადრი—ეს ქალორგანიზატორები და ქალთა შორის მომუშავე კომისიები. რაიონში ირიცხება 24 ქალორგანიზატორი (აქედან 12 მუშა ქალია), ქალთა კომისიის წევრთა რიცხვი 74 უდრის.

რაიონების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით დელეგატ ქალთა რიცხვი გაიზარდა (144-დან 227-დე).

ქალთა განყოფილება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა დელეგატების ჩაბმას პრაქტიკულ მუშაობაში.

დელეგატ ქალთა გადარჩევის კამპანია პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით ჩატარდა.

საანგარიშო პერიოდში დაწინაურებულ იქნა და სამუშაოზე გაიგზავნა 18 აქტივისტი ქალი.

დიდი ყურადღება ექცეოდა ქალთა გასამხედროების საქმეს. თავდაცვა ავიაქიმისა და სხვა ნებაყოფლობით ორგანიზაციებში ჩაბმულია 4.847 ქალი.

ქალაქის რაიკომის ახალი შემადგენლობა

რაიკომის და სარევიზიო კომისიის წევრები

ქალაქის რაიონის მე-11-ე პარტკონფერენციაზე რაიკომის ახალ შემადგენლობაში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები:

სუხიშვილი, ასრიბეკოვი, შოგირაძე, მორჩილაძე, ადამიძე, გობეჩია; ციხელაშვილი; კუდრიავცევი; იაგნეტინსკი, ლუჩანსკაია, ნიკიტინი, მიკირტიჩიანი, ლომიძე, ადამაძე, გენკინი, სიხაშვილი, მაისურაძე; სალუქვაძე, ტინტიკოვი, -თოდრია, ჟუკოვი; მამაცაშვილი, მამუკაშვილი, ბაგიროვი, თარხანოვი, ლეჟავა ნოე, მღებრიშვილი, ბადალოვი; მირზაბეკიანი; კრაკულის, სტეფანოვი, პატარაია, თურჩენკო, გეგენავა, სამოილოვი; მიცევიჩი, მიტკო, ბლინოვი, გაბუნია, უთმელიძე; კვანტალიანი; თხილავა, რუხაძე; ჯაფარიძე, ბოლქვაძე, კუნიცკაია, ბარიუკოვი, ძაგანია, ლავრენტიევი, ანდღულაძე, ხოჯალი, ჭანკვეტაძე, გაბისონია, როსნაძე, ალდაძე; ბაინდუროვი; ვაშაკიძე; ბორზიჩოვი, ბაიანდუროვი, საკოვი, წივწივაძე, მჭედლიშვილი, მარქაროვი; ჭურღულია; არჯევანიძე, ლებანიძე, მიქელაძე, ჩიტაიანი, ანთიძე, რობაქიძე, აგრბა, მათიკაშვილი, ქებულაძე, ხუტულაშვილი; შანიძე; ცატუროვი; კობეც, ხეჩანოვი, ნიკოლაიშვილი, მახველოვი, მაზმანოვი, როტინოვი, მაქსიმენკო, ზამბახიძე, ბოჭორიშვილი; ჩუბინიძე; ხომერიკი; ვაინეროვი; ასრიევი; ჯიქია, ქაცარავა, ქათამაძე, გვაზავა, გულბისი, ქანდარიანი; მღებრიშვილი ევა; კვიტაშვილი; პეტრენკო, ჩიხლაძე; მიხელსონი; ფერადოვი, გულივერდაშვილი; მესხი, სიხარულიძე; მირიანაშვილი.

კანდიდატებად: გუნია ვასო, სიხარულიძე, შახნაზაროვი, ჯაში; გოდაბრელიძე; ჭიპაშვილი; დილმელაშვილი, რუხაძე, ბელმანი, პოლოსოვი; კლიმენკო; ჩელომბეევი; სიზოტენკო, არუთინოვი, ტკაჩევი, ვარამაშვილი; კვირიკაძე; ჩარელიძე; ტანცოში, შარმაზანაშვილი, დობორჯგინიძე, ფირცხალავა, გოგიბერიძე; გიგოშვილი; ბარბარინსკი, ხარაზიანი, გიგა, ბუაძე; ძნელაძე; ვარნაზოვი, სულუხია; მელიქაძე, დემეტრაშვილი; სოკოლინსკაია და მელიქაძე.

რაიკომის სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ: გორიაჩევი, მარკოვინი, გველესიანი, გოცირიძე; დავიდოვი; ლარინი და ცაგარეიშვილი.

ქალაქის რაიკომის პლენუმი

გუშინ, თბილისის საბჭოს დარბაზში შესდგა ქალაქის ახლად არჩეულ რაიკომის პირველი პლენუმი, რომელზედაც არჩეულ იქნა რაიკომის პრეზიდიუმი 19 წევრის და 9 კანდიდატის შემადგენლობით.

პრეზიდიუმის წევრებად არჩეულ იქნენ: ამხ. ამხ. მორჩილაძე, გობეჩია, ადამიძე, კუდრიავცევი; იაგნეტინსკი; ლუჩანსკაია; ნიკიტინი, მიკირტიჩიანი, ადამაძე, ვაინგესი; გენკინი; სალუქვაძე; მამუკაშვილი, თხილავა, ნიკოლაიშვილი, ეგანოვი, გაბუნია, ბოჭორიშვილი და პატარაია.

კანდიდატებად: ჩუბინიძე, ჯიქია, რუხაძე, ჭურღულია; ბაინდუროვი; ძაგანია; მიხელსონი; გულბისი და ბაინდუროვი.

რაი - პარტკომისიაში არჩეულ იქნენ: წევრებად: ამხ. მიკირტიჩიანი (თავმჯდომარე), ლომიძე ს. ნ. მღებრიშვილი, კრაუპი, სამოილოვი, ხომერიკი; კვიტაშვილი; რუხაძე; გეგენავა. კანდიდატებად: თარხანოვი, ბადალოვი, გულივერდაშვილი, სოკოლინსკაია; რაიკომის პ. მგ. მდივნათ პლენუმმა დაამტკიცა ამხ. მორჩილაძე; საორგანიზაციო განყოფილების გამგედ ამხ. გობეჩია, სააგიტ. საპროპ. განყოფილების გამგედ ამხ. თ. ადამიძე, ქალთა განყოფილების გამგედ ამხ. ჯიქია.

მრეწველობის განვითარების საკითხები და მემარჯვენე გადახრა

ჩვენი პარტიის მემარჯვენე ელემენტები მოითხოვენ, რომ მრეწველობის განვითარების ტემპი შენელებულ იქნას. ამასთან ერთად ისინი მოითხოვენ კაპიტალურ მშენებლობის ისე წარმოებას, რომ მეტი თანხები დაბანდებულ იქნას მსუბუქ მრეწველობაში.

ორივე ამ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოციალისტური მშენებლობისათვის. ამიტომ მათ უნდა მოვეპყრათ უაღრესი ყურადღებით.

მისაღებია თუ არა მემარჯვენეთა თვალსაზრისი ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელების და მსუბუქი ინდუსტრიის უფრო სწრაფი განვითარების შესახებ, ვიდრე მძიმე ინდუსტრიის? განვიხილოთ ეს საკითხი?

ტროცკისტულ ოპოზიციასთან პარტიას ჰქონდა დავა არა იმიტომ, რომ ტროცკისტები ინდუსტრიალიზაციის მომხრე იყო და პარტია კი მისი წინააღმდეგი. ტროცკისტები მოითხოვდენ მრეწველობის ისეთ განვითარებას, რომლის შესაძლებლობა ჩვენს ქვეყანას არ ჰქონდა. მათი პლატფორმა იყო „ზეინდუსტრიალიზმი“, ე. ი. ისეთი პოლიტიკა ინდუსტრიალიზაციისა, რომელიც პროლეტარიატს გადაკიდებდა გლეხკაცობას, რომელიც გლეხკაცობის ფართე ფენებს აამხედრებდა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ. ერთის სიტყვით, ეს პოლიტიკა დაარღვევდა კავშირს მუშათა კლასსა და მშრომელი გლეხკაცობის ფართე ფენებთან და ამით დაანგრევდა თვით საფუძველს სოციალისტური მშენებლობისას.

ჩვენმა პარტიამ უარყო ეს „ზეინდუსტრიალური“ ტენდენციები. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პარტიამ უარყო ინდუსტრიალიზაციის კურსი რომ მას მიუღებლათ მიაჩნდა ჩვენი ქვეყნის გადაქცევა სამრეწველო ქვეყნათ. სწორედ მაშინ, როდესაც პარტიას სასტიკი ბრძოლა ჰქონდა ტროცკისტებთან, მეთოთხმეტე ყრილობამ წამოაყენა ლოზუნგი **ინდუსტრიალიზაციისა.** მეთოთხმეტე ყრილობამ მისცა ყველა პარტიულ და სამეურნეო ორგანოებს დირექტივა — აწარმოონ ეკონომიური მშენებლობა იმნაირათ, რომ საბჭოთა კავშირი, რომელსაც დღეს შემოაქვს მანქანები საზღვარგარეთიდან, გადაიქცეს ისეთ ქვეყნათ, რომელიც შიგნით ამზადებს ყველა ამ მანქანებს.

მეორე ადგილას მე-XIV-ტე ყრილობის რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირი უნდა გადავაქციოთ ეკონომიურათ დამოუკიდებელ ქვეყნათ, ისეთ ქვეყნათ, რომელიც არ გადაიქცევა კაპიტალისტური მსოფლიო მეურნეობის უბრალო დამატებათ. სწორედ ამიტომ, ნათქვამია რეზოლიუციაში, საჭიროა ინდუსტრიალიზაციის კურსი, განვითარება ისეთი საწარმოო დარგებისა, რომლებიც ამზადებენ საწარმოო საშვალებებს.

მე-XV-ტე ყრილობას კი არ უარუყვია ეს კურსი, არამედ მან კიდევ უფრო ხაზი გაუსვა მის საჭიროებას. მე-XV-ტე ყრილობა ავალებს ცეკას, ნათქვამია რეზოლიუციაში, **შეუნელებელი** ტემპით აწარმოოს პოლიტიკა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი ჩამორჩენილი ქვეყანა გადავაქციოთ სამრეწველო ქვეყნათ. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დავეწიოთ კაპიტალისტურ ქვეყნებს და კიდევაც გავასწროთ მათ.

ასეთი იყო პარტიის ხაზი მე-XIV-ტე ყრილობის შემდეგ. ასეთ პოლიტიკას ატარებდა და ატარებს ის ცხოვრებაში. პარტია ცდილობდა აეღო ისეთი ტემპი მრეწველობის განვითარებისა, რომლის რეალური შესაძლებლობა ჩვენ მოგვეპოვებოდა.

ეხლა მემარჯვენე ელემენტებისაგან გაისმის ხმები, რომ აღებული ტემპი ინდუსტრიალიზაციისა მეტად სწრაფია და მიუღებელი. ისინი ამტკიცებენ, რომ საჭიროა **შევანელოთ** ეს ტემპი და განვავითაროთ უმთავრესად **მსუბუქი** ინდუსტრია.

მემარჯვენეთა თვალსაზრისის მიღება იქნებოდა უარყოფა მე-XIV-ტე და მე-XV-ტე პარტიული ყრილობების დადგენილებებისა. ეს იქნებოდა აშკარა რევიზია პარტიის გენერალური ხაზისა. ეს იქნებოდა გამარჯვება ჩვენი მტრებისა, იმ კაპიტალისტური ელემენტებისა, რომელთაც სძაგს ჩვენი **სოციალისტური** მრეწველობა და სულ იმაზე ოცნებობენ, თუ როგორ შეაფერხონ მისი განვითარება.

რატომ არ უნდა შევანელოთ ჩვენ ინდუსტრიალიზაციის ტემპი? რატომ უნდა ვიზრუნოთ ჩვენ იმაზე, რომ ეს ტემპი შეძლების და გვარად კიდევ უფრო გაძლიერდეს?

უპირველესად ყოვლისა სახეში უნდა ვიქონიოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმე გარეშე კაპიტალისტური ქვეყნებისაგან. კაპიტალისტურ ქვეყნებმა მოახერხეს თავიანთი მრეწველობის კიდევ უფრო წინ წაყვანა და განვითარება. განსაკუთრებით ისინი ზრუნავენ საომარ საშვალებათა ზრდაზე და ავითარებენ სათანადო საწარმოო დარგებს. ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ ომის დროს მრეწველობის მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ბრძოლა თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულ კაპიტალისტურ ქვეყნების წინააღმდეგ შეუძლებელი იქნება. თუ ჩვენ არ გვექნა საკუთარი ძლიერი ინდუსტრია. ჩვენ არ გვექნება საშვალება დავიცვათ თავი გარეშე მტრებისაგან თუ არ ვიზრუნებთ ჩვენი მრეწველობის სწრაფ განვითარებაზე. მაშასადამე, მრეწველობის საკითხი ჩვენი **თავდაცვის** საკითხია და ამიტომ ყოველგვარი ლაპარაკი მისი ტემპის შენელების შესახებ მოასწავებს გარეშე მტრებისაგან თავდაცვის საქმის შესუსტებას და შენელებას.

მაგრამ არის კიდევ სხვა მოსაზრებებიც, რომლებიც გვეუბნებიან იმაზე, რომ მემარჯვენეთა თვალსაზრისი მიუღებელია.

მიმდინარე წელში წამოჭრილ სამეურნეო სიძნელეებმა ნათელჰყო, რომ საჭიროა გაძლიერება სასოფლო მეურნეობის ტემპისა, კერძოდ კი მარცვლეული კულტურების განვითარების ტემპისა. ამისათვის კი საჭიროა განვითარება იმ სამრეწველო დარგებისა, რომელიც სასოფლო სამეურნეო იარაღებს და რთულ მანქანებს ამზადებს. გლეხკაცობას ესაჭიროება დღეს ეს რთული მანქანები, ტრაქტორები და სხვ. მათი მოთხოვნილება არ არის მარტო მოხმარებითი ხასიათის. ისინი მოითხოვენ არა მარტო ჩითს, მიტკალს და სხვ., არამედ საწარმოო საშვალებებს, მანქანებს, ტრაქტორებს და სხვ. ჩვენი სოფლის მეურნეობა ჩამორჩენილია. წარმოება იქ დაქუცმაცებულია პარტიამ დაისახა მიზნათ სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ მეურნეობათ გადაქცევა, გლეხკაცობის მეურნეობათა გადაკეთება კოლექტიურ მსხვილ მეურნეობებათ. მან წამოაყენა ლოზუნგი სოფლის მეურნეობის **კოლექტივიზაციისა,** როგორც მთავარი პრაქტიკული ამოცანა.

როგორ შეიძლება ამ ლოზუნგის განხორციელება?

როგორ შეიძლება ამ ამოცანის გადაწყვეტა?

ჩვენ შევსძლებთ ამ ლოზუნგის განხორციელებას მხოლოდ მაშინ, თუ ინდუსტრიალიზაციის ტემპს არ შევანელებთ, თუ ვიზრუნებთ იმაზე, რომ ეს ტემპი შეძლებისამებრ კიდევ გაიზარდოს.

ჩვენს წინაშე სდგას არა მარტო კოლექტივიზაციის პრობლემა, არამედ ინდივიდუალურ მეურნეობათა (საშვალო და ღარიბ გლეხთა) განვითარების პრობლემაც, მათი წინსვლისათვის ხელის შეწყობა. პარტიამ წამოაყენა ლოზუნგი მოსავლიანობის გადიდებისა. მაგრამ ამ ამოცანის გადაწყვეტაც არ შეიძლება ინდუსტრიალიზაციის აღებული ტემპის გარეშე.

ეხლა ავიღოთ ქვეყნის **ქიმიზაციის** პრობლემა. ყველამ იცის თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გლეხის მეურნეობისათვის ქიმიურ სასუქს. არ შეიძლება ვიზრუნოთ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციაზე, მისი მოსავლის ზრდაზე ისე, თუ არ ვიზრუნეთ იაფი ქიმიური სასუქის მიწოდებაზე სოფლისათვის. ეს ჩვენი უდიდესი ამოცანაა. აქაც ჩვენ საშინლათ ჩამოვრჩით დასავლეთი ევროპის და ამერიკის ქვეყნებს. ამ ჩამორჩენილობას ნათლათ [illegible]

მინერალური სასუქის მოხმარება ფუთებში უდრიდა ერთ ჰექტარზე

ჰოლანდიაში	39,4
ბელგიაში	20,1
გერმანიაში	17,9
იაპონიაში	10,2
საფრანგეთში	5,6
ჩრდ. ამერიკაში	1,8
საბჭ. კავშირში	0,055

ამ ციფრებს კომენტარიები აღარ უნდა. ისინი ნათლად გვეუბნებიან, რომ მინერალური სასუქის მოხმარების მხრივ ჩვენი გლეხკაცობა სასტიკათ ჩამორჩენილია ყველა აქ ჩამოთვლილ ქვეყნების გლეხკაცობისაგან.

როგორ შეიძლება, რომ ამ მხრივაც დავეწიოთ კაპიტალისტურ ქვეყნებს და მათ გავასწროთ კიდეც? როგორ შეიძლება გავავრცელოთ ქიმიური სასუქის მოხმარება ჩვენში?

ამისათვის საჭიროა სათანადო საწარმოო დარგის — ქიმიური მრეწველობის სწრაფი განვითარება. ეს კი შეუძლებელია ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელების დროს.

ეხლა თუ დავაყენებთ ისეთ საკითხს, როგორიც არის საქონლის სიმცირის მოსპობა, მაშინაც აშკარა იქნება, რომ ამ შიმშილობის მოსპობა ჩითზე, მიტკალზე და სხვ. შეუძლია მხოლოდ ინდუსტრიის სწრაფ განვითარებას. გლეხ-კაცობას ესაჭიროება მეტი ჩითი მეტი მიტკალი. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მაშინ შესძლებს ჩვენი მრეწველობა, თუ ის ოდნავათაც არ შეანელებს განვითარების ტემპს.

ჩვენ განზრახ დავაყენეთ აქ სასოფლო-მეურნეობის საკითხები, გლეხკაცობის ინტერესები. სწორედ გლეხკაცობის ინტერესები, მისი წინმსვლელობა და პროგრესი მოითხოვს ჩვენი ქვეყნის მრეწველობის სწრაფ ზრდას. ინდუსტრიალიზაციის გარეშე შეუძლებელია სოფლის მეურნეობის აყვავება და წინსვლა.

ეხლა დავსვათ მეორე საკითხი.

რა არის მთავარი გენერალური ამოცანა პროლეტარიატისა ძალა-უფლების დაპყრობის შემდეგ?

მისი მთავარი ამოცანა მდგომარეობს **სრულ სოციალისტურ საზოგადოების შექმნაში, კლასების საბოლოოდ მოსპობაში.** ამ გრანდიოზული ამოცანის გადაწყვეტაც მუშათა კლასს არ შეუძლია ინდუსტრიალიზაციის გარეშე.

ერთის სიტყვით, რანაირადაც არ [illegible] რომ არ შეიძლება ლაპარაკი ჩვენი პარტიული ყრილობების დადგენილების რევიზიაზე, ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელებაზე.

მაგრამ აქ იბადება მეორე კითხვა. რომელ ინდუსტრიაზე გვაქვს ჩვენ ლაპარაკი? რა არის მთავარი ინდუსტრიალიზაციაში? რომელი დარგები ინდუსტრიისა უნდა განვითარდეს უფრო სწრაფად?

მემარჯვენე ელემენტები მოითხოვენ უმთავრესად **მსუბუქი** ინდუსტრიის ზრდაზე ზრუნავს. ჩვენ გვაქვს ნაკლებობა ჩითის, მიტკალის და სხვ. ამბობენ ისინი, და ამიტომ უნდა ვიზრუნოთ იმ საწარმოო დარგების განვითარებაზე, რომელიც ამ საქონელს ამზადებენ.

დიდი დაფიქრება არ არის საჭირო, რომ აშკარა იქნეს მიუღებლობა მემარჯვენეთა ასეთი თვალსაზრისისა. თქმა არ უნდა, რომ უნდა განვითარდეს სწრაფი ტემპით საფეიქრო მრეწველობა, მაგრამ ეს არ შეიძლება ისე, თუ არ განვითარდა **მძიმე ინდუსტრია,** რომელიც მიაწვდის საფეიქრო მრეწველობას მანქანებს. მეორეს მხრივ საფეიქრო მრეწველობის განვითარებისათვის საჭიროა ნედლი მასალა—ბამბა. მებამბეობის განსავითარებლად კი საჭიროა სასოფლო - სამეურნეო მანქანების დამზადება. ქიმიური სასუქის წარმოება და სხვ. ე. ი. აქაც ჩვენს წინაშე სდგება საკითხი მძიმე ინდუსტრიის განვითარებისა.

როგორც ვხედავთ, მძიმე ინდუსტრიის განვითარება მთავარი პირობაა და საფუძველია მსუბუქი ინდუსტრიის განვითარებისათვის, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის საერთოდ. ზევით ჩვენ ვილაპარაკეთ სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ. ჩვენ დავინახეთ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება წარმოუდგენელია მძიმე ინდუსტრიის განვითარების გარეშე. ეხლა ჩვენ ვხედავთ, რომ შეუძლებელია ლაპარაკი მსუბუქი ინდუსტრიის განვითარებაზეც მძიმე ინდუსტრიის განვითარების გარეშე.

მაშასადამე, მძიმე ინდუსტრიის უფრო სწრაფი განვითარება, ვიდრე მსუბუქი ინდუსტრიის, არის **ცენტრალური** საკითხი ინდუსტრიალიზაციისა საზოგადოთ. ეს არის საკითხთა საკითხი, [illegible] ის გვაძლევს გასაღებს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის წინმსვლელობისა და წარმატებისათვის.

სწორედ ამიტომ იყო, რომ პარტიულ ყრილობებს და სხვა პარტიულ ორგანოებს არა ერთხელ აღუნიშნავს მძიმე ინდუსტრიის უფრო სწრაფი ტემპით განვითარების საჭიროება. სწორედ ამიტომ კაპიტალური მშენებლობის პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ მეტი თანხები ყოფილიყო დაბანდებული მძიმე ინდუსტრიაში. მოვიყვანოთ სათანადო ციფრები, რომლებიც აშკარად გახდიან ჩვენი პარტიის პოლიტიკას კაპიტალური მშენებლობის საკითხში. დავყოთ ყველა სამრეწველო დარგები ორ ჯგუფათ — „ა“ (მძიმე ინდუსტრიის დარგები) და „ბ“ (მსუბუქი ინდუსტრიის დარგები). მაშინ ჩვენ მივიღებთ კაპიტალურ დაბანდებათა შემდეგ დინამიკას პროცენტებში.

როგორც ვხედავთ, მთელი ამ ოთხი წლის განმავლობაში ჩვენ გაცილებით მეტ კაპიტალურ თანხებს ვხარჯავდით მძიმე ინდუსტრიაზე, ვიდრე მსუბუქ ინდუსტრიაზე. ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში მძიმე ინდუსტრიის ხვედრითი წონამ იმატა. მიმდინარე წელში კი დაახლოვებით ხუთ პროცენტს მოიმატებს მისი ხვედრითი წონა. ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენ მიმდინარე წელს შედარებით კიდევ უფრო მეტ კაპიტალურ თანხებს დავხარჯავთ მძიმე ინდუსტრიაზე, ვიდრე დახარჯეთ შარშან.

სწორია თუ არა პარტიის ასეთი პოლიტიკა? რა თქმა უნდა, სწორია. ჩვენს პირობებში ერთად-ერთი სწორი შეიძლება იყოს მხოლოდ ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა. და აი ამ პოლიტიკას ატარებს პარტია.

ჩვენი ქვეყანა ძალიან ჩამორჩენილია დასავლეთ ევროპის და ამერიკის კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით. ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ ნახევრათ ველურია. ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი ხილია ბევრი ახალი ტეხნიკური მოპოებანი კაპიტალისტური ქვეყნებისა.

თუ გვინდა, რომ ჩვენი ქვეყანა ამოვიყვანოთ ამ ნახევრათ - ველურ მდგომარეობიდან, თუ ჩვენ გვინდა თავი დავაღწიოთ უკულტურობას და ეკონომიურ ჩამორჩენილობას, საჭიროა სწრაფი ნაბიჯით გავსწიოთ წინ ჩვენი ქვეყნის მძიმე ინდუსტრიის ქვეყანათ გადაქცევისაკენ.

თუ ჩვენ გვინდა სოფლის გლეხკაცობის ფართე მასები ამოვიყვანოთ ღატაკურ მდგომარეობიდან და მივსცეთ მათ ნივთიერი აღორძინების საშუალება, საჭიროა ვიზრუნოთ ჩვენი ჩამორჩენილი მრეწველობის სწრაფ განვითარებაზე.

თუ ჩვენ გვინდა გადავსწყვიტოთ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის უდიდესი პრობლემა და გამოვიყვანოთ გლეხკაცობა სოციალისტური მსხვილი წარმოების ფართე გზაზე, საჭიროა განვავითაროთ ელექტროფიკაციის საქმე, ქიმიური მრეწველობა, მძიმე ინდუსტრია საერთოდ.

თუ ჩვენ გვინდა გავხდეთ სოციალისტური მეურნეობის ქვეყანათ, თუ ჩვენ გვინდა არ გადავიქცეთ მსოფლიო კაპიტალიზმის დამატებათ და შევინარჩუნოთ ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა, საჭიროა მტკიცეთ და გადაჭრით წავიდეთ ჩვენი ინდუსტრიის შეუნელებელი (მე-15 ყრილობის დადგენილება) ზრდა-განვითარების გზით.

ყველა აქ ჩამოთვლილი ამოცანები სდგას ჩვენს წინაშე, როგორც პრაქტიკული ამოცანები, რომელთა გადაჭრაზე ჩვენ უნდა ვიზრუნოთ.

სწორედ ამიტომ მიუღებელია მემარჯვენე ელემენტების თვალსაზრისი მრეწველობის განვითარების საკითხებშიაც. მათი თვალსაზრისი არის თვალსაზრისი ჩვენი სოციალისტური მშენებლობის დანგრევისა და უკან დაბრუნებისა — შავი წარსულისაკენ.

ჩვენი მთავარი ლოზუნგი კი არის ლოზუნგი წინსვლისა, ლოზუნგი სოციალისტური განვითარებისა.

არა უკან დახევა, არამედ შეუპოვარი ბრძოლა და შეტევა ყველა მტრების წინააღმდეგ არსებულ სიძნელეთა და დაბრკოლებების გადასალახავად და წინმსვლელობისათვის გზის გასაკაფავად.

წინ, სრული სოციალისტური საზოგადოების შექმნისაკენ ინდუსტრიალიზაციის მაქსიმალურათ შესაძლებელი ტემპის აღებით!

ასეთია პარტიის ხაზი მრეწველობის განვითარების საკითხებში.

კ. ორაგველიძე.

მარგანეცი

რა გაკეთდა ჭიათურაში ორი თვის განმავლობაში

(ტელეგრაფით ჩვენი ჭიათურელი კორესპონდენტისაგან)

	ამოღებულია მარგანეცი	გარეცხილია	სულ გატანილია ფოთში გარეცხილი	მუშაობდა		
				მაღარო	ქარხანა	მუშა
ოქტომბერში	36.366 ტონა	21.614 ტ.	28.344 ტ. აქედან პეროქსიდი 1533 ტ.	7	6	2253
ნოემბერში	55.828 „	36.987 „	23.493 „ „ „ 2217 „	12	8	2706

ჭიათურა, 10 ნოემბერი.

ჭიათურის მიდამოებში

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

თაბაგრები

გზა, ვიწრო და ტალახიანი, მისდევს მდინარე ყვირილას.

— საჩხერესთან ყვირილა ისეთი სუფთაა, რომ სარკედ გამოადგება ადამიანს—ამბობს საჩხერელი გლეხი, რომელიც ჩამოსულა სამუშაოს საძებრად ჭიათურაში—აქ კი ნახე რა ტალახიანია, შავი და საზარელი, ან კი რა ქნას საცოდავმა, მთელი შავ ქვას მაგას არეცხინებენ.

მართლაც, არასასიამოვნო სანახავია ყვირილა ჭიათურაში: ულაზათოდ მიაქანებს შავ ტალღებს და სადაც კი გაივლის, სტოვებს ჭუჭყიან კვალს.

დაწყებული ჭიათურიდან ვიდრე დარკვეთამდე, ყვირილაზე და მის შესართავ პატარა მდინარეებზე, მარჯვნივ და მარცხნივ, გამართულია შავი ქვის სარეცხი ქარხნები, სადაც ყოველდღიურათ ირეცხება მრავალი ათასი ფუთი შავი ქვა. სუფთა, ანკარა ყვირილა იქცევა შავ-ტალახიან მდინარეთ.

მავთულის საჰაერო გზა მადნის გადასაზიდათ

ჭიათურა მიეფარა თმებს. დავსტოვეთ ყვირილას ხეობა და შეუდექით თაბაგრების აღმართს. გზა ვიწროა, კლდოვანი და მეტად სახიფათო. მაგრამ აქაური მარდი ცხენები სწრაფად მიჰქრიან ზევით.

მთელი ხეობა, კლდეები, შენობები, სასაცილოდ წამოსკუპებული პატარა წისქვილები—ყველაფერი დაფარულია შავი ქვის მტვერით. მტვერი მაგრად არის ჩაკრული კლდეში, კედლებში და მას ველარ გადარეცხს ვერც ჩხაპუნა წვიმა, ვერც მდინარე.

გავედით ვაკეზე. ცხენებმა თავისუფლად ამოისუნთქეს.

გავემართეთ თაბაგრების მაღაროებისაკენ.

მარჯვნივ და მარცხნივ მთები დახრულია სადაც კი შესაძლებელი ყოფილა, ამ მიდამოების კერძო მესაკუთრეებს დაუთხრიათ მთები და ამ ხვრელებიდან უზიდიათ შავი ქვა, რომელიც დიდი რაოდენობით მოიპოვება თაბაგრებში.

კერძო მესაკუთრეებისათვის არ არსებობდა არავითარი გეგმა. კერძო მესაკუთრე ხელმძღვანელობდა ერთი მოსაზრებით: გამოეწოვა მიწიდან რაც შეიძლება მეტი სიმდიდრე. იგი არ აქცევდა არავითარ ყურადღებას გეგმიან მუშაობას, მაღაროების მოწყობა-გამაგრებას.

მუშებს უხდებოდათ მუშაობა აუტანელ პირობებში, სრულიად მოუწყობელ მაღაროებში.

თაბაგრების სექცია (ასე ეწოდება თაბაგრების მიდამოების მაღაროებს) 1925 წელს გადავიდა კონცესიონერ ჰარიმანის ხელში. ოთხი წლის განმავლობაში დღევანდლამდე ამ მიდამოებში მუშაობა არ წარმოებულა.

ამერიკელებს გაუძარცვავთ აქაურობა. აუყრიათ ლიანდაგი, რომლითაც სწარმოებდა შავი ქვის გადაზიდვა მაღაროებიდან სარეცხ ქარხნებამდე, გაუზიდიათ ვაგონეტკები სხვა მაღაროებში.

შავი ქვის ტრესტმა თაბაგრების მაღაროები ჩაიბარა ამერიკელებისაგან სავსებით განადგურებული. არც ერთი მაღარო არ იყო ისეთ მდგომარეობაში, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათში მუშაობის წარმოება.

თაბაგრების მაღაროების აღდგენა დაიწყო მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრიდან.

დღეს აქ მუშაობს 160 კაცი.

6 მაღარო შეკეთებულია და მთლიანად სწარმოებს შავი ქვის ამოღება.

აი მაღარო № 2, ერთი თვეა, რაც დაიწყო მან მოქმედება. შეკეთებულია ახლად. შესავალი საიმედოთ არის გამაგრებული მუხის ხეებით საერთოდ უნდა ითქვას, რომ ყოველი მაღარო ისეა მოწყობილი, რომ უბედურ შემთხვევებს არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

ლამპით ხელში შედიხარ გვირაბში. წელში უნდა მოიხარო, თორემ ჭერს მიარტყამ თავს.

გზა და გზა, განსაზღვრულ მანძილზე დადგმულია ნავთის ლამპები, რომლებიც უშუქებენ გზას შავი ქვის მზიდავებს. მაღაროში დაგებულია ლიანდაგი ვაგონეტკებისათვის.

ბენზინომავალი მადნის გადასაზიდათ გადააქვს 1200—1400 ფუთი

მივაღწიეთ ის ალაგს, სადაც მუშა წერაქვით ხელში სთხრის ნიადაგს და იღებს მადანს.

მადანს ძებნა არ სჭირდება, რადგან იგი მრავლად არის აქ.

— ნიადაგი მდიდარია საუკეთესო ხარისხის მადნით—ამბობს სექციის უფროსი ინჟინერი ქართველიშვილი—საერთოდ, თაბაგრები მდიდარია შავი ქვით, და, მოკლე ხანში, როდესაც აღდგენილი იქნება ყველა მაღაროები, თაბაგრები მოგვცემს შავი ქვის დიდ რაოდენობას.

მაღაროში მუშაობს ორი კაცი; ერთი წერაქვით ხელში იღებს შავ ქვას, მეორე—ნიჩბით ტვირთავს ვაგონეტკებს. ამ მუშებისათვის შემოუღიათ თავისებური სახელწოდება: წერაქვიანს ეწოდება მნგრეველი, ნიჩბიანს—მენიჩბე.

დატვირთულ ვაგონეტკებს ე. წ. უკუმგორებლები მიაგორებენ მაღაროს გამოსავალ კარებამდე ხელით. აქ სამ ოთხ ვაგონეტკას გადააბამენ ერთი მეორეზე და ცხენით ეზიდებიან ქარხნებამდე.

მაღაროებთან მოწყობილია სასწორი. აქ იწონება გაურეცხავი მადანი.

თაბაგრების მაღაროები ყოველდღიურად იზრდება, მატულობს ამოღებულ მადნის რაოდენობა.

პირველ ნოემბერს ერთი მაღარო 7 საათის განმავლობაში იძლეოდა 1871 ფუთ მადანს. 26 ნოემბერს ამ მაღაროში 7 საათის განმავლობაში ამოღებული იქნა უკვე 3684 ფუთი მადანი.

შემდეგ მადნის ეს რაოდენობა უფრო გაიზრდება, რადგან მუშაობა ჩადგება ნორმალურ კალაპოტში, მაღაროები უფრო მოეწყობა და ყველა ეს გამოიწვევს შრომის ნაყოფიერების ზრდას.

თაბაგრების მუშები.

თაბაგრების მაღაროებში დღეს-დღეობით მუშაობს 160 კაცი. მუშების ეს რიცხვი—მუშაობის გაფართოვებასთან ერთად—მოკლე ხანში გაიზრდება.

მაღაროებთან, ვაკე ადგილზე, აგებულია მოზრდილი, ორსართულიანი ქვითკირის მუშათა საცხოვრებელი სახლი.

უკვე ორი თვეა, რაც თაბაგრების მაღაროებში დაიწყო მუშაობა. მაგრამ ეს სახლი არ არის შეკეთებული და მოწყობილი ისე, რომ მასში შეიძლებოდეს ცხოვრება.

იმ მუშებს, რომლებიც მოსულან სამუშაოდ შორი სოფლებიდან, ამ სახლში უხდებათ ღამის გათევა.

ოთახები მოუვლელი, უსუფთაო, ნაგვიანი, საწოლები ჭუჭყიანი.

რაც მთავარია, არ არის პირისსაბანი, რომ მუშამ მაღაროდან გამოსვლისას, დაიბანოს პირი და ხელები.

ურემი ხარით მადნის გადასაზიდათ

სანოვაგეც მუშებს თან მოაქვთ, რადგან ახლო მახლო არ არის არც სასადილო, არც კოოპერატიული დუქანი, სადაც შეიძლებოდეს რაიმე სანოვაგის შეძენა.

ჯერ-ჯერობით თაბაგრების მუშებს შორის არ მიმდინარეობს არავითარი პოლიტსაგანმანათლებლო და კულტურული მუშაობა. არ არის მოწყობილი არც კლუბი, არც წითელი კუთხე. ამას უნდა მიექცეს ყურადღება.

ე. ხუციშვილი.

ჭიათურა, 8 დეკემბერი.

ჭიათურის ქრონიკა

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ბინები მუშებისათვის

ჭიათურის მაღაროებში მუშაობის გაფართოებასთან დაკავშირებით შავი ქვის ტრესტის წინაშე დისვა საკითხი მუშების ბინების შესახებ. არსებული ბინები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას და საჭიროა ახალი ბინების აგება.

შავი-ქვის ტრესტის ცნობით მუშებისათვის ბინების ასაგებად გადადებულია 500.000 მანეთი, ბინების აგებას ტრესტი შეუდგება მომავალი წლის გაზაფხულზე.

ამჟამად მიმდინარეობს არსებულ ბინების კაპიტალური შეკეთება.

„მოხალისეთა“ არტელები

ჭიათურის მაღაროებში, ყვირილის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე, მრავლად მოიპოვება ე. წ. ნაცხრილები—შავი-ქვის მადანი, რომელიც წამოიღო მაღაროებიდან და ქარხნებიდან ღელის წყლებმა.

პირველ ხანებში, როცა ტრესტი შეუდგა მუშაობას, ნაცხრილებს დაეპატრონენ კერძო მწარმოებლები. ესენი აგროვებდნენ ნაცხრილებს დაქირავებულ მუშების საშუალებით და ჰყიდდნენ ტრესტზე.

ტრესტმა მიაქცია ყურადღება ამ მოვლენას და ნაცხრილების მოგროვება გადასცა აქაურ გლეხკომს, რომელმაც შეადგინა „მოხალისეთა“ არტელები — ნაცხრილების გასარეცხად და ურმებით სადგურზე მისაზიდათ.

გლეხკომს უკვე ჰყავს 20-მდე არტელი ყვირილის მარცხენა ნაპირზე. ასეთივე არტელები დაიწყებენ მუშაობას ყვირილის მარჯვენა ნაპირზე.

ცენტრალური სარეცხი ქარხნის აგება

ჭიათურის შავი-ქვის ტრესტს გადაწყვეტილი აქვს მრავალი შავი-ქვის მადნის სარეცხი ქარხნების მაგივრად ააგოს ერთი ცენტრალური სარეცხი ქარხანა, რომელიც მოწყობილი იქნება ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

გამოყოფილი იყო სპეციალური კომისია, რომელმაც დაათვალიერა ჭიათურის მიდამოები და ამოირჩია ადგილი ქარხნისათვის.

ქარხანა აგებული იქნება ჭალის ღელეში.

ტრესტის ცნობით გერმანიიდან უკვე გამოემგზავრა ჭიათურისაკენ ცნობილი ინჟინერი, შავი-ქვის წარმოების მცოდნე, ვაგნერი, რომელიც ადგილობრივ გაეცნობა ჭიათურას და გაუწევს ხელმძღვანელობას ქარხნების აშენების საქმეს.

შავი-ქვის ექსპორტი

ტრესტის მიერ მიღებული ცნობით, ფოთში მოელიან ხუთ უცხოელ გემს, რომლებიც გაიტანენ საზღვარგარეთ ჭიათურის შავ-ქვას.

ჭიათურიდან შორაპნისაკენ ყოველდღიურათ გადის შავი-ქვით დატვირთულ 5—6 მატარებელი.

საბჭოთა არჩევნებისათვის

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაცია, რომელიც უმთავრესად ღარიბი და საშუალო გლეხობის ორგანიზაციას წარმოადგენს, სავსებით უნდა დაირაზმოს და პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან ერთად ცხოველი და აქტიური მონაწილეობა მიიღოს როგორც არჩევნების წინასწარ, ისე საარჩევნო კამპანიაში. მან ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი ღარიბი და საშუალო გლეხობის დარაზმვას კულაკებთან საბრძოლველად. მან უნდა უჩვენოს გლეხობას თავისი მიღწევები როგორც სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში, ისე ღარიბი გლეხობისათვის სამეურნეო დახმარების გაწევის, გლეხობის მეურნეობათა საწარმოო კოოპერაციაში ჩაბმის და კოლექტივიზაციის საქმეში. მან ყველასათვის თვალსაჩინო უნდა გახადოს ის დახმარება, რომელსაც უწევენ გლეხობას პარტია, სახელმწიფო და მუშათა კლასი. გლეხობის ფართო მასებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემას და თვითკრიტიკის საფუძველზე გამოააშკარავონ მის მუშაობაში არსებული დეფექტები.

არჩევნების წინ გამართულ საანგარიშო კრებებზე სასოფლო-საკრედიტო ამხანაგობათა ხელმძღვანელებმა უნდა გააკეთონ მოხსენება თავიანთი მუშაობის შესახებ და გააშუქონ შემდეგი საკითხები:

1) კრედიტების მიმართულება გლეხობის ცალკე ფენების მიხედვით.
2) სესხების მიზნობრივი დანიშნულება, მათი სწორად განაწილება და გლეხობისათვის თავის დროზე მიცემა.
3) რამდენად შეეფერებიან გაცემული სესხები თავიანთი რაოდენობით და ვადით გლეხის სამეურნეო ღონისძიებებს.
4) ღარიბი გლეხობის საკრედიტო ფონდის განაწილება და მიზანშეწონილად გამოყენება.
5) ღარიბი გლეხობის კოოპერაციაში მოსაზიდათ მიღებული ღონისძიებანი და ამ მიზნისათვის გაცემული თანხების გამოყენება.
6) ღარიბი გლეხობის აქტიური მონაწილეობა ღარიბ გლეხთა კრედიტებისა და ღარიბი გლეხობის კოოპერატიული შეკავშირების ფონდის განაწილებაში.
7) ყოფილ წითელ არმიელ მეურნეთა დაკმაყოფილება კრედიტით.
8) სოფლის მეურნეობათა კოოპერატიული შეკავშირების პროცენტი ამა თუ რაიონში.
9) გლეხ-ქალთა მონაწილეობა საკრედიტო კოოპერაციაში და მის ხელმძღვანელ ორგანოებში.
10) ყველა იმ შემთხვევის გამოაშკარავება, როდესაც ღარიბი და საშუალო გლეხობისათვის სესხების მიცემის დროს ადგილი ჰქონდა თავდებობას.
11) გლეხობისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიწოდება.
12) ეძლევა თუ არა გლეხობას ყველა ის შეღავათი, რომელიც დაწესებულია სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიწოდების საქმეში.
13) პირველ რიგში ვის ეძლევა სასოფლო-სამეურნეო მანქანები, სასუქი და სამკურნალო მასალა.
14) რა როლს თამაშობს საკრედიტო ამხანაგობა კოლექტიურ მეურნეობათა მოწყობაში, როგორია კოლმეურნეობებისათვის კრედიტებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღების მიწოდების პირობები.
15) როგორ ხორციელდება ღარიბი გლეხებისა და მათი გაერთიანებებისათვის კრედიტების ვადის, პროცენტული განაკვეთების და სხ. დარგში დაწესებული შეღავათები.
16) როგორი მონაწილეობა მიიღო საკრედიტო ამხანაგობამ გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის და ინდუსტრიალიზაციის სესხის გავრცელებაში.
17) როგორ ტარდებოდა გაზაფხულის და შემოდგომის თესვის კამპანია, რა დეფექტებმა და დაბრკოლებებმა იჩინეს თავი კამპანიის დროს.
18) იცავენ თუ არა საკრედიტო დისციპლინას სესხის მიმღებნი.
19) ვადის გადაცილება და ამის მიზეზები.
20) დაწესებული საპაიო გადასახადი და მისი რეალურად აკრეფა.
21) საკრედიტო ამხანაგობათა საკრედიტო და სამეურნეო ოპერაციებში გლეხობის სახსრების მონაწილეობა ანაბარების სახით.
22) გლეხობის სახსრების სუსტად მიზიდვის მიზეზები.
23) საკრედიტო ამხანაგობათა საბჭოებისა და სარევიზიო კომისიების მუშაობა (აქტიური თუ პასიური).
24) დეფექტები საკრედიტო ამხანაგობათა ორგანოების—გამგეობის, სარევიზიო კომისიის, საბჭოს მუშაობაში.
25) როგორ ხელმძღვანელობას უწევენ საკრედიტო კოოპერაციის მუშაობას ადგილობრივი აღმასკომები და პარტიული ორგანიზაციები.

ყველა ზემოაღნიშნულ საკითხზე საკრედიტო ამხანაგობის ხელმძღვანელმა უნდა გააკეთოს მოხსენება მასისათვის სავსებით გასაგები ფორმით. თავის მხრივ ამომრჩეველთა მასამ უნდა დასვას საკითხები და უდიდესი აქტივობითა და ყურადღებით გააშუქოს ისინი, უნდა გამოააშკარავოს ყველა ის დეფექტი და დამახინჯება, რომელსაც ადგილი აქვს საკრედიტო ამხანაგობათა მუშაობაში, და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კულაკური ელემენტებისათვის კრედიტის მიცემის შემთხვევებს, ღარიბი გლეხობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საკითხებს, ყველა დაწესებული შეღავათების განხორციელებას, კრედიტის პირობების დაცვას და სხვ. ამომრჩევლებმა უნდა გამოიტანონ თავიანთი დადგენილებები სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საკითხის გამო ყველა იმ ღონისძიებების შესახებ, რომლის განხორციელებაც მათ საჭიროდ მიაჩნიათ ღარიბი და საშუალო გლეხობის მეურნეობათა კოლექტივიზაციისა, განვითარებისა და განმტკიცებისათვის, და შეიტანონ ეს გადაწყვეტილებანი დელეგატებისათვის მიცემულ დავალებებში.

სამაზრო-საარჩევნო საანგარიშო კრებებზედაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საკითხს, ეს საკითხი გაშუქებულ უნდა იქნას სამაზრო მასშტაბით.

რადგან მაზრებში საკრედიტო კოოპერაციის ცენტრები არ არსებობენ, სამაზრო კრებებზე მოხსენებები სასოფლო-სამეურნეო კრედიტის შესახებ უნდა გააკეთონ სასოფლო-სამეურნეო ბანკების ხელმძღვანელებმა და მუშაკებმა.

ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო კრედიტს დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის განვითარების და განმტკიცებისათვის, მეურნეობის გარდაქმნისა და სოფლად სწორი კლასობრივი ხაზის განხორციელებისათვის, ამიტომ აუცილებლად საჭიროდ უნდა ჩაითვალოს, რომ საარჩევნო-საანგარიშო კრებებზე დაისვას საკითხი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის შესახებ.

კ. ჩხენკელი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა

გუშინ საღამოს 6 საათზე საქ. ცაკში ამხ. ი. ვარძიელის თავმჯდომარეობით შესდგა ცენტრალურ საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელზედაც განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

საარჩევნო კამპანია წითელ არმიაში

წითელ არმიაში საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად დაარსებულია ცალკე საარჩევნო ქვე-კომისია, რომლის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ნემერზელმა, მომხსენებელმა სხდომას გააცნო არმიაში საარჩევნო კამპანიის ჩატარების გეგმა: რესპუბლიკის მთავარ ქალაქებში, სადაც ჯარის ნაწილებია, ცენტრიდან გაგზავნილი იქნებიან ამხანაგები რომლებიც უხელმძღვანელებენ არჩევნების ჩატარების საქმეს ადგილობრივ, გამოშვებული იქნება შესაფერი პლაკატები და ლოზუნგები ყაზარმებში გასაკრავათ და სხ.

სხდომამ დაამტკიცა წარმოდგენილი გეგმა ზოგიერთი ცვლილებით. ცვლილება უმთავრესად ეხება საარჩევნო ნორმას. ინსტრუქციის თანახმად, წითელ-არმიელებს, უფროსთა შემადგენლობას და მათი ოჯახის წევრებს ყოველ 50 კაცზე შეუძლია აირჩიონ ერთი დეპუტატი, კომისიამ დაადგინა: 50 კაცზე ერთი დეპუტატის არჩევის უფლება მიენიჭოს მხოლოდ წითელ-არმიელებს და უფშემადგენლობას. რაც შეეხება მათი ოჯახის წევრებს, ისინი არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ სათანადო საქალაქო საარჩევნო უბნებში დანარჩენ მოქალაქეებთან თანაბრად.

სულით ავათმყოფთა და პასუხისგებაში მიცემულ პირთა ოჯახის წევრების შესახებ

სულით ავათმყოფთა და პასუხისგებაში მიცემულ პირთა ოჯახის წევრების მონაწილეობის შესახებ არჩევნებში, საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ამხ. დ. ქუჩულორიამ რომელმაც აღნიშნა, რომ საარჩევნო ინსტრუქციის თანახმად, როგორც სულით ავათმყოფებს და პასუხისგებაში მიცემულ პირთ, ისე მათი ოჯახის წევრებს, რომლებიც იმყოფებიან მათთან მატერიალურ დამოკიდებულებაში, არა აქვთ საარჩევნო ხმის უფლება. მომხსენებელს საჭიროთ მიაჩნია ამ მუხლში შეტანილი იქნეს ცვლილება.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ სხდომამ დაადგინა საარჩევნო ინსტრუქციის იმ მუხლში, რომელიც ეხება საარჩევნო ხმის არა მქონეთა კატეგორიას შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება: სულით ავათმყოფთა და პასუხისგებაში მიცემულ პირების ოჯახის წევრებს მიეცეთ საარჩევნო ხმის უფლება. არჩევნებში მონაწილეობის საშუალება არ მიეცემა სახელმწიფოებრივ დანაშაულის ჩამდენთა და ისეთ პირთა ოჯახის წევრებს, რომელთაც დანაშაული ჩადენილი აქვთ რამდენჯერმე (რეციდივისტები, აფერისტები და სხვ.).

საარჩევნო ნორმა

ამხ. ქუჩულორიას მოხსენების შემდეგ სხდომამ ქ. თბილისისათვის დააწესა შემდეგი საარჩევნო ნორმა: წარმოების მუშები 35—200 კაცზე ირჩევენ 1 დეპუტატს, მუშა-მოსამსახურეები—ყოველ 200 კაცზე—1 დეპუტატს (თუ დაწესებულებაში ითვლება 200 მოსამსახურე, მაგრამ არჩევნებზე არ გამოცხადდა ყველა, საარჩევნო კრებას შეუძლია მიუხედავათ კრებაზე მონაწილეთა რაოდენობისა აირჩიოს 1 დეპუტატი).

დანარჩენი მოქალაქენი, რომლებიც გაერთიანებული არიან ორგანიზაციებში ყოველ 200 ამრჩეველზე 1 დეპუტატს ირჩევენ იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო კრებაზე გამოცხადდა 200 ამრჩეველი. კომისიამ აგრეთვე საჭიროდ სცნო დაწესებული იქნას ამრჩეველთა ახალი ნორმა რესპუბლიკის იმ ადგილებისათვის, სადაც მოწყობილია წარმოებები და სადაც არის მუშების საგრძნობი რიცხვი.

ამ მიზნით შესაფერი ინსტრუქციის გამომუშავება დაევალა ცაკის საორგანიზაციო განყოფილებას.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიის რწმუნებულები მაზრაში

შემდეგ კომისიამ დაამტკიცა წარმოდგენილი სია, რომლის მიხედვით ცენტრალურ საარჩევნო კომის. რწმუნებულებად დაინიშნენ: ქუთაისის მაზრაში ამხ. არ. მიქაძე, სენაკის მაზრაში ამხ. მ. ბედია (უზენაესი სასამართლო), სვანეთში—ამხ. ბ. ბერია (ჯანმრთ. კომისარიატიდან), ფოთში—ვ. ვაშაკიძე (სოც. უზრ. კომ.), რაჭა-ლეჩხუმში—ამხ. ელისაბედაშვილი (სახ. საგეგმო კომისია), ოზურგეთის მაზრაში—ამხ. ა. დოლიძე (ა.-კ. ცაკი), ზუგდიდში—ამხ. კ. ხომერიკი, აჭარისტანში—ამხ. ი. ვარძიელი, აფხაზეთში—ამხ. შ. მათიკაშვილი, გორისმაზრაში—ოდილავაძე (ა.-კ. პროფსაბჭო), ახალქალაქის მაზრაში—ათოევი (შრ. სახ. კომისარიატი), ახალციხეში—ამხ. რასულზადე (მ.-გ. ინსპექცია), შორაპნის მაზრაში—ამხ. ტრაპაიძე (ფინ. სახ. კომ.), კახეთის მაზრაში—ამხ. კაკაბაძე (სახ. საგეგმო კომისია), ბორჩალოს მაზრაში—ამხ. ტაგიევი, სამხრეთ-ოსეთში—ამხ. კალატოზოვი (სახ. სამ. ბანკი).

რწმუნებულები მაზრებში დარჩებიან მთელი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში და ადგილობრივ უხელმძღვანელებენ არჩევნების ჩატარების საქმეს.

კომისიამ მოისმინა ამხ. სტეფანოვის და ამხ. დიმოევის მოხსენებები არჩევნებში საშეფო საზოგადოებისა და ეროვნულ უმცირესობათა კომისიის მონაწილეობის შესახებ და დაამტკიცა მათ მიერ წარმოდგენილი გეგმები.

დასასრულ კომისიამ გამოყო საქმიანი კომისია ამხ. ი. ვარძიელის (თავმჯდ.), ნ. სვანიძის ვ. ბოლქვაძის ანთიძის ვ. ჯაფარიძის, დ. ქუჩულორიას, არუთინოვის და ნემერზელის შემადგენლობით.

საარჩევნო კამპანია აჭარისტანში

საბჭოთა არჩევნების მოსამზადებელი კამპანია აჭარისტანში გაცხოველებით მიმდინარეობს. უკვე შედგენილია ამრჩეველთა აღრიცხვის გეგმა. მთელი აჭარისტანი დაყოფილია 100 საარჩევნო პუნქტად. საარჩევნო კამპანიის სახელმძღვანელოდ გამოყოფილია ცენტრალური საარჩევნო კომისია რომელშიდაც შედიან პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ, კოოპერატიულ საზოგადოებრივ ორგანიზაციების, კომკავშირის და ქალთა განყოფილების წარმომადგენელი.

ქალ. ბათომი დაყოფილია ოთხ საარჩევნო რაიონად. თვითეულ რაიონისათვის მოწყობილია საარჩევნო კომისია. რაიონები დანაწილებულია საარჩევნო უბნებად, რომელზედაც მიმაგრებულნი არიან სარაიონო - საარჩევნო კომისიის წევრები. უბნებში არჩევნები ჩატარდება წარმოება- დაწესებულების მიხედვით. წარმოება-დაწესებულებებში არჩევნების მოწყობა პროფორგანიზაციების ხელმძღვანელობით.

თვითმშრომელთა, უმუშევართა და პროფკავშირის გარეშე მყოფ მშრომელთა ფენების აღრიცხვა დაკისრებული აქვს შრომის ბირჟას. საარჩევნო უფლება-აყრილთა სიები გამომუშავებული იქნება საფინანსო განყოფილების, სასამართლოების, მილიციის და სტატისტიკური ორგანოების მიერ მოწოდებულ ცნობების მიხედვით. ამრჩეველთა სიების და შავი სიების შედგენას ხელმძღვანელობას გაუწევენ სამისოდ სპეციალურად დაარსებული ტეხნიკური კომისიები.

მიმდინარე თვის შუა რიცხვებიდან აჭარისტანის მაზრებში მოწვეულია სოფლად მომქმედ ყველა საბჭოთა, კოოპერატიულ-პროფესიულ, ახალგაზრდობის და ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი არჩევნების პრაქტიკული საკითხების დასამუშავებლად. ამავე დროს თემებში ჩატარდება ღარიბთა და მოჯამაგირეთა ჯგუფების თათბირი, რომელზედაც დასმული იქნება საკითხი არჩევნებისათვის მასიური ხასიათის მიცემის შესახებ. ამავე თათბირზე განხილული იქნება საარჩევნო ინსტრუქციები. მთელი მოსამზადებელი მუშაობა უნდა დასრულდეს იანვრის დამდეგამდე. იანვრის პირველ რიცხვებიდან დაიწყება საბჭოთა-საანგარიშო კამპანია. ამჟამად სწარმოებს მასალების დამუშავება საანგარიშო კამპანიის ჩასატარებლად.

არჩევნები დაიწყება 1-ლი თებერვლიდან და დამთავრდება მარტის პირველი რიცხვებისათვის.

მოსამზადებელი მუშაობა ზუგდიდის მაზრაში

საქ. ცაკის ინსტრუქტორმა ამხ. გრ. კიზირიამ, რომელიც ახლახან დაბრუნდა ზუგდიდის მაზრიდან, ამ მაზრაში საბჭოთა არჩევნებისათვის მოსამზადებელი მუშაობის მიმდინარეობის შესახებ შემდეგი აცნობა ჩვენს თანამშრომელს: დეკემბრის პირველ რიცხვებში საბჭოთა მომავალ არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად ქ. ზუგდიდში შესდგა სამაზრო აღმასკომის გაფართოებული პლენუმი.

პლენუმს დაესწრნენ ყველა თემების და სოფლის საბჭოების თავმჯდომარეები და მდივნები, პარტიის თემკომების და უჯრედების მდივნები, მაზრის ქალთა აქტივი და მაზრის ცენტრში არსებულ სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პლენუმზე სამაზრო აღმასკომის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გრ. გაგუნიამ, ხოლო საბჭოთა მომავალ არჩევნების შესახებ—ამხ. ბ. ჯანაშიამ. ორივე მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 45-მდე დელეგატმა, მათ შორის გლეხ-ქალებმაც.

პლენუმმა აღმასკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო. მაზრაში საბჭოთა არჩევნების ჩატარების შესახებ პლენუმმა მიიღო პრაქტიკული ღონისძიებები. საარჩევნო ინსტრუქციის თანახმად შედგენილია საარჩევნო კომისია, რომელშიც შედიან სათანადო ორგანიზაციების, გლეხების და გლეხ-ქალების წარმომადგენლები.

კომისიას შედგენილი აქვს არჩევნების ჩატარების გეგმა და საანგარიშო საარჩევნო კალენდარული ცხრილი მთელი მაზრისათვის.

სამაზრო საარჩევნო კომისიას მთელი მაზრა დაყოფილი აქვს საანგარიშო და საარჩევნო უბნებად. საარჩევნო უბნების რიცხვი წელს მაზრაში გადიდებულია 27 პროცენტით.

სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა ქალთა აქტივის სამაზრო კონფერენციის ჩასატარებლად და აქტიურ და ავტორიტეტიან ქალების წამოსაყენებლად თემსაბჭოების თავმჯდომარეებათ.

სამაზრო ორგანიზაციებს და დაწესებულებებს ჯერ კიდევ საარჩევნო კომისიისათვის თავიანთი გეგმები საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესახებ არ წარუდგენიათ და არც ადგილებისთვისაა მიცემული დირექტივები, რაც, უეჭველია, უარყოფით გავლენას ახდენს მოსამზადებელ მუშაობის მიმდინარეობაზე.

მობილიზაციაქმნილია 41 მაზრის პასუხისმგებელი ამხანაგი, რომლებიც მიმაგრებულია ყველა თემებზე და სოფლებზე.

ღარიბთა შორის ჯერ მოსამზადებელი მუშაობა არ ჩატარებულა. არის ადგილები, სადაც ჩამოყალიბებული არ არის ღარიბთა ჯგუფები.

პლენუმის დადგენილების თანახმად ამხანაგების დაბრუნებისთანავე ადგილებზე უნდა შედგენილ იქნან სათემო და სასოფლო საარჩევნო კომისიები (უკანასკნელი დაარსდება სადაც სოფლის საბჭო არსებობს).

4 დეკემბერს შესდგა ტყაია-ბეჟახალის თემსაბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელსაც დაესწრო საბჭოს წევრთა 85 პროცენტი, სხვადასხვა ადგილობრივი ორგანიზაციების 11 წარმომადგენელი, ღარიბთა ჯგუფებიდან—50 კაცი, საშუალო გლეხთა აქტივიდან 41 კაცი და ქალთა სადელეგატო კრებიდან 12 გლეხ-ქალი და სხვ.

სულ სხდომას დაესწრო 135 კაცი. იმ სკოლის ეზოში, სადაც იყო სხდომა მოწვეული, თავი მოიყარეს ამ სოფლის ყოფ. თავადაზნაურებმა, რომლებიც უნდოდათ მონაწილეობა მიეღო სხდომაზე, რომ სათემო-საარჩევნო კომისიაში გაეყვანათ თავიანთი კანდიდატები. მაგრამ როცა შეიტყვეს, რომ არაფერი გაუვიდოდათ, მოინდომეს სხდომის ჩაშლა, რისთვისაც შესაფერი პასუხი მიიღეს.

6 დეკემბერს შესდგა ხობის თემის საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელსაც დაესწრო წევრთა 83 პროცენტი, ადგილობრივ თემში არსებულ ორგანიზაციების და დაწესებულებების წარმომადგენლები, 15 კაცი ღარიბთა ჯგუფებიდან, 140 კაცი საშუალო გლეხთა აქტივიდან და ქალთა სადელეგატო კრებიდან და 80 გლეხ-ქალი. სულ 279 კაცი.

ორივე თემსაბჭოს სხდომებზე იდგა საკითხები: 1) საბჭოს პრეზიდიუმის ანგარიში, 2) საბჭოთა მომავალი არჩევნები და 3) საარჩევნო კომისიების შედგენა.

კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ ორივე თემსაბჭოების პრეზიდიუმებმა ისე ააგეს თავიანთი მოხსენებები, რომ გაფართოებულ საბჭოს სხდომებს გადაუშალეს თუ რა გაკეთდა; საბჭოების მუშაობის გამოცოცხლებისათვის ადგილობრივი მეურნეობის, განათლების, ჯანმრთელობის, კოლექტიური მეურნეობის და სხვა დარგში. ისინი კონკრეტულად შეეხენ, როგორც მიღწევებს, ისე იმ საკითხებს, რომლებიც მომავალში უნდა გაკეთდეს დასახელებულ თემებში.

აზრთა გაცვლა-გამოცვლაში ორივე თემებში გაცხოველებული მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივი დაწესებულებების და ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და გლეხებმა, ისე გლეხ-ქალებმა, გამოსულები აღნიშნავდნენ, როგორც მიღწევებს, ისე დეფექტებსაც საბჭოების მუშაობაში. ორივე თემში შეეხენ ნაკაზების შესრულების საკითხს. ტყაია-ბეჟახალში ნაკაზი არ ყოფილა შესრულებული, ხობის თემში კი ნაკაზი ასი პროცენტით შეუსრულებიათ.

დიდის აქტივობით იქნა შედგენილი ორივე თემებში სათემო საარჩევნო კომისიები თერთმეტ-თერთმეტი კაცის შემადგენლობით.

ქართული წიგნი

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა მნიშვნელობა აქვს კულტურული რევოლუციის გაძლიერებისათვის წიგნს.

წიგნი მუშებისა და გლეხებისათვის პირველი მოთხოვნილების საგანი უნდა გახდეს, ის უნდა შეიჭრას ჩვენი ქვეყნის მიყრუებულ კუთხეებშიაც.

რა გზით შეიძლება ამის მიღწევა?

უწინარეს ყოვლისა, წიგნის გაიაფებით და მისი გავრცელების ხეირიანად მოწყობით.

ოდესღაც რუსის მწერალი ნეკრასოვი ნატრობდა:

როდის მოვესწრები, რომ რუსის ხალხი სულელურ მილორდების მაგივრად „ბელინსკისა და გოგოლს წაიღებს ბაზრიდან სახლში ისეთი დრო რუსის ხალხისათვის უკვე დადგა. დადგა იგი ქართველი ხალხისათვისაც. იგი „ქალვაჟიანების“, სიზმრების ახსნისა და სხვა ამისთანა წიგნების მაგივრად, ნამდვილ მხატვრულ ლიტერატურასა და პოლიტიკურ წიგნაკებს თხოულობს.

აკმაყოფილებს თუ არა ჩვენი წიგნის ბაზარი ქართველი მასების ამ მოთხოვნილებას? მხოლოდ რამოდენიმედ.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ გამომცემლობა დღეს სახელმწიფოს ხელშია, მას აქამდე მაინც ვერ მისცემია სასტიკად განსაზღვრული ხასიათი. მას აკლია გეგმიანობა და მკითხველთა მასებისადმი სასტიკად ანგარიშის გაწევა, მათი მოთხოვნილების მიღება მხედველობაში. ჩვენ ჯერ გამოკვლეული არა გვაქვს, თუ რა ხასიათის ლიტერატურას უფრო ეტანება მკითხველთა ახალი მასა და რა უფრო ეინტერესება მას. ამ საქმეს უეჭველად ჯეროვანი ყურადღება უნდა მივაქციოთ და კვლევის საგნად გავიხადოთ.

მეორე მხრით უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურა ბლომად გამოდის, მაგრამ იგი სათანადოთ ვერ ვრცელდება. ძველ დროსთან შედარებით, გაიზარდა რიცხვი სახელწოდებათა და ტირაჟი ქართული წიგნისა. იგი ბევრად აღემატება როგორც მეფის დროის, ისე მენშევიკური პერიოდის სახელწოდებათა რიცხვს და ტირაჟს. თუ წინად ქართული წიგნის საშუალო ტირაჟი 1.000-მდე იყო, ახლა იგი — 5.000 აღწევს. წლიურად კი მარტო სახელგამი მილიონ ნახევარ წიგნს უშვებს, მაგრამ მისი გავრცელების პროცენტი თითქოს არ ეფარდება მკითხველთა რაოდენობის ზრდას, იგი შედარებით მცირეა.

ამის ერთი მიზეზთაგანია დღევანდელი წიგნის სიძვირე.

ეს საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს სახელგამის მდგომარეობასთან.

სახელგამი ქართული წიგნის ნამდვილ ფაბრიკად უნდა ჩაითვალოს. რამდენადაც ეს ასეა, ჩვენ უნდა შევეცადოთ ამ ფაბრიკას ყოველნაირად ხელი შეუწყოთ და რაციონალურად ვამუშაოთ.

იგი სამეურნეო ხარჯზე მყოფი დაწესებულებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ მან საკუთარი უნარითა და რესურსებით უნდა შეინახოს თავი. შესაძლებელია თუ არა ეს დღევანდელ პირობებში? ჩვენ ვამბობთ, რომ შეუძლებელია.

სახელგამმა მოქმედება დაიწყო თითქმის ისე, რომ არავითარი ძირითადი კაპიტალი არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, მისი ვაჭრობა წიგნებითა და საკ. ნივთების მილიონ ნახევარ მანეთს უდრის ამ უკანასკნელ ხანებში. მეორე მხრით ჩვენ ვიცით, რომ დღევანდელ პირობებში შეუძლებელია წიგნების გამოცემა სახელმწიფოსთვის მომგებიან საქმედ ჩაითვალოს. ეს იმიტომ, რომ გამომცემლობის დროს მხედველობაში აქვთ არა მარტო ამა თუ იმ წიგნის მოგება, არამედ მისი პოლიტიკური თუ სხვა მნიშვნელობა.

მეორე მხრით მხედველობაში მისაღებია ის, რომ წიგნის ბრუნვა ხანგრძლივ ვადას მოითხოვს. გამოკვლეულია, რომ საშუალოდ წიგნს სჭირდება ბრუნვისათვის არა ნაკლებ 9 თვისა. ეს საუკეთესო პირობებში. ხოლო თუ ზემოხსენებულ გარემოებას (ყოველთვის მომგებიან წიგნებს ვერ ვუშვებთ), მივიღებთ მხედველობაში, მაშინ უეჭველი გახდება, რომ სახელგამის წიგნისათვის საბრუნავ ვადის მინიმუმად 18 თვე მაინც უნდა იყოს მიჩნეული. აქედან ცხადია აგრეთვე ისიც, თუ რა მძიმე ფინანსიურ მდგომარეობას უქმნის ეს სახელგამს, როდესაც მას თავიდანვე არავითარი თანხები არ მოეპოვებოდა და ახლაც ნაკლებად მოეპოვება.

რუსეთის სახელგამი, რომლის წიგნის ბაზარი, რასაკვირველია, ბევრად აღემატება ჩვენსას, ამ მხრით ჩვენზე უკეთეს მდგომარეობაშია. მისი გამგის ამხ. ხალატოვის განცხადებით, უკანასკნელი წლების განმავლობაში რუსეთის სახელგამს დახმარებად მიუღია— 60 მილიონი მანეთი. სულ უკანასკნელ დროს გაზეთებში მოთავსებული იყო ცნობა, რომ რ. ს. ფ. ს. რ. სახკომსაბჭოს წინადადებითა და სახელგამისა და პოლიტგანის არჩევით პოლიტგანის საბიბლიოთეკო ქსელს გაეგზავნა ხუთი მილიონი წიგნი, რომლის ნომინალური ღირებულება 3,5 მილიონ მანეთს უდრის.

ჩვენი ბიბლიოთეკების მდგომარეობა ძალიან უნუგეშოა. ამას ლაპარაკობდნენ ამხ. ფ. მახარაძე, ლ. ქართველიშვილი, ლ. ლოლობერიძე, ისინი აღნიშნავდნენ, რომ ჩვენი ბიბლიოთეკები მთლად ცარიელია. საქართველოს კომპარტიის ც. კ. მე-4 პლენუმზე ამხ. ლ. ლოლობერიძე ასეთს სურათს გვიხატავდა: „ლიტერატურა, რომელიც მოიპოვება ჩვენს ბიბლიოთეკებში, ნაწილდება შემდეგნაირად: ქართულ ენაზე — 24 პროცენტი, სომხურზე— 3,1 პროც., რუსულზე — 72 პროცენტი“. და ამხ. ლოლობერიძე სამართლიანად დასძენდა: „ეს ციფრები კომენტარიებს არ საჭიროებენ. ისინი ნათლად მოწმობენ საქმის არანორმალურ ვითარებას ჩვენს ბიბლიოთეკებში, აშკარაა, ჩემ მიერ მოყვანილი ციფრები სრულიად ვერ გამოხატავენ საქართველოს მუშა-მოსახლეობის ნაციონალურ შემადგენლობასო“.

აუცილებლად საჭიროა ამას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს და საქართველოშიაც გატარდეს რუსეთის მსგავსი დადგენილება ბიბლიოთეკათა შევსების შესახებ. ეს იქნება ერთის მხრით წიგნის მართლაც მასებში შეტანა, მეორე მხრით, ეს იქნება დიდი ფინანსიური დახმარება სახელგამისათვის. აუცილებლად საჭიროა ჩვენს ბიბლიოთეკებს მივაწოდოთ ყველა ქართული გამოცემა, დაწყებული 1922 წლიდან. საჭიროა საამისოდ გამონახულ იქნეს ერთდროული თანხები. ადგილობრივ ბიუჯეტებში უნდა გათვალისწინებულ იქნეს ბიბლიოთეკათა შევსებისათვის საჭირო ხარჯები. ბიბლიოთეკებმა უნდა გაიჩინონ შეფები, რომელთაც ფრიად სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ თავის შეფობის ქვეშ მყოფ ბიბლიოთეკებს. ეს საქმე ღირს იმად, რომ მისთვის ვიმუშაოთ და ვიზრუნოთ.

წიგნის სიძვირეს ხელს უწყობს კიდევ შემდეგი გარემოება: სახელგამს არ მოეპოვება საკუთარი პოლიგრაფიული ბაზა. რუსეთის სახელგამს 4 საკუთარი სტამბა აქვს. ეს სტამბები მოწყობილია ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და პირველი ადგილი უჭირავს მთელს საბჭოთა კავშირში. საკუთარი სტამბები აქვთ აგრეთვე სომხეთისა და აზერბეიჯანის სახელმწიფო გამომცემლობებს. ცხადია, საკუთარი სტამბა სახელგამს საშუალებას მისცემდა გაეიაფებინა თავისი პროდუქცია, ვინაიდან ყველაზე დიდს პროცენტს, როგორც ქვემოდ დაინახავთ, პოლიგრაფიული ხარჯები შეადგენს. წიგნის თვითღირებულებაში შედის შემდეგი ხარჯები:

სტამბისა	40 პროც.
ქაღალდი	28 პროც.
ჰონორარი	23 პროც.
კორექტურა	2,2 პროც.
კლიშე და მხატვრობა	4,8 პროც.
წვრილმანი ხარჯები	0,7 პროც.

პოლიგრაფიული ხარჯი ხშირად 60 პროც. ადის. პოლიგრაფტრესტის სტამბები დატვირთულნი არიან სახელგამის სამუშაოებით. ძალიან ხშირია, რომ სტამბები აგვიანებენ რომელიმე სასწრაფო გამოცემას და სხვა. მაგრამ ყველაზე ძლიერი და თვალსაჩინო არგუმენტი საკუთარი სტამბის აუცილებლობისა მაინც ის არის, რომ პოლიგრაფიული და ქაღალდის ხარჯები შეადგენს წიგნის გამოცემის ხარჯების დაახლოებით შვიდ-მეათედს*).

მსოფლიო ომისა და რევოლუციის ქარტეხილის გამო მკითხველთა მსყიდველობითი უნარი თუ არ დაწეულა, არ ამაღლებულა. სტატისტიკური გამოანგარიშებით, რუსის გლეხი წელიწადში წიგნზე ხარჯავს დაახლოებით სამ კაპეიკს. ეს, ცხადია, ძალიან ცოტაა. სათანადო ცნობები ხელთ არა გვაქვს, მაგრამ მგონია, რომ ქართველი გლეხი ერთ შაურზე მეტს არ ხარჯავს წიგნისათვის. ეს ცოტაა, ძლიერ ცოტაა იმასთან შედარებით, რასაც რუსის გლეხი არაყსა და ქართველი გლეხი კიდევ სამიკიტნოში ხარჯავს ყოველწლიურად. საჭიროა ამ თანხის გაზრდა. ეს იქნება წიგნის გამარჯვება და ამასთანავე გამარჯვება იმ კულტურული რევოლუციისა, რომელზედაც ამდენს ვლაპარაკობთ. მაგრამ, როგორც ვთქვით, ამისთვის საჭიროა წიგნის გაიაფება.

ჩვენ აქ მხედველობაში როდი გვაქვს წიგნის ყოველწლიური ბაზრობა, რომელსაც შემთხვევითი ხასიათი აქვს. ჩვენის აზრით, მან ვერ გაამართლა თავისი თავი ვერც რუსეთში, ვერც ჩვენში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა ეს, არამედ წიგნის თვითღირებულების გაიაფება.

ამისთანა გაიაფება კი უშუალოდ დაკავშირებულია წიგნის გავრცელებასთან, მისი ტირაჟის გადიდებასთან. ამ მხრით საბჭოთა კავშირის პატარა ერების შესაძლებლობანი განსაზღვრული და შეზღუდულია. საქართველო, მაგალითად, ვერასოდეს ვერ შესძლებს წიგნს ისეთი ფართო ბაზარი მოუპოვოს, როგორიც მას, ვთქვათ, რუსეთსა ან უკრაინაში ექნება, რაც უნდა დიდი იყოს წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტი, ცხადია წიგნის მკითხველთა აბსოლუტური რაოდენობა მუდამ ნაკლები იქნება მრავალრიცხოვან ერთან შედარებით. ამ მხრით საბჭოთა კავშირის ნაცუმცირესობებს ყოველთვის ერთნაირი მფარველობა და მატერიალური დახმარება დასჭირდებათ, მაგრამ დღევანდელ პირობებშიაც კი ჩვენ შეგვიძლია, თუ გავრცელების საქმე სათანადოდ მოეწყო და წიგნიც გავაიაფეთ, ტირაჟი ერთიორად გავზარდოთ. ტირაჟის ერთიორად ზრდა კი, თავის მხრით, შეძლებას მოგვცემს წიგნი 30 პროცენტით მაინც გავაიაფოთ.

ამ საქმის მოსაგვარებლად ყოველგვარი ღონისძიება უნდა იქნეს მიღებული. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ჩვენი გამომცემლობის ბედი ამ საქმის ჯეროვნად დაყენებაზეა დამოკიდებული.

რუსეთში წიგნის გავრცელების საქმეში მრავალი საშუალება იქნა ნაცადი. უწინარეს ყოვლისა იქ შეეცადნენ წიგნის გავრცელებისათვის კოოპერაციის გამოყენებას. კოოპერატივებში დაარსებულ იქნა წიგნის კუთხეები, მაგრამ ეს იყო მართლაც „კუთხეები“, რომელთაც ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. ამ კუთხეთა 90 პროცენტს არ ჰყავდა არც ცალკე ზედამხედველი, არც ნოქარი. ცხადია, როგორ წავიდოდა საქმე. ამიტომ დაიბადა საკითხი წიგნის სპეციალური კოოპერაციის დაარსებისა. ასეთი ცდა მოახდინეს ვორონეჟის გუბერნიაში და კარგი ნაყოფიც გამოიღო. მაგრამ, ცხადია, წიგნის კოოპერაცია ისეთს ქსელს ვერ გააბამს, როგორიც მომხმარებელ კოოპერაციას უკვე აქვს. ამიტომ, მიუხედავად წინანდელი დამარცხებისა, კვლავ წამოიჭრა საკითხი წიგნის გავრცელების საქმეში კოოპერაციის ჩაბმისა.

როგორია მდგომარეობა ამ მხრით ჩვენში?

წინანდელთან შედარებით სახელმწიფო გამომცემლობამ თავისი სავაჭრო წერტები ძალიან გაამრავლა. მათი რიცხვი დღეს უდრის 28-ს (10 თბილისში, 18 პროვინციაში), ჰყავს კონტრაგენტები, რომლებიც წიგნებს უმთავრესად სოფლად ავრცელებენ, მაგრამ ყველაფერი ეს მაინც ცოტაა. საჭიროა წიგნის გავრცელების საქმეში ისეთი ორგანიზაციების ჩაბმა, რო- [illegible]

გასული თვის 12-ს მოსკოვში გაიხსნა სამომხმარებლო კოოპერაციის პირველი საკავშირო თათბირი წიგნით ვაჭრობის შესახებ, რომელზედაც ბევრი საყურადღებო საკითხი წამოიჭრა. ჯერ კიდევ ამ თათბირის გახსნამდე „ცენტროსოიუზსა“ და რუსეთის სახელგამს შორის მოხდა შეთანხმება, რომლის ძალითაც 1929 წლის ოქტომბრის 1-სთვის წიგნით ვაჭრობაში ჩაბმულ უნდა იქნეს ძირითად კოოპერატიულ ორგანიზაციათა 50 პროც. სამისოდ გადადებულია საჭირო თანხები და მასზე უნდა იხარჯებოდეს კოოპერატიული კულტფონდები.

საქართველოს სახელგამმა ჯერ კიდევ ამ სამი წლის წინად თავისი ინიციატივით და სადირექტივო ორგანოების თანხმობით, მოიწადინა წიგნის გავრცელების საქმეში კოოპერაციის ჩაბმა. დაიდო სათანადო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მთელი რესპუბლიკის ფარგლებში ყველა ძირითად კოოპერატივში უნდა მოწყობილიყო წიგნით ვაჭრობა. სამწუხაროდ (მიუხედავად სადირექტივო ორგანოების დადგენილებისა), საქართველოს კოოპერაციამ ამ მხრით ვერავითარი ფხა ვერ გამოიჩინა. მასთან შეთანხმების შედეგი ფრიად კურიოზულიც კი იყო: 12 თვის განმავლობაში მიღებულ ლიტერატურიდან მან გაასაღა მხოლოდ 48 მანეთის წიგნები! ეს თანხა იმაზე ნაკლებია, რაც მოუნდა წიგნების სადგურზე მიტან-მოტანას.

საჭიროა კოოპერაციამ წიგნის გავრცელება მნიშვნელოვან საქმედ, **საკუთარ საქმედ**, მიიჩნიოს და ზომები მიიღოს წიგნით ვაჭრობის გასაჩაღებლად. მას ამისი საშუალება აქვს, ვინაიდან მოეპოვება სავაჭრო პუნქტები ისეთ მიყრუებულ ადგილებშიაც, სადაც მარტო წიგნით ვაჭრობა ვერ იხეირებს.

საბჭოთა კავშირის კოოპერაციამ ცენტრში უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი კულტურული რევოლუციის საქმის დასახმარებლად. საჭიროა ასეთივე ნაბიჯი გადადგას საქართველოს კოოპერაციამაც. სახელგამთან შეთანხმებით, მისი დახმარებით, უნდა შესძლოს ქართული წიგნის შეტანა მოსახლეობის ფართო მასებში. ეს იქნება ერთი უდიდესი ნაბიჯი კულტურული რევოლუციის ძნელსა და გრძელ გზაზე. სიტყვა კოოპერაციას ეკუთვნის!

ბ. ბიბინეიშვილი.

---

*) საკითხი საქართველოს სახელგამისთვის დღის საკუთარი [illegible]

პროდუქციის თვისების გაუმჯობესება

საწარმოო თათბირების მუშაობა ჭიათურის მაღაროებში ფართოვდება.—მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ქარხანა განიცდის ნედლი მასალის ნაკლებობას.—ტრამვაის სახელოსნოში უნაყოფოდ იყრება აუარებელი ძველი მასალა

ვებრძოლოთ სამუშაოს ნაკლებობას საწარმოებში

საწარმოო თათბირების მუშაობა შედარებით წინანდელთან საგრძნობლად გაუმჯობესდა. თუ წინად ზოგიერთ საწარმოებში, მუშები ხალისიანად არ ესწრებოდნენ საწარმოო თათბირებს იმიტომ, რომ მათ წინადადებებს არ ექცეოდა შესაფერი ყურადღება ადმინისტრაციის მიერ, დღეს ასეთებს ადგილი არა აქვს; საწარმოო თათბირებზე დამსწრეთა რიცხვი თანდათან იზრდება და მუშათა წინადადებების ხარისხიც უმჯობესდება.

ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის საამქრო საწარმოო თათბირებზე დამსწრეთა რიცხვი უდრის საამქროს მუშათა 60—65 პროცენტს. საამქრო საწარმოო კომისიებთან დაარსებულია განსაკუთრებული ფონდი მუშათა წინადადებების ცხოვრებაში გასატარებლად. არა ნაკლები ყურადღება ექცევა საწარმოო თათბირების მიერ უვარგის მასალის გამოყენებას და უსაქმობასთან ბრძოლას. ამ მხრივ ზოგიერთმა საწარმოო თათბირმა საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა. მაგალითად, ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში ორჯერ ჩატარდა უვარგის მასალის მოგროვება.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბევრ ადგილას ამ დარგში მუშაობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ზოგიერთ საწარმოოში ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება ძველი, ან ე. წ. ჩამონაჭერ მასალის გამოყენებას. ტრამვაის სახელოსნოს საწარმოო თათბირი მართალია აქცევს ყურადღებას ამ საკითხს, მაგრამ სინამდვილეში კი ამ მხრივ არაფერი კეთდება; ტრამვაის სახელოსნოში ჯერ კიდევ უნაყოფოდ იყრება ნაგავში რამოდენიმე ათი ფუთი ძველი მასალა. ასეა მაგალითად აღნიშნულ სახელოსნოს სახარატო საამქროში; აქ რკინის ანაფხეკი, რომლის გამოყენებაც დიდ სარგებლობას მოუტანს წარმოებას, მტკვარში იყრება.

ასეთივე მდგომარეობაა ნაწილობრივ 26 კომუნარის მექანიკურ და არსენალის ქარხნებშიც. საწარმოო თათბირების ბრძოლა წარმოების ნედლი მასალით მომარაგებისა და უსაქმობის მოსპობისათვის, კი ხშირად უნაყოფოა, რადგან ბევრი საწარმოო, საერთოდ განიცდის ნედლი მასალის ნაკლებობას და ეს გამოწვეულია იმით, რომ ტრესტები ხშირად არ ღებულობენ ზომებს ქარხნებისათვის ნედლი მასალის თავის დროზე მისაწოდებლად. ამიერ-კავკ. წითელ დროშოვან არმიის სტამბის საწარმოო თათბირმა ყოველგვარ საშუალებას მიმართა უსაქმობის მოსასპობად. მაგრამ არაფერი გამოვიდა. სტამბაში მაინც ხშირად აქვს ადგილი სამუშაოს უქონლობას, რაც აუარებელ ხარჯებს იწვევს. ადგილობრივმა პროფორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას.

ხტამბელი.

—:—

ხელოვნურად გამოწვეული ზედმეტი მუშაობა

ზაჰესის საექსპლოატაციო სამმართველოს ბუღჰალტერიამ შუამდგომლობა აღძრა ზაჰესის დირექციის წინაშე, რათა მიეცა ნება ზედმეტ საათებში შეედგინათ წლიური ანგარიში.

მთავარი ბუღჰალტერი ღებულობს თვეში 250 მან., უფროსი მოანგარიშე 140 მან. მოანგარიშეები კი ღებულობენ თვეში 120 მან., ზაჰესის სამმართველოს შტატში დამტკიცებულია ერთი ბუღჰალტერი და ერთი მოანგარიშე, მიუხედავად ამისა მთავარი ბუღჰალტერმა მბათოვმა, მოახერხა ადმინისტრაციის შეცდომაში შეყვანა და ბუღჰალტერიის შტატის დიდება—სამი თანამშრომლით. მაგრამ სუმათოვმა ეს არ იკმარა. ის ეხლა მოითხოვს ზედმეტ მუშაობას წლიურ ანგარიშის შედგენისათვის.

ასეთი ხელოვნურად გამოწვეული ზედმეტი მუშაობა, რასაკვირველია, რომ ხელს შეუშლის ზაჰესის ენერგიის გაიაფებას.

მახლობელი.

რა დაადგინა საწარმოო თათბირმა

(მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკა)

ამ დღეებში შესდგა მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკის საწარმოო თათბირი, რომელსაც დაესწრო მუშების უმრავლესობა. თათბირზე მოხსენებით გამოვიდა სატყეო ტრესტის მართველი ამხ. იორამაშვილი. მომხსენებელი ვრცლად შეეხო ტრესტის მუშაობას და აღნიშნა ტრესტის მუშაობის როგორც ნაკლი, ისე მიღწევები. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა მუშებმა, რომლებიც აღნიშნავდნენ ტრესტის მუშაობას ნაკლს და მიუთითებდნენ იმ მიზეზებზე, რომლებიც აფერხებენ პროდუქციის თვითღირებულების გაიაფებას.

განსაკუთრებული მსჯელობის საგნად გადაიქცა ფაბრიკის ტეხნიკური ხელმძღვანელის ამხ. აბაშიძის მოხსნა თანამდებობიდან. მუშები საყვედურს გამოსთქვამდნენ ფაბრიკის ასეთი ენერგიულ ხელმძღვანელის მოშორების გამო. ფაბრიკა ხშირად განიცდიდა ნედლი მასალის უქონლობას. ამასთან დაკავშირებით ორი-სამი თვე მუშები თავის კუთვნილ ფულს ვერ ღებულობდნენ. მიუხედავად ამისა მუშები მაინც ენერგიულად განაგრძობდნენ მუშაობას; იმისათვის, რომ არ შეჩერებულიყო ფაბრიკაში მუშაობა, დაზგის ხელოსანი მუშები ხშირად შავ სამუშაოზე მუშაობდნენ. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა ფაბრიკის საქმიანობის გაუმჯობესებას. ამხ. აბაშიძის მოხსნის შემდეგ ასე აღარ არის. ფაბრიკის მდგომარეობა წინანდელთან შედარებით ცუდია; არ არის თავის დროზე არც ნედლეული მასალა და არც სხვა სამუშაო ხელსაწყო იარაღი, რაც იწვევს ნაწარმოების თვითღირებულების გაძვირებას.

ამიტომ მუშები მოითხოვდნენ ამხ. აბაშიძის უკან დაბრუნებას. უმაღლესმა ორგანომ ანგარიში უნდა გაუწიოს როგორც წარმოებას, ისე მუშების მოთხოვნილებასაც და ამხ. აბაშიძე დააბრუნონ თავის თანამდებობაზე.

და—ანელი.

—:—

ასეთ მოუმზადებლობით შორს ვერ წავალთ

(თბილისის დეპო)

თბილისის დეპოს ადმინისტრაციამ გადამჭრელი ზომები მიიღო იმისათვის, რომ მატარებელში არ გაეშვა ისეთი მემანქანე—ან თანაშემწე, რომელსაც არ ექნებოდა გათვალისწინებული დასვენება. ამ გარემოებამ საკმაოდ ბევრი ნაყოფი გამოიღო, მაგრამ დეპოში მყოფ სამარქაფო გუნდის გაუქმებამ კი ცოტა არ იყოს ხელი შეუშალა ამ ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებას. სამარქაფო გუნდის გაუქმება უფრო მეტ ზარალს აძლევს რკინის გზას, ვიდრე მისი არსებობა;

მაგალითად, მემანქანე, რომელიც დანიშნულია განწესრიგებაში, დეპოში უნდა გამოცხადდეს საათნახევრით ადრე ორთქლმავლის მისაღებათ. ხშირად მემანქანე, ან მისი თანაშემწე თავის დროზე არ ცხადდება დეპოში. ამის გამო დეპოს რევიზორი უხერხულ მდგომარეობაში ვარდება. დრო მიდის, ორთქლმავალი უნდა გაუშვას, მაგრამ წასასვლელი გუნდი არ ჰყავს. რა საშუალებას მიმართოს რევიზორმა ამ მცირე დროის განმავლობაში არ იცის. ბოლოს იძულებული ხდება, მოსთხოვოს მორიგე მეტაბელს სხვა მემანქანე, რომელსაც უთავდება დასვენება. ამ ახალი მემანქანის ძებნას კი საკმაოდ დიდი დრო უნდა. ეს გარემოება ხშირად ხელს უშლის ორთქლმავალის თავის დროზე გაშვებას დეპოდან. გარდა ამისა ხშირია შემთხვევა, როცა დაუსვენებელი გუნდები იგზავნებიან გზაში, რისთვისაც ერთიორად ეძლევათ ხელფასი.

გარდა ამისა მოხდება ხოლმე ხაზზე რაიმე უბედურობა. ასეთ შემთხვევის დროს დეპოში ნახევარი საათის განმავლობაში უნდა გაუშვას დამხმარე ორთქლმავალი, მაგრამ მარქაფის უყოლობის გამო ხშირად ვერც სამ საათში იგზავნება დამხმარე ორთქლმავალი.

ამიტომ ჩვენის აზრით, დეპოს ადმინისტრაციის მიერ მიღებული ზომები ხარჯების შესამცირებლად არ არის სწორი და მიზანშეწონილი, დეპოში აუცილებლივ უნდა არსებობდეს ორთქლმავლების სამარქაფო გუნდი. უამისოთ დეპოს მუშაობა ვერ გაუმჯობესდება.

ოხრანარნელი.

თათბირი სათეატრო მუშაობის შესახებ

გუშინ პროფსაბჭოს კულტგანყოფილების თაოსნობით შესდგა თათბირი კლუბებში სათეატრო მუშაობის საკითხის მოსაწესრიგებლად. თათბირს დაესწრნენ თბილისის ყველა თეატრების ადმინისტრატორები და მუშათა კლუბების ხელმძღვანელნი. თათბირს მოკლე მოხსენება წარუმძღვარა ამხ. ქშონძერმა.

მუშა-მაყურებლის მხატვრული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება პროფესიონალურ მსახიობებისა და სახელმწიფო თეატრების მიერ

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა მუშათა კლუბის საესტრადო მუშაობა საგრძნობლად მოისუსტებს, რადგან მათ თავისი საკუთარი ძალებით სამხატვრო მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება არ შეუძლიათ, ხოლო პროფესიონალური მსახიობები, რომლებიც საკლუბო ესტრადებზე მუშაობენ მოკლებული არიან სათანადო კვალიფიკაციას, რაც მეტად ცუდ გავლენას ახდენს ესტრადის ღირსებაზე. დღემდე არც ერთ დაწესებულებას არც სახელმწიფო და არც პროფესიულ ორგანიზაციას არ უზრუნვია რომ საესტრადო მუშაობაში შეეტანა გეგმიანობა და შესაფერისი ხელმძღვანელობა გაეწია ამ დარგში მომუშავეებისათვის. განსაკუთრებით უნუგეშო მდგომარეობაა პროვინციაში სადაც კლუბები თავის ძალებს ამარა არის მიტოვებული. თუმცა იყო ცდები მოწყობილიყო ქართული მოძრავი დასი, მაგრამ დღემდე ის საკითხი მოუგვარებელია. მომხსენებელი აყენებს მთელ რიგ პრაქტიკულ ორგანიზაციულ ღონისძიებებს კლუბების სამხატვრო მუშაობის გასაჯანსაღებლად. მომხსენებლის აზრით, ერთი ასეთი ღონისძიებათაგანი იქნება, თუ გან. სახ. კომთან არსებული ხელოვნების მთავარი სამმართველო ორგანიზაციულად გააერთიანებს კლუბების ესტრადის ყველა მუშაკებს და საესტრადო მუშაობის საკითხების დასამუშავებლად მოაწყობს ამ მუშაკთა თათბირს.

საქართველოს დაბა სოფლების კლუბების დატოვება არსებულ მდგომარეობაში მომხსენებელს ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია. მისი აზრით ხელოვნების მთავარ სამმართველომ სათანადო ორგანიზაციებთან შეთანხმებით რაც შეიძლება საჩქაროდ, უნდა მოაგვაროს საკითხი ქართული მოძრავი დასის—„სატირის და კომედიის" თეატრის მოწყობის შესახებ.

შემდეგ მომხსენებელი ეხება კლუბების საკონცერტო მუშაობას და ამბობს რომ გასულ წლებთან შედარებით, წელს საკონცერტო მუშაობა კარგად იყო მოწყობილი. თემატიური კონცერტების მოწყობამ თბილისის მუშათა კლუბებში მუშა-მაყურებელს გაუადვილა კონცერტების მოსმენა და აამაღლეს მათი მუსიკალური გემოვნება. მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია მომავალი წლისათვის გაძლიერდეს ასეთი კონცერტების მოწყობა, რომელსაც უფრო გეგმიანი ხასიათი უნდა მიეცეს. სიმფონიური კონცერტების მოწყობის საქმე მომავალი წლისათვის უნდა გადაეცეს სახელმწიფო ოპერას. წინდაწინ უნდა დამუშავდეს თემატიური კონცერტების პროგრამა და გამოიძებნოს მომხსენებელნი სპეციალისტები. რაც შეეხება პროვინციის მუშათა კლუბებს, ამ კლუბებში საკონცერტო მუშაობის გასაცხოველებლად უნდა მოეწყოს პატარა საკონცერტო ჯგუფები სამი-ხუთი კაცის შემადგენლობით.

შემდეგ მომხსენებელი ეხება სახელმწიფო თეატრების მუშაობას საკლუბო სცენაზე და ამბობს, რომ მიმდინარე სეზონში დღემდე არც ერთ სახელმწიფო თეატრს თავისი წარმოდგენა არ გაუმართავს. მუშათა კლუბებს საშუალება არა აქვთ თვითეული წარმოდგენისათვის გაიღონ იმდენი, რასაც პროფესიონალური თეატრები ითხოვენ. მომხსენებელი წინადადებას იძლევა, რომ პროფ. თეატრებმა და, მათ შორის თბილისის მუშათა თეატრიც, შეამცირონ ფასები სცენაზე წარმოდგენის გამართვისათვის და ამ თავითვე გადასდგან პრაქტიკული ნაბიჯები წარმოდგენების მოსაწყობად სარაიონო კლუბებში.

უკანასკნელ წლებში —ამბობს მომხსენებელი.—სახელმწიფო თეატრების აუდიტორია ფართოვდება მუშა მაყურებლის ხარჯზე. მუშა მაყურებელი თანდათან უფრო უახლოვდება სახელმწიფო თეატრებს განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შემოღებულ იქნა მიზნობრივი წარმოდგენების შეყიდვის წესი. მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია გაგრძელდეს ეს პრაქტიკა, მაგრამ ამავე დროს გამოსწორდეს ის ნაკლოვანებანი, რომელიც მიზნობრივ წარმოდგენას ახასიათებს. პირველ ყოვლისა, უნდა მოგვარდეს მუშა-მაყურებელს შორის ბილეთების გავრცელების საქმე. ამ საქმეში ჩაბმული უნდა იქნენ კულტკომისიების რწმუნებულნი, მაგრამ მარტო ეს ღონისძიება არ არის საკმაო. ყოველ მიზნობრივ წარმოდგენას უნდა უძღოდეს სათანადო ახსნა-განმარტება და რეკლამა, იმ მიზნით, რომ მაყურებელმა იცოდეს, თუ რა წარმოდგენაზე მიდის. მიზნობრივი წარმოდგენების გამართვასთან ერთად მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია გაგრძელდეს მუშაობა მუშებს შორის სააბონემენტო სისტემის გასავრცელებლად.

შემდეგ მომხსენებელი ჩერდება რეპერტუარის საკითხზე და მოითხოვს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს რეპერტუარის გაუმჯობესებას. ერთ-ერთ ღონისძიებათ მომხსენებელს მიაჩნია, რომ დასადგმელად განზრახულ პიესის განხილვაში მონაწილეობა მიიღოს მუშათა საზოგადოებრიობამ. ამ მიზნით მომხსენებელი საჭიროდ სთვლის პროფესიონალურ თეატრებთან მოეწყოს სამხატვრო საბჭოები, რომლებშიაც შევლენ წარმოებიდან გაგზავნილი მუშები. გარდა ამისა საჭიროა სისტემატიურად ეწყობოდეს მუშა მაყურებელთა კონფერენციები, რომელზედაც საანგარიშო მოხსენებებით უნდა გამოდიოდენ პროფთეატრების ხელმძღვანელნი.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. კლუბებში სამხატვრო მუშაობის სისუსტის ერთ მთავარ მიზეზათ ორატორებს მიაჩნიათ ის გარემოება, რომ დღემდე არ არსებობს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც იკისრებს სამხატვრო მუშაობაზე ხელმძღვანელობის გაწევას. როგორი უნდა იყოს სამხატვრო მუშაობა კლუბებში, კლუბების რეპერტუარი, ან რა ძალები უნდა ეწეოდეს სამხატვრო მუშაობას კლუბებში, ამ საკითხების შესახებ დღემდე არ არსებობს შეთანხმება პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასა და ხელოვნების მთავარ სამმართველოს შორის. არ არის მოგვარებული კავშირი თვით კლუბებისა და სახელოვნო-სათეატრო ორგანიზაციებთან. კლუბებს არა აქვთ სამხატვრო მუშაობის გეგმა და დღემდე გამოურკვეველია, თუ როგორ შეუძლია ხელოვნების მთავარ სამმართველოს დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნილება. პროფ. თეატრებიც მოკლებული არიან საშუალებას სამსახური გაუწიოს მუშათა კლუბებს, რადგან პროფ. თეატრების დადგმებისათვის საკლუბო სცენები ტეხნიკურად შეუფერებელია და ამას გარდა არც იმდენი სახსარი აქვთ, რომ უფასოდ ან ძალიან დაკლებულ ფასებში მოაწყონ კლუბებში წარმოდგენები. უგეგმობა ახასიათებს არა მარტო კლუბების სამხატვრო მუშაობას, არამედ თვით პროფესიონალურ თეატრების მუშაობასაც. თეატრების დასის შედგენა სწარმოებს ორი-სამი კვირით ადრე სეზონის გახსნამდე. რეპერტუარი დგება ნაუცბათევად და მოუფიქრებლად. ასეთ პირობებში პროფ. თეატრები ცხადია ვერ შესძლებენ კლუბებისათვის სამსახურის გაწევას. ორატორებს საჭიროდ მიაჩნია მოეწყოს ერთი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს და გეგმიან ხასიათს მისცემს კლუბების სამხატვრო მუშაობას.

დასასრულ თათბირმა მიიღო მომხსენებელის მიერ წარმოდგენილი თეზისები სათანადო შესწორებებით.

ამ ახლო ხანში გაიმართება ასეთივე თათბირი კლუბების სამხატვრო მუშაობის შესახებ.

სასოფლო სამეურნეო გადასახადი ამიერ-კავკასიაში

ამ.-კავ. ფინანსთა სახ. კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განყოფილების ცნობით, 1 დეკემბრისთვის სასოფლო - სამეურნეო გადასახადი მთელ ამიერ-კავკასიაში აკრეფილი იყო 5.787.554 მან. რაოდენობით. აქედან საქართველოში აკრეფილია 1.484.552 მან., აზერბეიჯანში— 3.133.218 მან. და სომხეთში — 1.169.784 მან.

გასული წლის პირველი დეკემბრისათვის სას.-სამ. გადასახადი საქართველოში აკრეფილი იყო 713.180 მან., აზერბეიჯანში —1.524.941 მან. და სომხეთში 654.194 მან. რაოდენობით, მთელ ამიერ-კავკასიაში კი — 2.892.315 მან. რაოდენობით.

ამრიგათ, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 1 დეკემბრისთვის წელს აკრეფილია ორჯერ მეტი რაოდენობით, ვიდრე გასულ წელს.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

სესხის რეალიზაცია სოფლად

7 დეკემბერს შესდგა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციისთვის ხელის შემწყობ ამ.-კავკ. ცენტრალურ კომისიის სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა ამ.-კავ. ფინანსთა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრის ამხ. **ანანოვის** მოხსენება სოფლად სესხის რეალიზაციის კამპანიის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მიუხედავად ცენტრალურ ორგანოების დირექტივისა, სესხის რეალიზაციის კამპანია სოფლად ჯერ კიდევ ვერ გაიშალა სათანადოთ და დეკემბრის დამდეგისთვის ამიერ-კავკასიის სოფლებში გასაღებულია მხოლოდ—1.500.000 მ., ობლიგაცია (ამ თანხაში შედის აგრეთვე სოფლად მომუშავე წვრილ მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური ხელის მოწერაც). ამრიგათ, გეგმა ვერ არის შესრულებული, რის გამო, საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატის დადგენილების თანახმად, რეალიზაციის კამპანია სოფლად გაგრძელებულია 1 იანვრამდე.

ამ.-კავ. ცენტრალურმა კომისიამ დაადგინა: საკონტროლო ციფრი ამ.-კავკასიის სოფლებისთვის განსაზღვრული იქნეს 2 მილიონ მანეთით. აქედან საქართველოს სოფლებისთვის — 845.000 მანეთი, აზერბეიჯანის სოფლებისთვის — 850.000 მან. და სომხეთის სოფლებისთვის — 315.000 მან.

„ზაკსოიუზ"-ის საბჭოს მე-7 სესია

8 დეკემბერს გაიხსნა „ზაკსოიუზი"-ს (ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირის) საბჭოს მეშვიდე სესია.

სესია გახსნა ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და „ზაკსოიუზი"-ს საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ამბარცუმიანმა.**

სესიამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: „ზაკსოიუზი"-ს გამგეობის 1927—28 წლის მუშაობის ანგარიში; 1928—29 წლის ოპერატიულ-ფინანსიური გეგმა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების და ამიერ-კავკასიაში პურის შემოზიდვის საკითხი; „ზაკსოიუზი"-ს საორგანიზაციო მუშაობის 1928—29 წ. გეგმა და კოოპერატიულ სისტემაში საქონლის განაწილების კოეფიციენტის საკითხი.

დღის წესრიგის დამტკიცებისა და რეგლამენტის მიღების შემდეგ სესიამ მოისმინა „ზაკსოიუზი"-ს გამგეობის თავმჯდომარის ამხ. **ა.ბუკრეევის** მოხსენება გამგეობის მიერ 1927—28 წელში ჩატარებულ მუშაობის შესახებ.

ამხ. ა. ბუკრეევის მოხსენება

განვლილ სამეურნეო წლის განმავლობაში სთქვა მომხსენებელმა, ა.-კ. სამომხმარებლო „ზაკსოიუზი"-ს მნიშვნელობა ამიერ-კავკასიის კოოპერაციის საქონლით მომარაგების საქმეში კიდევ უფრო გაძლიერდა.

„ზაკსოიუზი"-ს საერთო ბრუნვა საანგარიშო პერიოდში, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა 71 პროცენტით.

გეგმასთან შედარებით საერთო ბრუნვა გაიზარდა 27 პროცენტით და გამოიხატა 98 მილიონ მანეთში. ეს ზრდა აიხსნება ვაჭრობაში კოოპერაციის მნიშვნელობის ზრდით. ბრუნვის ზრდა მოხდა უმთავრესად საკომისიო საშუამავლო ოპერაციების ზრდის და ნაღდ ანგარიშზე საქონლის გაყიდვის ხარჯზე. საქონლით მომარაგების საქმეში კოოპერატივების ნაციონალურ კავშირებს უკავიათ პირველი ადგილი. მათ მიერ გასაღებულია საქონლის—88 პროცენტი.

საანგარიშო წლის განმავლობაში წმინდა მოგება გამოიხატა—893.000 მანეთში.

საგრძნობი განმტკიცება დაეტყო 1927—28 წელში „ზაკსოიუზი"-ს ფინანსიურ მდგომარეობასაც. ეს უმთავრესად საგრძნობი გახდა საკუთარ და ნასესხ თანხების ერთმანეთთან შეფარდებიდან. ეს შეფარდება უდრის 1:2,5-ს. საკუთარი თანხები უდრის 1.555 მან. ნასესხი —3.908 მანეთს.

მომხსენებელი შეეხო მოსკოვის წარმომადგენლობის მუშაობას და აღნიშნა მისი საქმიანობის თვალსაჩინო გაუმჯობესება.

შეეხო რა „ზაკსოიუზი"-ს საორგანიზაციო მუშაობას, ამხ. ბუკრეევმა სთქვა, რომ ამ დარგშიც ორგანიზაციას მოეპოვება თვალსაჩინო მიღწევები. სახელდობრ, საანგარიშო პერიოდში მოხდა ამ მუშაობის ძირიანად შეცვლა და ახალ საფუძვლებზე დაყენება. მოხდა საინსტრუქტორო მუშაობის სპეციალიზაცია ცალკე საკითხების მიხედვით. უარყოფილ იქნა ინსტრუქტაჟის უნივერსალური სისტემა.

დასასრულ მომხ. შეეხო „ზაკსოიუზი"-ს ძირითად ქსელს, როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, საანგარიშო წლის განმავლობაში ძირითად ხსენებულ ქსელს დაეტყო ზრდა. საზოგადოებათა რიცხვი გაიზარდა 2 პროცენტით. სავაჭრო ქსელის განვითარება მოხდა—მისი განმტკიცების ხარჯზე.

წევრთა რიცხვი გაიზარდა 30 პროცენტით, საპაიო თანხები—25 პროცენტით, საქონლის ბრუნვა 38 პროცენტით. ასევე გაიზარდა საკუთარი თანხებიც. ეს უმთავრესად საგრძნობია რესპუბლიკანურ ცენტრებში და მუშათა კოოპერატივებში. ამის პარალელურად შემცირდა ნასესხი თანხები.

პირველი სხდომა დამთავრდა ამხ. ბუკრეევის მოხსენებით. შემდეგი სხდომა შესდგება დღეს დილის 9 საათზე.

მეორე და მესამე სხდომა

მეორე სხდომა შესდგა კვირას დილით. მთელი სხდომა მოუნდა კამათს ამხ. ბუკრეევის მოხსენების გარშემო და მომხსენებლის საბოლოო სიტყვის მოსმენას.

საღამოს სხდომა არ შემდგარა. მესამე სხდომა გაიხსნა ორშაბათს დილის 9 საათზე. ამ სხდომაზე საბჭომ მოისმინა ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირის გამგეობის წევრების ამხ. **ქურსელის** და **ვ. კანდელაკის** მოხსენებები. ამხ. ქურსელმა მოხსენება გააკეთა 1928—29 წლის ოპერატიულ-ფინანსიური გეგმის შესახებ, ხოლო ამხ. კანდელაკმა 1928—29 წლის საორგანიზაციო მუშაობის გეგმის შესახებ.

როგორც ამხ. ქურსელის მოხსენებიდან სჩანს ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირის შემოსავალი 1928—29 წელში უნდა გამოიხატოს—1.646.541 მანეთში, ხოლო გასავალი—1.316.422 მანეთში. ნავარაუდევი მოგება განისაზღვრება—330.118 მანეთით. წლიური ბრუნვა ნავარაუდევია—117.027.900 მანეთის რაოდენობით.

ა.-კ. სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირს მიმდინარე სამეურნეო წელში განზრახული აქვს ფართოდ მოჰკიდოს ხელი მუშათა კოოპერატივებისათვის საჭირო სასოფლო მეურნეობის პროდუქტების დამზადებას.

გათვალისწინებულია 17.901,500 მანეთის სასოფლო მეურნეობის პროდუქტების დამზადება. მარტო ფქვილი განზრახულია დამზადდეს 70.820 ტონის რაოდენობით.

სამრეწველო საქონელი შემოზიდული უნდა იქნას შემდეგ ფარგლებში: ფართლეული—4.047.700 მანეთის, გალანტერეია—4.920.000 მან., ტყავეული—4.920.000 მან., ბაკალეა—24.861.000 მანეთის და სხვა.

ამხ. ქურსელის მოხსენების შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. კანდელაკის მოხსენება საორგანიზაციო მუშაობის გეგმის შესახებ.

გეგმა ითვალისწინებს იმ კურსის გაგრძელებას და განვითარებას, რომელიც უკვე აღებული აქვს ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირის საორგანიზაციო განყოფილებას. ეს არის ინსტრუქტაჟის სპეციალიზაცია კოოპერატიული მუშაობის ცალკე დარგების მიხედვით.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუშაობას კულტურულ - საგანმანათლებლო დარგში.

სხდომის დასასრულს სესიამ აირჩია კომისიები მოსმენილ მოხსენებების შესახებ კონკრეტულ წინადადებათა დამუშავებისათვის.

კომისიები მუშაობდნენ ორშაბათს საღამოს. სესიის მორიგი სხდომა გაიხსნება დღეს დილის 9 საათზე.

პატარა ფელეტონი

ჭრელი სტრიქონები

გავარჯიშება

„ათინაში, ახალი ეკლესიის კურთხევის დროს ჩახვავდა ტრიბუნა, რომელზედაც იყო პრეზიდენტი არქიელი და ბურგომისტრი. ბურგომისტრი და არქიელი დაშავდნენ".

(გაზეთებიდან).

მე ასე ვფიქრობ, არაფერია
მაინც და მაინც აქ გასაკვირი,
რომ ეკლესიის კურთხევის ნაცვლად
ნეხვში ჩაფლავდა სამღვდელო პირი.
არც ეგი არის მაინც და მაინც
ჩვენთვის, თუ მკითხავთ, გასაოცარი,
რომ პრეზიდენტი დახვავდა მასთან
და ბურგომისტრიც წვერებ ცანცარი.

ჩვენ ვიცით უკვე, რომ მოვა ხანი
და ყველა ისე დაგორდებიან,
რომ ათინას და ძალა-უფლებას
სამარადისოდ დაშორდებიან.
თუ რა გვარია მათი ძალა და
რანაირია მათი სიმტკიცე,
ამას, ტრიბუნა ჩახვავებული
პრეზიდენტითურთ ნათლად გვიმტკიცებს.

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის"

„ინგლისის პარლამენტის გაზეთი" იუწყება, რომ ყველაზე მეტ აქტივობას პარლამენტში იჩენს ჯანმრთელობის მინისტრი ნევილ ჩემბერლენი (ოსტინის ძმა). გასული სესიის განმავლობაში მან 240 სვეტი შეავსო. შემდეგ მიდის მუშათა პარტიის დეპუტატი კენვორტი, რომელმაც 215 სვეტი შეავსო. ლორდთა პალატაში პირველი ადგილი უჭირავს ლორდ პარმურს—მუშათა პარტიის ფრაქციის ლიდერს".

სიტყვა, სიტყვა, სიტყვა, სიტყვა,
დაუშრეტი ზღვა სიტყვების,
ამბობენ, რომ გრძელი სიტყვა
ნიშანია გაჭირვების.
მართლაც ცუდი ხუნი უდის
ამ გრძელ „რეჩებს", ამ გრძელ სიტყვებს.

ვფიქრობ, ვინმე მალე ეტყვის
ამ მოლაყბე ლორდებს, ბრიყვებს:
„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის
შაირია ამით კარგი,
აბა ნევილ, კენვორტ, პარმურ
აიკარით ერთად ბარგი".

თანხვედრილი აზრი

ჩერჩილმა განაცხადა: „თუ მუშათა პარტიამ გაიმარჯვა არჩევნებში, დადგება პოლიტიკური ძალადობის ხანა".

კენვორტიმ ის აზრი გამოსთქვა, რომ ჩერჩილს და მის პარტიას (კონსერვატორებს) განზრახვა აქვთ გარეკონ თემთა პალატა".

(გაზეთებიდან).

ხშირად მესმის ამ ბოლო დროს:
„პარლამენტი—პროსტიტუტკა",
„სერიოზნი" ხალხი ამბობს,
არ გეგონოთ ჩემი „შუტკა".
ჯერ პილსუდსკიმ ბრძანა ასე,
ეხლა მალე, აბა ნახეთ,
თუ ჩერჩილიც, გონშეშლილიც
ასევე არ დაიძახებს.

გასაკვირი კია, მაგრამ
განსხვავება ვერა ვსცანი:
პილსუდსკი და მე ვყოფილვართ
ერთნაირი აზრისანი.
მე ჩერჩილსაც ვეთანხმები,
რომ მოვიდა ძალის ხანა,
რომ სხვაგვარად არ იქნება
ლორდთა დაბლა „ჩამოყვანა".

ლერ-ნერონი

„საფრანგეთის მთავრობის დავალებით გენერალი ლერონი ჰკრავს პოლონეთ რუმინეთის და სხვა წვრილ სახელმწიფოთა კავშირს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ".

(გაზეთებიდან).

რუმინეთი მოიარა,
პოლონეთსაც მიაკითხა,
„დაჩაგრული" ბულგარეთიც
„გმირმა" აღარ დაივიწყა.
ყველგან საქმე მოაგვარა,
ყველგან საქმე გამოჩარხა,
„საბჭოებზე" გალაშქრების
დიდი გეგმა გამოჩმახა.
ეგონა რომ დაემზგავსა
გმირობაში თითონ ნერონს
(მიმიხვდებით, მუსაიფი

შეეხება ბატონ ლერონს).
ჰგონია, რომ ვითა რომში,
ისიც შექმნის ქვეყნად ხანძარს
და იმ ხანძრით წითლებს ყველგან
ყველგან დასცემს შიშის თავზარს.
ნერონ-ლერონს დაავიწყდა:
წითლებს არა სწვავს ხანძარი,
დაავიწყდა, რომ ხანძარით
ჩვენ მსოფლიო გადავსძარით.

ხოზიკა.

შაქრის ჭარხლის კონტრაქტაცია

შაქრის ქარხნის ნედლი მასალით უზრუნველყოფის მიზნით სახკომსაბჭომ და ეკ. საბჭომ საჭიროდ სცნო ჩატარდეს ჭარხლის ნათესების კონტრაქტაცია 200 ჰექტარზე, გარდა იმ 30 ჰექტარისა, რომელზედაც შაქრის ტრესტი საცდელ თესვას აწარმოებს. სახალხო მამულების ტრესტს დაევალა გამოიყენოს 1929 წ. ჭარხლის მოსავალი გომის არაყის სახდელ ქარხანაში.

გლეხთა ჭარხლის ნათესების კონტრაქტაციის ჩატარება დაევალა სახ.-სამ. კოოპერაციას.

საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დამდებმა საგლეხო მეურნეობებმა თვითეულ ჰექტარ მიწაზე უნდა ჩააბარონ არა ნაკლებ 114 ცენტნერი ჭარხლის, სულ კი 200 ჰექტარზე—22.800 ცენტნერი.

ჭარხლის მთესველ გლეხებისათვის დაწესდა ჭარხლის ჩასაბარებელი ფასი 1 მან. 22 კაპ. რაოდენობით თვითეულ ცენტნერზე. თვითეულ ჰექტარზე ავანსის საშუალო ნორმათ დაწესებულია 50 მან. რაოდენობით. მთესველებს ხელშეკრულების დადების დროს მიეცემა 50 პროც. და ჭარხლის ნათესების ამოსვლის შემოწმების შემდეგ 50 პროც. მთესველებს ავანსი ეძლევათ უპროცენტოთ 1929 წ. ნოემბრის 15-მდე. შაქრის ჭარხლის ნათესების კონტრაქტაციისათვის საჭირო კრედიტი განისაზღვრება 10.000 მან. და სუპერფოსფატის შესაძენათ—5000 მან.

საქართველოს სახ.-სამ. ბანკს დაევალა გაუხსნას სახალხო მამულების ტრესტს შაქრის ჭარხლის ნათესების კონტრაქტაციის ჩასატარებლად 15,000 მან. კრედიტი.

სახ. მამულების ტრესტს დაევალა შეიძინოს შაქრის ტრესტის საშუალებით 200 ჰექტარი მიწის დასათესათ საჭირო თესლი იმ ანგარიშით, რომ მათი გადმოტვირთვა მოხდეს არა უგვიანეს 1929 წ. თებერვლის 1-ლისა.

პლანტატორებს ნათესების მავნებლებთან საბრძოლველი საშუალება ეძლევათ უფასოდ.

ჭარხლის მთესველებს ავანსს გარდა მიეცემა 190 კილო სუპერფოსფატი თვითეულ ჰექტარზე

მიწსახკომს და „სოფლის კავშირს" დაევალა მოაწყონ ჭარხლის მთესველ გლეხებისათვის აგრონომიული დახმარების საქმე.

საქართველოს ურწმუნოთა საბჭოში

გუშინ საღამოს შესდგა ურწმუნოთა კავშირის ცენტრ. საბჭოს სხდომა. სხდომის დღის წესრიგში იდგა მხოლოდ საორგანიზაციო ხასიათის საკითხები. სხდომამ გადასწყვიტა გამოიკვლიოს ურწმუნოთა კავშირის მუშაობა ადგილებზე და გააბას მჭიდრო კავშირი მათთან.

სხდომაზე გამომუშავებულ იქნა ურწმუნოთა საბჭოს წესდება და ინსტრუქცია ანტირელიგიური მუშაობის გაცხოველების შესახებ. სხდომამ იმსჯელა აგრეთვე ურწმუნოთა საბჭოს ფინანსიური საკითხის მოგვარებაზე. გადაწყდა უახლოეს ხანში რესპუბლიკის მაშტაბით მოწვეულ იქნას ურწმუნოთა კავშირის წევრთა თათბირი. დასასრულს მიზანშეწონილად იქნა ცნობილი საქ. ცენტრალური საბჭოს და პრეზიდიუმის წევრთა რიცხვის გადიდება.

მგზავრის შთაბეჭდილებანი

VII.

ბერლინში რომ დაჰყოთ რამოდენიმე საათი, თქვენ უკვე იცით, რომ გერმანიის შუაგულში ხართ: ყველგან გერმანული ლაპარაკი, ყველგან გერმანული სახე, ყველგან გერმანული საქმიანობა.

სულ სხვა არის პარიზი. ყოველი ფეხის გადადგმაზე აქ სურათი იცვლება, ხალხი სულ სხვადასხვანაირია; ფრანგი, იტალიელი, პოლონელი, ჩინელი, იაპონელი, ებრაელი, ესპანელი, ამერიკელი, ევროპიელისა და ზანგის შეერთების ნახევრად შავკანიანი ნაყოფი,— ყველა თქვენ თვალს წინ ირევა ბუზივით და ძალიან დიდხანს დაგჭირდებათ დაკვირვება, რომ ფრანგის ნამდვილ ტიპზე წარმოდგენა იქონიოთ. ფრანგულის გვერდით თქვენ გაიგონებთ იტალიურს, ესპანურს, ინგლისურს, რუსულს და სხვ.

გერმანული ტიპი ადვილი შესამჩნევი და გამოსარჩევია; საშუალოზე მაღალი, მსუქანი, ჩასკვნილი, მხარბეჭიანი, ქერა, წითური, დაბალი კისერი, სახე-სავსე მთვარე, ცხვირი — კართოფილი.

სულ სხვაა ფრანგი; ის მრავალფეროვანია, ცვალებადი.

ფრანგული ტიპი მტკიცე აღარ არის, იშლება, გადაგვარებას განიცდის.

მე ამაში ვხედავ ერის დაბერების ნიშანს.

ხშირად ნახავთ ფრანგს, რომელიც ებრაელს მოგაგონებთ, ქართველს, ესპანელს.

ფრანგული ტიპების შესასწავლად უნდა მიმართოთ მუზეუმებს. აი, აქ მხატვრულ ფერებსა და ხაზებში მართლაც საუცხოვოდ არის ჩაჭერილი ფრანგული ტიპი.

პირადათ მე პეიზაჟი და პორტრეტი განსაკუთრებით მხიბლავს ფრანგულ მხატვრობაში. აქ ყველაფერი ბუნებრივია, სინამდვილე, და არ არის მანჭვა-გრეხა.

როდესაც მუზეუმებიდან ქუჩას მიმართავთ, მაშინ უფრო გაგიადვილდებათ პარიზში ნამდვილი ფრანგის გამორჩევა.

საშუალოზე ცოტა მაღალი, სუფთად ჩამოსხმული ტანი, მაღალი კისერი, გძელი, ოდნავ კეხიანი ცხვირი, მოგრძო სახე და ნიკაპი, ცოტა წინწამოწეული სახე, მუქი წაბლისფერი თმა, ბრწყინვალე, ჭროლა თვალები— აი, დაახლოებით ფრანგი კაცი.

საშუალო, ჩამოქნილი ტანი, წაბლისფერი თმა, მეტად ცოცხალი, დიდრონი, ჭროლა თვალები, დიდი, ვნებიანი პირი, გრძელი, ოდნავ კეხიანი ცხვირი, ცოტა აზნექილი, რგვალი ნიკაპი, მოგრძო სახე, ოდნავ წინ წამოწეული ზედა ტუჩი— აი, დაახლოებით ფრანგი ქალი.

საფრანგეთის ბურჟუაზიას სინამდვილე აღარ მოსწონს, მას გადასხვაფერებული სინამდვილე უნდა.

და რადგანაც ის ცხოვრების ბატონია დღეს - დღეობით, ამიტომ ყოველისფერი იმის გემოვნებას ეგუება და იცვლის სახეს.

არავინ და არაფერი ისე არ იცვლის აქ სახეს, როგორც ქალი.

ქუჩაზე თქვენ სახეს კი არა ჰხედავთ, არამედ ნიღაბს: ტუჩები, წამწამები, თმა, ლოყები — ყველაფერი შეღებილია, განსაკუთრებით ლოყებზე ისეა მუქი წითელი ფერი დატყეპებული, როგორც საღებავი ზოგიერთ თანამედროვე მხატვრის ტილოზე.

იღებს ყველა — ახალგაზრდაც, მოხუციც.

ყოველივე ეს მეტად ახასიათებს პარიზის მოხუცებულ ბურჟუაზიას. საღებავი დიდი თვითმაქცია; ის ცდილობს სიბერის ხაზების წაშლას, სიკვდილის აჩრდილის განდევნას და სიჭაბუკის მოჩვენებას.

ამიტომ პარიზი დიდი ნიღაბია. აქ ყველა ცდილობს სინამდვილის წაშლას, ახალი სინამდვილის შექმნას, ძველი ცხოვრების დავიწყებას და ახალის დაწყებას: თავის ქვეყანაში გაჭუჭყულს აქ მთავრად მოაქვს თავი; თავის ქვეყანაში გაკოტრებული აქ მილიონერად დაიარება.

გიჟიმხრელი აქ „პრენს ნადირ"-ია, **მდივანი** — „პრენს დივან".

ყოველი კუთხის აფერისტი, ბნელი წარსულის მქონე, დაკარგული ტახტის მაძიებელი, ალფონსი—აქ იყრის თავს.

პარიზი ყველას იტევს, პარიზი ყველას სიამოვნებით ღებულობს.

პარიზი უდიდესი სანახაობაა, დიდი კინო. აქ ყველა თამაშობს. აქ თქვენ ნახავთ მემკვიდრეს არ არსებული მილიონებისას და ხალხსა სჯერა მისი მილიონერობა.

აქ თქვენ ნახავთ მემკვიდრეს არ-არსებული ტახტისას და ის ისე თამაშობს ამ როლს, როგორც გვარიანი მსახიობი სცენაზე.

აქ თქვენ ნახავთ მინისტრებს, რომლებსაც სამინისტრო არსადა აქვთ; ნახავთ მთელ მთავრობას, რომელსაც სამთავრო არ გააჩნია. ნახავთ სავაჭრო, სააქციო საზოგადოებებს, რომელიც მხოლოდ ქაღალდზე არსებობს.

აქ არიან „დიდი მემამულეები", რომლებსაც ერთი მტკაველი მიწა აღარსად აბადიათ. დასეირნობენ სხვადასხვა „თავადები", რომლებიც თავადებად მხოლოდ ყალბ მოწმობებში სწერიან.

აქ შეხვდებით სამოცდა-ათი წლის მოხუც ქალს, რომელიც ოცდაათი წლის ახალგაზრდათ არის გამოწყობილი და იხილავთ ჭაბუკს, რომელიც ამ მანჭია ბებრუხანას სიყვარულს ეფიცება.

არა, მთელი პარიზი უშველებელი წარმოდგენაა, ყველა თამაშობს, ყველა მსახიობია და ბევრი — ძალიან რიგიანიც.

ასეთს განწყობილებაში ძალიან დიდი გასავალი აქვს ჭორს, რადგანაც ჭორი ერთგვარი გამოგონებაა, ერთგვარი თამაში.

ყოველი უდიდესი ჭორი პარიზში ითხზება.

არსად ჭორი ისე არა სადდება, როგორც პარიზში.

არსად ჭორი ისე არ უყვართ, როგორც პარიზში.

ჭორი აუცილებელი დამატებაა პარიზის, ცხოვრებისა, უჭოროდ პარიზი პარიზი აღარ არის.

ჭორი აქ ერთგვარი სპორტია; ვინ გინდათ, რომ მას არ იგონებდეს' ვინ გინდათ, რომ მას არ ავრცელებდეს. ჭორი თავისუფლად დათარეშობს პარიზში, ის ყველგან არის: ქუჩაში, სახლში, რესტორანში, სამინისტროში, რედაქციაში, ბირჟაზე.

საუკეთესო პროფესიონალური მეჭორე პარიზშია; საუკეთესო ჭორიკანები პარიზში არიან.

ჭორი აქ სჯერათ, ჭორი აქ ქმნის მხიარულებას, ხალისს, კარგ გუნებას და ხშირად ფულსაც.

მეჭორე, მკითხავი, მარჩიელი, ყოველგვარი შარლატანი ერთმანეთის მეგობრები არიან.

ამიტომ ამ განათლებულ ევროპის განათლებულ ცენტრში მკითხავებსა და სხვადასხვა არამზადებს დიდი გასავალი აქვთ. მათ ხალხი ბუზივით ედება. წინდაწინვე ეწერებიან მათ სანახავად, აუარებელ ფულს იხდიან.

ზოგიერთი აჟაური მკითხავის შემოსავალს ბევრი თავისუფალი პროფესიის პირი შენატრის.

მსოფლიო ბურჟუაზიას დროდადრო გართობა უნდა. გართობა საკუთარ ქვეყანაშიაც შეიძლება, მაგრამ ერთის მხრით მოგზაურობა თავისთავად გართობაა, მეორეს მხრით საკუთარ ქვეყანაში აუცილებელია ერთგვარი რიდი, თავდაჭერილობა გართობის დროსაც, სხვაგან კი ვინ გიცნობს, ვინ მოგთხოვს ანგარიშს

ამიტომ საჭიროა ბურჟუაზიისათვის რამე ადგილი, რაიმე ცენტრი, სადაც მას არასფერი არ შეაკავებს, ხელს არ შეუშლის, სადაც ის სრულ თავისუფლებას მისცემს თავს, სადაც ყველაფერი მზათ იქნება, რომ ის გაართოს, დაატკბოს, დააკმაყოფილოს ყოველმხრივად.

ასეთი ადგილია პარიზი.

ფულით აქ ყველაფერი იშოვება, ფულით აქ ყოველისფერის ნება გაქვთ.

ამიტომ პარიზში თავს იყრიან ქვეყნის ყველა კუთხიდან ისინი, ვინც ფულით ყოველისფერს ჰყიდულობს; აგრეთვე ისინიც, ვინც ფულზე ყოველისფერს ჰყიდის.

არიან აქ მდიდარი ამერიკელები — უფრო მოხუცი ქალები და მოხუცი კაცები.

მოხუცი ქალები ჰყიდულობენ საყვარლებად ახალგაზრდა ვაჟებს. ვინც უფრო ლამაზია, ახოვანი, ნაკვთიანი, იმას ფასიც მეტი აქვს.

ასეთ საყვარლებს ბებერი ამერიკელი ქალები საუცხოვოდ აცმევენ, აჭმევენ, ასმევენ, დროს ატარებინებენ, ავტომობილით ასეირნებენ, ერთის სიტყვით უვლიან და ანებივრებენ.

ამრიგად, ალფონსობა მეტად გავრცელებულია პარიზში. ალფონსი არასფერს არ აკეთებს, ეხვევა სამოცი-სამოცდაათი წლის სახე-შეღებილ ქალს; სამაგიეროდ სულ ყველაფერი აქვს, არასფერი არა აკლია, მუდამ გამოწყობილია საუკეთესო ტანისამოსში, ყველგან არის, ყველგან მიღებულია, სადილობს და ვახშმობს საუკეთესო რესტორანში, თეატრსა და ოპერაში საუკეთესო ლოჟა მისია.

პარიზში ოღონდ ფული ბლომად გქონდეს, ბლომად ჰხარჯავდეთ და საიდანა გაქვთ, ან როგორ, რა გზით გაქვთ შეძენილი, ამას არავინ არ ჰკითხულობს.

მდიდარი ამერიკელები ჰყიდულობენ ახალგაზრდა ქალებს და იმათ ტანისამოსსა და მდიდრულ სამკაულებზე აუარებელი ფულის ფლანგვით აღიზიანებენ გაცვეთილსა და დაჩლუნგებულ გრძნობას.

ისინი ჰყიდულობენ უნიჭო, მაგრამ ლამაზ მსახიობ ქალებს და ფულით, ქრთამით იშვიათი მოკაზმულობით უქმნიან მას სახელს. ამუშავდება ქრთამით რეკლამის მთელი მექანიზმი, ასტეხენ განგაშს მოსყიდული რეცენზენტები და ხელოვნების ცაზე ამობრწყინდება ახალი „ვარსკვლავი". ნახავთ, გაიცნობთ. — ვარსკვლავის ნაცვლად ხელში შეგრჩებათ რომელიმე მილიარდერის კეკლუცი საყვარელი.

ჰიპნოზი იმდენად დიდია, რომ „ხალხი" ბუზივით ეტანება, სანამ მეორე რომელიმე მილიარდერი არ გაიმარჯვებს და არ ამოათრევს ხელოვნების ცაზე თავის საყვარელს.

მოწონების, რეკლამის ერთ-ერთი საშუალება არის ჩაცმულობა. ამიტომ პარიზი არის მსოფლიო მოდა. არსად იმდენი ფული არ იხარჯება მოდაზე. არსად მოდა ისე არ არის დაყენებული, როგორც პარიზში.

ერთი ფირმა მეორეს ეჯიბრება მოდელის გამოგონებაში, ერთი სავაჭრო სახლი — მეორეს. მოდელის მზადება დიდ საიდუმლოებაში ინახება.

დიდ სავაჭრო სახლს, მაგ., ქალების ტანსაცმელისას, დაქირავებული ჰყავს მხატვრები და ისინი მუშაობენ კაბის ან პალტოს ამა თუ იმ მოდელზე.

რეკლამა წინდაწინვე ამზადებს საზოგადო აზრს და, როდესაც რომელიმე დიდი სავაჭრო სახლი თავის მოდელებს გამოფენს ვიტრინებში, ბუზივით დაედება ხალხი და ისე ათვალიერებს, როგორც მხატვრობის იშვიათ ნიმუშს.

ტანისამოსის მოდელზე საავტორო უფლება დაცულია. თქვენ თუ მოდელი სრულიად გადიღეთ, ეს არის ერთგვარი ქურდობა, რაც კანონით ისჯება. თქვენ ამით ზარალს აყენებთ ფირმას, რომელიც აუარებელ ფულსა ჰხარჯავს ამ მოდელის შესაქმნელად და მოდელიც მისი საკუთრებაა. ყოველგვარ მოდელს, ტანისამოსი იქნება ის, ფეხსაცმელი, ავეჯი თუ სხვა რამ, ესაჭიროება შესაფერი ჩარჩო.

კარგი სურათი ვერ ახდენს ჩვეულებრივ მაყურებელზე ისეთს შთაბეჭდილებას უბრალო ჩარჩოში, როგორც მხატვრულ ჩარჩოში.

მოდელის ჩარჩო არის ვიტრინა, ანუ დიდი ფანჯრები, სადაც გამოფენილია სავაჭრო საგნები.

ვიტრინის მხატვრულად მოწყობა, ყოველი საგნისა და ნივთის შესაფერისად დადგმა, მილაგება, არსად ისე არ არის განვითარებული, როგორც პარიზში.

ყოველი ვიტრინა აქ მთელი მხატვრობაა და ხშირად ძალიან ლამაზიც: აქ არის გემოვნება, ცოდნა, სტილი და სხვ.

დიდ მაღაზიებში ვიტრინები დროდადრო იცვლებიან — ორ-სამ დღეში ერთხელ.

პარიზი მსოფლიო ვაჭარია და იშვიათი, თავისებური ვაჭარიც. აქ ყველაფერი საქონელია სხეულიდან მოყოლებული სახელსა და ღირსებამდე.

ყველაფერი აქ ფულის სასწორზე იწონება. თქვენ მაგალითად სახელი გაქვთ, მსახიობი ხართ ცნობილი და სხვ. მისცემთ თქვენს ფოტოგრაფიულ სურათს ამა თუ იმ სავაჭრო ფირმას და ზედ დააწერთ, რომ თქვენ იცვამთ მხოლოდ ამ ფირმის ტანისამოსს, ფეხსაცმელს, პერანგს და ძალიან კმაყოფილი ხართ. ეს ფირმა თქვენს სურათს ზედ წარწერით დადგამს თავის ვიტრინაში და თქვენ კი იღებთ დიდ ფულს, გარდა იმისა, რომ ამ ფირმის ნაწარმოები მოგერთმევათ უსასყიდლოთ ყოველ თვეს, ყოველ კვირას.

აქ არიან ისეთი ცნობილი მსახიობები, რომლებსაც ყოველისფერი მუქთათა აქვთ, ტანისამოსი რამოდენიმე ათეული ყოველ წლიურად ასეთი ვაჭრობის წყალობით, ფეხსაცმელი, ქუდი და სხვ. აქ ყველა ჰყიდის თავის სახელს და ეს მიღებულია.

ამერიკელ მილიარდერ ქალს არასფერი არ აკლია გარდა თავადობისა, თქვენ კი არასფერი არა გაქვთ გარდა თავადობისა. ის ჰყიდულობს თქვენგან თავადობას, თქვენ ჰყიდით ამ ღირსებას.

ეს ადვილი საქმეა.

შეხვალთ ეკლესიაში, დაიწერთ ჯვარს, მიიღებთ გარიგებულ თანხას და თქვენ ერთ მხარეზე წახვალთ, ის მეორეზე — მორჩა და გათავდა.

ასეთ ვაჭრობას შუამავალი უნდა, აგენტი.

პარიზიც უდიდესი შუამავალია, უდიდესი მაშუალი, მაჭანკალი, გამრიგებელი, კომისიონერი. თუ კი რამ არის მოსაგვარებელი, მოსაჭახრაკებელი, მოსარიგებელი, და სხვ., ყოველივე აქ კეთდება, პარიზში.

ამგვარ საქმეებში პარიზი იმდენადა სდგას ყოველგვარი კონკურენციის გარეშე, რომ თვით დიპლომატიაც კი პარიზში ჩამოდის ყოველი მხრიდან, როდესაც ის განსაკუთრებით თაღლითობს და ეშმაკობს.

შეიძლებოდა კიდევ ბევრი რამის ჩამოთვლა, მაგრამ ნათქვამიდანაც ცხადია შემდეგი: პარიზს აქვს ბევრი ისეთი თვისება, რაც იზიდავს მსოფლიო ბურჟუაზიას.

ამიტომაც დასასვენებლად, გასართობად, დროს გასატარებლად და ბევრჯერ გულის გადასაყოლებლად, დასაოკებლად ბურჟუაზია ევროპისა და ამერიკისა დროდადრო აქ იყრის თავს.

ზნეობას, კეთილშობილებას, ადამიანობას, ღმერთს, ხატს და სხვა ამისთანებს, რაც ბურჟუაზიას მუდამ ენაზე აკერია, აქ ის ივიწყებს და ხარბად ეწაფება ავხორცობის ტბას.

გარყვნილებას პარიზში თავისი პოეზია აქვს, თავისი პოეტები ჰყავს, თავისი მხატვრები, ხუროთმოძღვრები.

ყოველივე ამისი შესწავლა კი არა მარტო დანახვაც, მეტისმეტად ძნელია, რადგანაც ჩვეულებრივი მომაკვდავი ასეთ ადგილებს ვერ იხილავს.

რატომ? აკრძალულია და ფარულად, საიდუმლოდ სწარმოებს ყოველივე? პოლიცია სდევნის?

კანონით არ არის ნებადართული, მაგრამ

„დახედეთ, ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა!".

ოქროთი აქ ყველაფერი შეიძლება, ყოველივე მოხერხდება.

ფილიპე მაკედონელი ამბობდა: ათინის ასაღებად საკმარისია ოქროთი დატვირთული ვირიო. პარიზში ოქროთი ყველაფერს აიღებთ, ყველას მოისყიდით.

ხოლო საქმე იმაში გახლავთ, რომ შესვლა ისეთ ადგილებში, სადაც ბურჟუაზია ნიღაბახდილი ეძლევა განცხრომას, მეტად ძვირი ჯდება და ჩვეულებრივ მომაკვდავს ეს არ შეუძლია.

პარიზი უდიდესი სოდომია, გარყვნილების ყოველგვარ სახესა აქვს აქ ადგილი; გარყვნილების მოდას პარიზი ქმნის.

არის ისეთი ადგილები, სადაც „კეთილშობილი" ოჯახების ქალები და კაცები მასკებით მოდიან, სრულებით შიშვლდებიან და საჯაროთ ასრულებენ სქესობრივ აქტს; შეგიძლიათ, უყუროთ, შეგიძლიათ, მონაწილეობა მიიღოთ,— როგორც გნებავთ.

აქ არის სხვადასხვა თეატრო — მიმოხილვა, სადაც სცენაზე სრულებით გატიტვლებულ ქალებსა ჰხედავთ.

გეტყვიან:

— ეს მეტის-მეტად ლამაზიაო.

მე არ უარვყოფ, რომ სიშიშვლეში არის სილამაზე, მაგრამ ყოველთვის არა და ბევრჯერ კი არის ვნება უფრო მეტი.

პარიზელსაც სწორეთ ეს ვნებიანი, ავხორცი სილამაზე უყვარს. შეიძლება ამიტომაც არის, რომ ბურჟუაზიული პარიზი სიშიშვლეს ეტრფის. ზაფხულობით პარიზში იმართება ოთხი ხელოვნების დღესასწაული.

მთელი სამი დღე ქუჩები, კაფეები, რესტორანები სავსეა სრულებით შიშველი ქალებითა და კაცებით, მხოლოდ სასქესო ასოები აქვთ ცოტათი დაფარული წინიდან. ახალგაზრდა ექიმები წელიწადში ერთხელ მართავენ დღესასწაულს და სანადიმო ადგილზე სრულებით შიშვლები იკრიბებიან!

პარიზელს უყვარს სიშიშვლე და აქ რომ მუდამ ზაფხული იყოს და ნება მისცეთ, ყველა ტიტველი ივლის.

ყოველივე ეს იმისი მაჩვენებელია, რომ საფრანგეთის ბურჟუაზია დაბერდა, მას აღარა აქვს ძლიერი ქმედითი გაქანება წინ და მას უნდა, უკანასკნელი დღენი გაატკბოს თავისი ხორცი ყოველნაირად, რომ ჯავრი აღარაფრისა ჩაიტანოს საფლავში.

გარყვნილების ნაირნაირობა, მისტიციზმი და შიში ახასიათებს ყოველ კლასს მისი არსებობის მესამე და უკანასკნელ ხანაში.

ყოველივე ეს არის პარიზში. პარიზის ბურჟუაზიამ ამ ოცდა ხუთი წლის წინად სრულიად განდევნა სასულიერო კონგრეგაციები საფრანგეთიდან და ჩამოართვა ქონება.

დღეს ეს კონგრეგაციები უკან დაბრუნდნენ, მოიკალათეს ნელა-ნელა ძველ ბინაზე და ახლა ბურჟუაზიის მთავრობა უკვე თანხებს გამოითხოვს მათის დასახმარებლად, რადგანაც ისინი „საფრანგეთის ერის" ინტერესებს იცავენ სხვა ქვეყნებშიო!!! ეს გახლავთ დაბრუნება სარწმუნოებისაკენ.

ბურჟუაზიული ინტელიგენციის ერთ ნაწილში კი თანდათან ფეხს იკიდებს მისტიციზმი და ახალი სარწმუნოების ძიება.

ეს ერთ დროს უშიშარი, მებრძოლი ბურჟუაზია თითქოს გამარჯვებული გამოვიდა ბრძოლის ველიდან ახლაც.

ამავე დროს კი შიშით არის შეპყრობილი: ეშინია კომუნიზმის, ეშინია რევოლუციის, ეშინია გერმანიის. შიში არღვევს შინაგან წონასწორობას და იწვევს რყევას განწყობილებისას.

პარიზში ყოველივე რყევას განიცდის, მტკიცე არაფერია.

პარიზის ბურჟუაზია ცხოვრობს დღევანდელი დღით, პარიზის ბურჟუაზია ჰქეიფობს დღევანდელ დღეს, რადგანაც არ იცის, ხვალინდელი დღე მისი იქნება თუ არა.

ასეთ რყევასა და განწყობილებას ხელს უწყობს დიდი წინააღმდეგობა: ერთის მხრით საშინელი სიმდიდრე, მეორეს მხრით საშინელი სიღარიბე.

პარიზის ბურჟუაზია გახლავთ მემკვიდრე იმ მესამე წოდებისა, რომელიც პირველი რევოლიუციის დროს მუშებთან ერთად იბრძოდა მეფისა, თავადებისა, სამღვდელოებისა და მათი მთავრობის წინააღმდეგ. მუშების ხელითა და სისხლით ბურჟუაზიამ გაიმარჯვა, დააჯდა მუშებს კისერზე, აძრობს მათ ტყავს და თვითონ კი ცხოვრობს ისეთს განცხრომასა და ფუფუნებაში, როგორიც წინანდელ თავადებს არც კი დასიზმრებიათ.

პარიზის მსხვილი ბურჟუაზია დღეს წარმოადგენს ნამდვილ კასტას, რომელსაც კარი მაგრათა აქვს ჩაკეტილი და შიგნით არავის არ შეუშვებს. თავის წრეში ის ღებულობს მხოლოდ მილიონერებსა და წარჩინებული გვარის ბრწყინვალე წარმომადგენლებს. ფული და თავადობა — აი, რა ჰხიბლავს მას.

პარიზის მსხვილი ბურჟუაზია ცხოვრობს განცალკავებულად. მასა აქვს საკუთარი თეატრი, საკუთარი რესტორანი, საკუთარი გასართობი ადგილი; ჰყავს საკუთარი პოეტები და მწერლები, პოლიტიკური მოღვაწენი; აქვს საკუთარი გაზეთები.

აქ ყველაფერი ემორჩილება მსხვილ ბურჟუაზიას, ყველგან ის ბატონობს თავისი ჯიბის წყალობით. პარიზის ბურჟუაზიის ხელში აუარებელი სიმდიდრე არის თავმოყრილი. ძვირფასი და მდიდრულად მორთული სახლები ბაღებით შიგ პარიზში, აგარაკები პარიზის მიდამოებში, ავტომობილები, საუკეთესო სასტუმროები, რესტორანები, კაფეები —ყველაფერი ბურჟუაზიის ემსახურება, საუკეთესო თეატრებში შესვლა მხოლოდ ბურჟუაზიას შეუძლია, რადგანაც იქ არ შეუშვებენ არავის, ვისაც განსაკუთრებული ტანისამოსი არ აცვია. არის ისეთი რესტორანები, სადაც მხოლოდ ბურჟუაზიას შეუძლია სიარული, რადგანაც მარტო ერთი ადამიანის სადილი იქ ჩვენი ათი ჩერვონეცი ჰღირს.

არის მრავალი გასართობი, დროსგასატარებელი ადგილები, სადაც ბურჟუაზიის მეტი ვერავინ შევა.

იშვიათი სიმდიდრე და განძეულობა ზოგიერთი სავაჭრო სახლისა თვალსა სჭრის და ატყვევებს.

ყოველივე ამისაკენ მხოლოდ ბურჟუაზიას მიუწვდება ხელი.

ასეთია ბურჟუაზიული პარიზი.

ვნახოთ ეხლა, როგორიღა არის მუშათა მდგომარეობა პარიზში.

ივ. გომართელი.

(გაგრძელება იქნება)

ქრონიკა

ამხ. ბ. ჭიჭინაძის დაბრუნება

დაბრუნდა და თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა სმუს თავმჯდომარის მოადგილე ინჟ. ბ. ჭიჭინაძე, რომელიც სამკურნალოდ იყო კურორტ აბასთუმანში.

ამხ. პოზდეევის არჩევა

თბილისში მიღებული ცნობით, ამიერკავკასიის რკინის გზების გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. პ. პოზდეევი ბათომის ქალაქის საბჭოს პლენუმის მიერ არჩეულია საღმშენებლო კომიტეტის წევრად.

თურქ კომერსანტის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა დიდი თურქული ფირმის „ემინ ვეხბი-ბეი და კომპ.“ წარმომადგენელი ვეხბი-ბეი. მისი ჩამოსვლის მიზანია მოლაპარაკება „ზაკგოსტორგ“-თან ანატოლიისათვის საქონლის დიდი პარტიის შესყიდვის შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ამკრეფთა დაჯილდოება

საქ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა საქართველოს ფინანსთა კომისარიატს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადასდოს მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით შემოსული თანხების 0,15 პროცენტი ფინანსთა კომისარიატის იმ მუშაკების დასაჯილდოებლად, რომლებიც მუშაობდნენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფად.

ენერგბიურო საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან

საქართველოს სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა დებულება ენერგბიუროს შესახებ, რომელიც არსდება საქ. სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოსთან.

ბიუროს შესანახად 1928-29 წლისათვის გადაიდება 15.193 მანეთი.

გალიზგის ჰიდრო-ელსადგურის ასაგებათ

სმუს პრეზიდიუმმა დაადგინა მდ. გალიზგაზე (აფხაზეთშია) ჰიდრო-ელსადგურის ასაგებათ საჭირო გამოკვლევების ჩატარება მიანდოს სახელმწიფო ელექტრო ტრესტს. სმუს ელექტროფიკაციო განყოფილებას დაევალა სახელ. ტრესტთან დასდოს სათანადო ხელშეკრულება.

სადგურის ასაგებათ საჭირო წინასწარი საგამოკვლევო სამუშაოების შესრულება დაჯდება 29.000 მანეთად.

ს. მ. უ. ს. ტრესტების კანტორის ლიკვიდაცია

სმუს პრეზიდიუმმა დაადგინა მოახდინოს საქართველოს სმუს ტრესტების კანტორის ლიკვიდაცია აზერბეიჯანში. კანტორის ლიკვიდაციის ჩასატარებლად გამოყოფილია კომისია, რომელმაც მუშაობა უნდა დაამთავროს ერთ თვეში.

დახმარება ხევსურეთს

თბილისის აღმასკომმა წინადადება მისცა ჯანმრთელობის და განათლების განყოფილებებს შეიმუშაონ ხევსურეთში ახალი საექიმო პუნქტებისა და სკოლების გახსნის გეგმა. საექიმო პუნქტების და სკოლების გახსნა ხევსურეთში განზრახულია მომავალ წლიდან.

აღმასკომმა აგრეთვე დაადგინა მომავალ წლიდან ხევსურეთში ქისტების საზღვარზე მოაწყოს მილიციის საგუშაგო.

სტუდენტთა საერთო საცხოვრებლები

ახლო ხანში დამთავრდება ვაკეში თბილისის სახელმწიფო უნივ. სტუდენტების საერთო საცხოვრებელი სახლის აგება. სახლს ექნება 60 ოთახი, აბანო, საერთო სასადილო, სამკურნალო და სხ. თბ. აღმასკომს განზრახვა აქვს იქვე ააგოს სტუდენტთა მეორე საერთო საცხოვრებელი სახლი 100 ოთახით.

საერთო საცხოვრებელი შენდება აგრეთვე ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტებისათვის ინსტიტუტის მახლობლად.

პრობკის ხის გაშენება

ა.-კ. სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე საჭიროთ იქნა ცნობილი, რომ ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე მოშენებული იქნეს პრობკის ხე. ა.-კ. საგეგმო კომისიას დაევალა დაამუშაოს ეს საკითხი და დასკვნები წარუდგინოს ა.-კ. სახკომსაბჭოს.

მოქალაქეთა საყურადღებოდ

ქალაქ თბილისის და მისი მიდამოების კომენდანტი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ დღეს, 11 დეკემბერს, საღამოს სახელმწიფო კინო მრეწველობის ფაბრიკის რაიონში კინო სურათის გადაღების დროს მოხდება აფეთქება, ხოლო 12 დეკემბერს საკინმრეწვის მიდამოებში იწარმოებს ზარბაზნების სროლა.

საინჟინერო ტეხნიკური ძალების მონაწილეობა 7 საათის სამუშაო დღის გატარებაში

საინჟინერო-ტეხნიკური ძალების საკავშირო ბიურომ შეიმუშავა ცირკულიარი ადგილობრივ ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექციების მონაწილეობის შესახებ 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის საქმეში.

საინჟინერო-ტეხნიკური ძალების საკავშირო ბიურო მიუთითებს, რომ წარმოებების 7 საათის სამუშაო დღეზე წარმატებით გადასვლა სათანადო ორგანოების მიერ შემუშავებულ პირობების დაცვით, დაკავშირებულია დიდ საწარმოო-ტეხნიკურ დაბრკოლებებთან, რომელთა დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ ადგილობრივ საინჟინერო-ტეხნიკური ძალების აქტიური მუშაობით.

7 საათის სამუშაო დღის შემოღება წარმოებებისათვის უნდა გადაიქცეს იმპულსათ უფრო მაღალ ტეხნიკურ ბაზაზე გადასასვლელათ. ამის გამო საინჟინერო-ტეხნიკურ ძალების საკავშირო ბიურო წინადადებას აძლევს ინჟინერ-ტეხნიკოსთა ადგილობრივ სექციებს 7 საათის სამუშაო დღეზე წარმოებების გადასვლის საკითხებს მიაპყრონ ინჟინერ-ტეხნიკოსთა მთელი მასის ყურადღება.

თბილისის აღმასკომში

◆ **ახალი ხიდი.** თბილისის აღმასკომმა დაამთავრა ქვედა ალაბულაღის გზატკეცილზე ახალი ხიდის მოწყობა.

◆ **სამეურნეო სკოლა.** თბილისის აღმასკომის დადგენილებით დიდუბეში არსებული სასოფლო-სამეურნეო სკოლა გადატანილი იქნება ორთაჭალის საბჭოთა მამულში.

◆ **საბეითლო პუნქტები.** სადგილ-მამულო განყოფილებამ გადასწყვიტა მაზრაში გახსნას ახალი საბეითლო პუნქტები.

◆ **აბანო.** ნაძალადევში აბანოს მოსაწყობათ აღმასკომმა გადასდო 123.000 მ.

◆ **მუშათა ახალი სახლი.** დამთავრდა წყალსადენის მუშათა სახლის აგება. სახლში მოწყობილია ბინები 12 ოჯახისათვის. სახლის აგება დაჯდა 116.000 მან.

სხვადასხვა

◆ **სახ. უნივერსიტეტის გეოლოგიურ კაბინეტის აუდიტორიაში** დღეს, საღამოს 7 ს. შესდგება საქართველოს გეოლოგიურ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომა, რომელზედაც მოხსენებებს წაიკითხავენ: ასისტ. ივ. კაჭარავა—„სამურზაყანოს გეოლოგიისათვის“. პროფ. ალ. ჯანელიძე—„მუხრანის ველის არტეზიული წყალი“.

— **გადასამზადებელი კურსები.** 15 დეკემბერს თბილისში გაიხსნება სამომხმარებლო კოოპერაციის ნოქრების გადასამზადებელი კურსები. კურსებზე მოწვეული არიან სხვადასხვა კუთხის სამომხმარებლო კოოპერატივების ნოქრები.

◆ **ბუხჰალტრების გადამზადება.** კოოპერატივებში ანგარიშწარმოების გამარტივების მიზნით სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრმა „ცეკავშირმა“ გადასწყვიტა დასავლეთ საქართველოში ჩაატაროს ბუხჰალტრების გადამზადება. ამ მიზნით კურსები გაიხსნა ბათომსა და ქუთაისში. კურსებზე ლექტორებათ მიწვეული არიან ცეკავშირის ინსტრუქტორები.

— **ფუნქციების გამიჯვნა.** ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის დადგენილებით საქართველოს სამკერვალო მრეწველობას, ტყავის და ფეხსაცმელის დამამზადებელ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ მათთვის გადაცემული მასალისგან შეკერილი ტანთსაცმელი და ფეხსაცმელი სარეალიზაციოთ გადასცეს მთლიანათ სამომხმარებლო კოოპერაციას.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** მოსკოვიდან ცხაკაიას, იქიდანვე—კაბაიოვისას.

შემთხვევები

თავდასხმა

ღუწინწინ ღამით, გიორგი იოსების ძე ფაქროვს ბინაზე თავს დაესხა 7 ბოროტმოქმედი. თავდამსხმელებმა ოთახში სინათლის ჩაქრობის მიზნით ქუჩაში გადასჭრეს ელექტრონის მავთულები. ამის შემდეგ ბოროტმოქმედნი ავიდნენ აივანზე და განიზრახეს ხის ყუთის გატაცება, რომელშიაც ეწყო [illegible] ბანკები. ხმაურობაზე გამოეღვიძა ფაქროვს და გამოვიდა გარეთ. ერთ-ერთ თავდამსხმელთაგანმა დაუმიზნა მას თოფი და სიკვდილის მუქარით ხელები ააწევინა ზევით.

თავდამსხმელებმა ველარ მოახერხეს ნივთების გატაცება და მიიმალნენ.

თავის დაჭრა

თამარა პეტრეს ასულმა ელისაშვილმა თვით მკვლელობის მიზნით თავის ბინაზე დანით დაიჭრა თავი. ელისაშვილი გაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში. თავის დაჭრის მიზეზი—ოჯახური უსიამოვნებაა.

ქურდების დაპატიმრება

მილიციამ შეიპყრო: ყაზარ არშაკის ძე მელიქოვი, არშაკ გრიგოლის ძე ტერ-სიმონოვი, აოაქელ არკადის ძე მაქაროვი, ვლადიმერ გიორგის ძე ხუდიაკოვი და მარტიროს კარაპეტის ძე მიქელიანცი. ხსენებულ პირებს ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

დაჯახება

კვირას, 9 დეკემბერს, ტრამვაის ვაგონმა № 24, მარშრუტი მე-9, კახეთის ქუჩაზე დაეჯახა ზაგრატ ტოტოევს და მძიმედ დაშავა. დაშავებულს აღმოუჩინეს საექიმო დახმარება. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ პროკურატურის და სისხლის სამართლის მილიციის წარმომადგენლები.

ქუჩაში წესრიგის დარღვევისათვის

აღმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ ქუჩაში წესრიგის დარღვევისათვის ხუთ-ხუთმეტი მანეთით დააჯარიმა იოსებ კონსტანტინეს ძე სიდამონიძე, სერგო არუთინის ძე ოგანეზოვი და ალაქვეროვი გამიდ გასან-ოღლი.

ხულიგნების შეპყრობა

აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებამ ხულიგნობისათვის დააპატიმრა კონსტანტინე სერგოს ძე ბაბუაძე, კოსტა ნიკოლოზის ძე ხანიკაევი და კონსტანტინე გრიგოლის ძე ხანიკაევი.

ქურდობა

გაქურდეს მიხეილ ნიჟარაძის ბინა (პასტერის ქ. № 10); წაიღეს 150 მანეთის ტანთსაცმელი.—გარდა ამისა 9 დეკემბერს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის 6 შემთხვევა.

მთავარ სახელოსნოების მუშების საყურადღებოდ

სამშაბათს, მიმდინარე წლის 4 დეკემბერს, რკინის გზით მთავარ სახელოსნოების მუშების საზოგადო კრებაზე, რომელიც შესდგა პლეხანოვის სახელობის კლუბში, სხვა ძირიგ საკითხებთან ერთად დღის წესრიგში იდგა თბილისის გაზეთების გავრცელების საკითხიც.

აღნიშნულ კრებაზე „კომუნისტი“ს წარმომადგენელს მთავარ სახელოსნოების მუშამ ამხ. ცხვედაძემ (ლენინის რაიონი, კონტუათის ქ. № 25), აცნობა, რომ იყო შემთხვევა, როდესაც გაზეთის დამტარებელი მას უხეშად მოექცა. ჩვენ მას შევპირდით გამოგვეკვლია ეს საქმე და გვეცნობებია შედეგი.

საქმის გამოკვლევამ ამხ. ცხვედაძის განცხადება დაადასტურა. ამასთანავე გამოირკვა, რომ დამნაშავე, დამტარებელი სიმონ გაბრიელ-ოღლი, გაზეთ „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორის განკარგულებით, მოხსნილია თანამდებობიდან მიმდინარე წლის 12 ოქტომბრიდან ხელისმომწერთადმი უხეშად მოქცევისათვის.

რედაქცია.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„ფაუსტი“—ოპერა გუნოს ი, დადგმა ნ. ნ. ბოგოლიუბოვის

99 დეკემბერს ოპერის თეატრში დაიდგა „ფაუსტი“. ეს სპექტაკლი, მიუხედავად ზოგიერთი დეფექტებისა, შეიძლება ერთ-ერთ საუკეთესო წარმოდგენათ ჩაითვალოს მიმდინარე სეზონში.

მარგარიტას როლში გამოვიდა **დერჟინსკაია.** მართლაც შესანიშნავი ხმა აქვს ამ მომღერალ ქალს: რბილი, ხავერდოვანი ტემბრისა და ამავე დროს ძლიერი.

ხმა საშუალებას აძლევს დერჟინსკაიას ადვილად გადალახოს ისეთი პარტიების სიძნელენი, როგორიცაა აიდას და ვალენტინას პარტია (დაწერილია დრამატიული სოპრანოსთვის), და ამავე დროს თავისუფლად შეასრულოს ისეთი წმინდა ლირიკული პარტია, როგორიცაა მარგარიტას პარტია. მღეროდა დერჟინსკაია საუცხოოდ. დიდის გრძნობით და ნათელი ტემბრით, თამაშობდა არტისტი ქალი მშვენივრად მას დიდი გამარჯვება ხვდა.

ქალთა მეორე-ხარისხოვან პარტიებში გამოვიდნენ **ოვჩარენკო** (ზიბელი) და **ნეიმანი** (მართა). შესრულება სავსებით დამაკმაყოფილებელი.

მამაკაცთა შემადგენლობაში პირველობა ისეცკის ეკუთვნის. მას კარგად აქვს დამუშავებული მეფისტოფელის პარტიის ყოველი წვრილმანი, როგორც ვოკალურის, ისე სცენიურის მხრივ არტისტი მღეროდა თავისუფლად და ვატაცებით. დამსწრე საზოგადოების ერთსულოვანი დაჟინებით მოთხოვნით არტისტი იძულებული იყო გაემეორებინა. ბალადა: „დედამიწაზე მთელი მოდგმა ადამიანთა“, ყვავილების შელოცვის სცენაში, რომელიც დიდის მხატვრული სიძლიერით იქნა შესრულებული, ორკესტრი საშუხაროდ მეტის-მეტად ხმამაღლა უკრავდა.

ფაუსტი ორი იყო: ატამანოვი—1-ლ მოქმედებაში და ალექსეევი — დანარჩენ მოქმედებებში. გარკვეულად რამეს თქმა ატამანოვისა და მისი ხმის შესახებ, მარტო ერთი პატარა სცენის მიხედვით, ძნელია. შეიძლება მხოლოდ აღინიშნოს მისი მუსიკალური სიმღერა, კარგი დიქცია და მოფიქრებული თამაში, განსაკუთრებით ის გარემოება, რომ ოპერის ადმინისტრაცია იმ თვენახევრის განმავლობაში, რაც ეს არტისტი ამ თეატრში მუშაობს, არ აძლევს მას საშუალებას თავისი ნიჭი გამოიჩინოს. მეორე ფაუსტი—ალექსეევი მღეროდა კარგად. მაგრამ იქნებ ცივად: ან ფაუსტის პარტია არაა მისი შესაფერისი, ან დიდი ხანია, რაც ეს პარტია მას არ უმღერია.

ვ. ქაშაკაშვილი, როგორც ჩანს, დაკვირვებით მუშაობს, თბილად და ტემპერამენტით ჩაატარა მან ვალენტინის პარტია. შესრულებაში ადგილი ჰქონდა ზოგ უსწორობას, მაგრამ მომავალში ეს გამოსწორებული იქნება, როდესაც მომღერალი უფრო შეითვისებს პარტიას.

დიდი გამარჯვება ხვდა ბალეტს („ვალპურგის ღამე“), რომელიც **სერგეევის** მიერ ეფექტიურად იყო დადგმული. უმჯობესი იქნებოდა უარის თქმა იმ აკრობატიურ ვარჯიშობებზე, რომლებიც ამჟამად შემოღებულია ოპერის თეატრში: ასეთი ვარჯიშობა სრულიად ხელს არ უწყობს იმას, რომ სურათი უფრო ლამაზი გამოვიდეს. ხოლო ამას შესაძლებელია ამა თუ იმ ბალერინის დასახიჩრება მოჰყვეს..

ნ. ბოგოლიუბოვის ახალი დადგმა (მხატვარი—იოანნოვი), გარდა სცენისა ბაღში, ლამაზია და საინტერესო.

ოპერას დირიჟორობდა **პავლოვ-არბენინი,** რომელმაც, საერთოდ, ძალიან კარგად ჩაატარა ოპერა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მარში და ვალპურგიის ღამე. ჩვენ ვეთანხმებით მაესტროს მიერ აღებულ თითქმის ყველა ტემპს, გარდა ორისა, რომლებიც მეტის-მეტი სისწრაფით ჩაატარა: ვალენტინის სიკვდილის სცენაში (პარტიტურაში აღნიშნულია—Andante) და ტერცეტში უკანასკნელ სცენაში (აღნიშნულია—Moderato maestoto; ტერცეტში. ჩქარი ტემპის წყალობით ამ მუსიკის მხრივ საუცხოო სცენამ დაჰკარგა სიფართოვე და სიდიადე.

„ტრავიატა“-თი დასრულდა **სლივინსკის** გასტროლები. მხოლოდ ამ გამოსათხოვარ სპექტაკლში გადაავიშალა სლივინსკიმ თავისი ხმის სრული სილამაზე და სიძლიერე და სიმღერის ხელოვნება (წინა სპექტაკლებში ის ნახევრად ავადმყოფი გამოდიოდა, რითაც აიხსნება მისი სიმღერის დეფექტები).

მშვენივრად მღეროდა და თამაშობდა **ალექსეევი (ალფრედი).** აფრამეევას (ტრავიატა) აკლდა სათანადო სიმტკიცე 1-ლ მოქმედების კოლორატურაში, ინტონაციაც უსწორმასწორო ჰქონდა. დანარჩენ მოქმედებებში აფრამეევი მღეროდა და თამაშობდა კარგად, გრძნობით.

ვ.

რუსთაველის თეატრი

„რღვევა“—ბ. ლავრენევის, დადგმა რეჟ. ა. ახმეტელის, მხატრ. ირ. გამრეკელი.

ლავრენევის „რღვევა“ რომ სცენიური პიესაა, იდეოლოგიურად გამართლებული და რევოლიუციონური რეპერტუარის ერთ-ერთი მთავარი ნაწარმოები,—ამაზე ბევრი ითქვა საბჭოთა პრესაში.

ჩვენი მხრით დაუმატებთ მხოლოდ, რომ ავტორმა ამ პიესის სახით მოგვცა მთლიანობა მოქმედებაში. რევოლიუციონური დრამის სოციალური ამოცანა მოითხოვს მოქმედებაში გამოჩნდეს ახალი დრამატურგიული პრინციპი, ე. ი. ასეთმა დრამამ ინდივიდუალური „გმირის“ ნაცვლად (ბურჟუაზიული დრამა) უნდა დასახოს ტიპი კლასიური მასკით და დრამატიზმი ააშენოს სოციალურ კონფლიქტებზე.

„რღვევა“-ში ეს ამოცანა შესრულებულია. მაყურებლის თვალწინ ირღვევა ოჯახი, რომელიც შექმნილია ძველი ტრადიციებით, ძველი მსოფლმხედველობით; რღვევის მიზეზია არა ინდივიდუალური ყოფა-პიროვნებების, არამედ ამ პიროვნების სოციალური ფსიხოლოგიაში.

პიესის დაწყებისთანავე ისახებიან ტიპები: „სმენოვეხოველის“, აშკარა კონტრ-რევოლიუციონერის, შემთანხმებელის, ნაძირალების, მეორე მხრივ ახალი ეპოქის ადამიანებისა, რომლებსაც ტრადიცია არა აქვთ. მაგრამ რომელნიც მოქმედობენ სალი ბოლშევიკური ინსტინქტით.

რუსთაველის თეატრმა ამ პიესის დადგმაში მონახა ის მთლიანობა, რომელზედაც ვილაპარაკეთ. ამ თეატრმა „რღვევის“ დადგმით ჯერ კიდევ გასულ სეზონში გამოააშკარავა თავისი შესაძლებლობანი რევოლიუციონურ პიესის გაფორმებაში. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სცენა კრეისერის აფეთქების ცდისა. ამ ეპიზოდში მოცემულია რეალიზმის სალი გაგება. ეს ჭეშმარიტება განსაკუთრებით საგრძნობი ხდება, როდესაც პირველი მოქმედების ნატურალიზმს (ყოფის ფოტოგრაფია) სცვლის ბიომეხანიკაზე დამყარებული კონსტრუქტიული პრინციპი მეორე და მესამე მოქმედებისა.

მართალია, დადგმის კომპოზიცია არ არის მოქცეული ერთი პრინციპის მთლიანობაში, მაგრამ აქტიორების კარგი თამაში სრულიად ავსებს მაყურებელს ამ შეუსაბამობას. ცენტრში სდგას მატროსი გოდუნი (ელ. ლორთქიფანიძე). თუმცა ლორთქიფანიძეს პირველ მოქმედებაში საგრძნობლად ემჩნეოდა აღელვება, ვერ მონახა შესაფერი კილო, მაგრამ შემდეგ მოქმედებებში მან განახორციელა მებრძოლი მატროსი, რომელიც სუნთქავს რევოლიუციით და მისი მიზნებით.

აკაკი **ხორავამ** უნაკლოდ ასახა ტრაგიული ფიგურა ბერსენევის; როლის გაგებაში მოსჩანს ერთგვარი იდეალიზაცია „სმენოვეხოველის“, რაიც ცოცხალ ბერსენევს ათეატრალებს. კარგი იყო **გ. დავითაშვილი** (შტუბე), განსაკუთრებით ბოლო მოქმედებაში. **ა. ვასაძემ** მიმიკის და აქტიორული ტეხნიკის კარგად გამოყენებით გააცოცხლა პიესით უფერული შვაბის როლი. **თ. ღვინიაშვილს** (ტატიანა) ბოლომდე ეტყობოდა სცენის გავლენა. როლის სრული განცდა—განსაკუთრებული სიძლიერით, მოსჩანდა **თ. წულუკიძის** (ქსენია) თამაშში.

გემოვნებით დამუშავებული მასიური სცენები (მატროსების) აქტიორებმა ნიჭიერი გამოსვლებით კიდევ უფრო გაამახვილეს.

ბ. ბ.

ბიბლიოგრაფია

„ტროპიკული მედიცინის მოამბე“

სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი. 1928 წ. № 1. პროფ. სპ. ვირსალაძის და ექ. ს. კანდელაკის რედაქტორობით.

მალარიას, ამებიაზს, ანკილოსტომიაზს და ზოგიერთ სხვა ტროპიკულ სნეულებებს ჩვენში პირდაპირ ეპიდემიური ხასიათი აქვთ. აღნიშნულ დაავადებათა გავრცელება მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის და, პირველ რიგში, ჩვენი გლეხობის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრების პირობებთან. სწორედ ამიტომ მალარია, ამებიაზი და ანკილოსტომიაზი სამართლიანადაა აღიარებული ზოგად სოციალურ სნეულებებად. თუ რამდენად გავრცელებულია ჩვენში მალარია, ამას გვიმტკიცებს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სან. ეპიდ. სტატისტიკური განყოფილების ცნობები, რომელთა თანახმად აღრიცხულ ავადმყოფობათა რიცხვი ყოველ წელს პროგრესიულად მატულობს. (მაგ. 1910 წ. მალარიით ავად იყო 178 ათასი ავადმყოფი, 1925 წ. 216 ათასი, 1926 წელს კი 247 ათასი). თუ მხედველობაში მივიღებთ აგრეთვე იმ ავადმყოფებს, რომელნიც ამ რიცხვებში არ მოყვენ, მაშინ მალარიით შეპყრობილთა რიცხვი გაცილებით მეტი იქნება. საქართველოს სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა თავის დროზე გაუწიეს ამას სათანადო ანგარიში და ტროპიკულ სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საქმედ აღიარეს. ამ ჟამად საბჭ. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოწყობილია მალარიასთან და საერთოთ ტროპიკულ სნეულებებთან მებრძოლი ორგანიზაციების მთელი ქსელი. ცენტრში გახსნილია ტროპიკული ინსტიტუტები, ცენტრალური და ადგილობრივი სადგურები, რომლებიც სხვა სამკურნალო სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად იკვლევენ ტროპიკულ სნეულებათა გავრცელების პირობებს და იმუშავებენ მთელ რიგ პროფილაქტიურ ზომებს ამ დაავადებათა გავრცელების წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლის საწარმოებლად.

რა თქმა უნდა, ტროპიკულ სნეულებათა ბრძოლის პრობლემა ჩვენში ჯერ კიდევ გადაწყვეტილად არ შეიძლება ჩაითვალოს. ამ პრობლემასთან დაკავშირებით მრავალი სხვადასხვა საკითხი იბადება, რომელთა შესწავლა კიდევ ხანგრძლივ და ენერგიულ მუშაობას და კვლევა-ძიებას მოითხოვს.

ამ მხრივ მეტად თანდროულად და მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს სპეციალური ჟურნალის „ტროპიკული მედიცინის მოამბის“ დაარსება, რომლის პირველი ნომერი უკვე გამოვიდა. როგორც სარედაქციო კოლეგიის მოწინავე წერილიდან სჩანს, ჟურნალი ფართო პერსპექტივებს ისახავს. ჟურნალში მოთავსებული იქნება „მეცნიერული გამოკვლევანი და დაკვირვებანი ტროპიკულ მედიცინის და ჰიგიენის ყველა დარგიდან, ჩვენი ქვეყნის შესწავლა ტროპიკული მედიცინის თვალსაზრისით, ეპიდემიოლოგიურ, პროფილაქტიურ და ლაბორატორიულ გამოკვლევათა მეთოდიკა და ტეხნიკა. ჟურნალში ფართოდ იქნება დაყენებული აგრეთვე საზოგადოებრივი ნაწილი“ და სხვ.

ჟურნალის პირველი ნომერი სავსებით ამართლებს იმ დაპირებებს, რომელთაც სარედაქციო კოლეგია იძლევა.. ჟურნალში მოთავსებულია მეცნიერული წერილები ტროპიკული მედიცინიდან (პროფ. სპ. ვირსალაძის, ექ. ს. კანდელაკის, ექ. პ. ჯაფარიძის, ექ. გორდაძის, ნ. კაბალოვის, ექ. ოსიძის, ექ. ტყეშელაშვილის ექ. ა. ერისთავის, ექ. ყარიბოვის) და აგრეთვე გაშუქებულია საკითხები ენტომოლოგიის (სწავლა მწერების შესახებ—ენტომ. ლ. კალანდაძის) და მელიორაციის დარგებიდან (ინჟ. ივ. მეძმარიაშვილის), რომელთაც უახლოესი კავშირი აქვთ ტროპიკულ სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის საერთო პრობლემასთან.

გარდა ამისა, ჟურნალში დიდი ადგილი აქვს დათმობილი უკანასკნელი დროის ტროპიკული ლიტერატურის მიმოხილვას და საზღვარგარეთის და რუსეთის სამეცნიერო შრომების რეფერატებს, რაც ჩვენს საექიმო მასას დიდ დახმარებას გაუწევს პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

ჟურნალს დართული აქვს ორიგინალური წერილების მოკლე შინაარსი რუსულ და გერმანულ ენებზე.

ჟურნალის დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მასში მოთავსებული წერილები დაწერილია უბრალო, სადა ენით, რომლის მეოხებით ეს ჟურნალი არასპეციალისტისათვის გასაგები და მისაწვდომია.

დაბოლოს, არ შეიძლება სიამოვნებით არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჟურნალი ენის მხრივ სათანადო სიმაღლეზე სდგას, თუ არაფერს ვიტყვით ზოგიერთ მცირეოდენ შეცდომებზე, როგორც მაგ. „ამებიური“—„ამებოვანის“-ს ნაცვლად, „დიფერენციალური“—„დიფერენციული“-ს, „ენდოტელიარული“—„ენდოთელიური“-ს ნაცვლად და სხვ.

ქრონიკაში მოთავსებული ცნობები შეიძლებოდა უფრო მოკლედ დაწერილიყო, რაც მის წაკითხვას გაადვილებდა.

საერთოდ ჟურნალი ლამაზიანადაა გამოცემული და კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს.

—ა. შ.

სასამართლო

გაფლანგვა იუსტიციის სახალხო კომისარიატში

(პროცესის მეცხრე დღე)

გრძელდება მოწმეთა დაკითხვა.

მოქ. პაშა კარაპეტოვის დაკითხვის დასრულების შემდეგ უზენაესი სასამართლო შეუდგა მოწმე სერგო მაჩიტაძის დაკითხვას.

ს. მაჩიტაძე ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ გაგზავნილი იყო იუსტიციის სახალხო კომისარიატის საფინანსო ნაწილში რევიზიის მოსახდენად. მაჩიტაძემ აღმოაჩინა გაფლანგვა და ყველა ის უმხგავსოებანი, რასაც მაისურაძე სჩადიოდა.

მაჩიტაძე დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს როგორ აღმოაჩინა მან ეს ბოროტმოქმედება.

მოწმე ლაპარაკობს, რომ დანაკლისის აღმოჩენის შემდეგ ბრალდებულ მაისურაძეს მიაქვს მასთან 3.370 მანეთი დანაკლისის შესავსებად და სთხოვს ბრალდების შემსუბუქებას. მაისურაძე არასოდეს მას, როგორც რევიზორს, ამომწურავ პასუხს არ აძლევდა კითხვაზე და გაიძახოდა: „ნამდვილი დამნაშავე სხვა არის და მოძებნეთო. ეხლა არაფერს ვიტყვი და როცა საჭირო იქნება ყველაფერს გამოვააშკარავებო“

მოწმე მაჩიტაძის სიტყვით საფინანსო ნაწილის ანგარიშ-წარმოებაში იყო სრული არევდარევა. სალაროს მდგომარეობა ისე აშუწილდაწეწილი იყო, რომ მარტო შემოსავალ-გასავლის საბუთების მოძებნას მან 12 დღე მოანდომა. სალაროში შემოსული ზოგიერთი თანხები წიგნებში არ იყო გატარებული. ერთ და იმავე საჭიროებისათვის რამდენიმეჯერ იყო გამოწერილი თანხები. აღმოჩნდა აღრიბული ყალბი „გასამართლებელი“ საბუთები, საბოლოო რევიზიით სალაროს დანაკლისი 16.000 მანეთის რაოდენობით განისაზღვრებოდა.

მოწმე მაჩიტაძე აღნიშნავს, რომ **ჩიკოიძე** (ამჟამად ბრალდებულია) მას ეხმარებოდა სალაროს გასინჯვაში და საერთოდ დაინტერესებული იყო სინამდვილის გამორკვევით.

სხდომა შესწყდა ნაშუადღევის 2 საათზე.

წუხელის სხდომაზე გრძელდებოდა მოწმეების დაკითხვა.

„ჯაუგებრობა“

თბილისის სამხედრო სასამართლომ ამხ. კუპრაშვილის თავმჯდომარეობით გაარჩია მოქ. ალექსანდრე ნესტორის ძე სალარიძის საქმე.

სალარიძე მსახურობდა თბილისის მე-5 სამილიციო რაიონში უფროსი მილიციელის თანამდებობაზე.

ერთ დღეს სალარიძე კახეთის მოედანზე იდგა და „წესრიგს იცავდა“. იქვე ტრამვაის გასაჩერებელ ადგილას დიდძალი ხალხი იყო თავმოყრილი.

გაჩერდა ტრამვაი. ხალხი მიაწყდა. ყველა ცდილობდა სხვისთვის დაესწრო ტრამვაიზე ასვლა.

სალარიძემ ხალხში შეამჩნია მოქალაქე, რომელიც მიიღო ჯიბგირად. სტაცა ხელი, როცა იგი ტრამვაიზე ადიოდა, გადმოათრია ძირს და დაუწყო ცემა.

მოქალაქეს ტრამვაიში აღმოაჩნდნენ ნაცნობები, რომლებიც საქმეში ჩაერიენ.

გამოირკვა, რომ მოქალაქე იყო არა ჯიბგირი, არამედ ერთ-ერთ ქარხნის უფროსი მოანგარიშე. გაუგებრობით (!) სალარიძემ ცხვირპირი დაუსისხლიანა ყოვლად უდანაშაულო მოქალაქეს.

სასამართლომ ალექსანდრე სალარიძეს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 თვით.

რატომ მოჰკლეს კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე

ა. წ. 4 ოქტომბერს სოფელ დიღომში მოკლულ იქნა ადგილობრივ კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე **შალვა კალანდაძე.**

მკვლელი აღმოჩნდა იმავე კოოპერატივის ყოფილი ნოქარი **ნიკოლოზ თომას ძე ლახუტაშვილი.**

ლახუტაშვილი ამ რამდენიმე თვის წინად დაეთხოვნიათ სამსახურიდან, როგორც უვარგისი ნოქარი. მასთან ერთად დათხოვნილ იქნა აგრეთვე მეორე ნოქარიც **ივანე გველესიანი.**

დათხოვნას ლახუტაშვილი აბრალებდა კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეს შალვა კალანდაძეს, რომელსაც დათხოვნის შემდეგ ემუქრებოდა—ცოცხალს არ გაგიშვებო.

4 ოქტომბერს მთვრალი ლახუტაშვილი მივიდა ვინტოვკით ხელში კოოპერატივის გამგეობის ბინაზე, სადაც მაგიდას უსხდნენ თავმჯდომარე კალანდაძე და კოოპერატივის ფურნის გამგე ქობულაშვილი. ლახუტაშვილი მიეპარა უკანიდან კალანდაძეს და ესროლა თოფი. ტყვია კალანდაძეს მოხვდა ზურგში, გავიდა სხეულიდან და მსუბუქად დასჭრა ქობულაშვილი.

ლახუტაშვილი 8 ნოემბერს ადგილობრივ საჯაროთ უნდა გაესამართლებია თბილისის სამაზრო სასამართლოს ამხ. ბერიშვილის თავმჯდომარეობით.

საქმის გარჩევის დაწყებისას გამოირკვა ახალი გარემოება—გველესიანის თანამონაწილეობა ამ საქმეში, რის გამო საქმე გადაეცა საგამომძიებლო ორგანოს დამატებით გამოძიების მოსახდენად.

ბერ.

ჭადრაკი № 7

ვ. გოგლიძის რედაქტორობით

(ეტიუდი) ლ. ზალკინდის



თეთრები იწყებენ და თავდება ყაიმით

(ამოცანა) ვ. სერედა



შამათი ორ სვლაში

(პარტია № 7 (ლაზიერის პაიკთა დებიუტი)

გათამაშებულია 19 ოქტომბერს 1928 წ. ბერლინის უკანასკნელ შეჯიბრების მე-4 ტურში

თეთრები: ა. რუბინშტეინი —შავები: ა. ნიმცოვიჩი

1. d2—d4, მg8—f6 2. c2—c4, e7—e6 3. მb1—c3, კf8—b4 4. ლd1—c2, d7-d6 (უკანასკნელ დროს უმეტეს ნაწილად ამ დებიუტში შავები თავიანთ კუს ანვითარებენ b7-ზე, ამ შემთხვევაში ასეთი განვითარება არ იქნება ხელსაყრელი e2—e4 გამო და თეთრები იკავებენ ცენტრს, სვლით ტექსტში ნიმცოვიჩი უხვევს თეორიას, რაც საჭიროა, მაგრამ d7—d6 თამაშის მაგივრად მაინც c7-c5 აჯობებდა) 5. e2—e3, c7—c5 6. კf1—d3, მb8—c6 7. მg1—e2, e6—e5 8. d4—d5, კb4:c3+ 9. ლc2:c3, მc6—e7 10. ლc3—c2, o—o 11. o—o, მe7—g6 (ჩვეულებრივად, როდესაც გაკეთებულია სვლა d4—d5, ე. ი. ცენტრში თამაში დახურულია, ერთად ერთი კონტრ-შანსს შავებისთვის წარმოადგენს კონტრ-შეტევა, დაკავშირებული f7—f5 სვლასთან; ამისთვის შავებს არჩეულ გეგმის მაგივრად პარტიაში უნდა მოემზადებინათ სვლა მe8, რათა შემდეგში ეთამაშათ f7—f5) 12. მe2-g3, ეf8-e8 13. f2—f3 (საუკეთესო სვლაა პირდაპირ f4 ნაადრევია, რადგანაც 13. . . , ef 14. ef, მg4 (მ:h2 მუქარით, შემდეგ შავების ფიგურები რამოდე იმედ აქტ ური ხდებოდენ) 13. . . , კc8 d7 14. კc1-d2, a7—a6 15. h2—h3, b7—b5 16. b2—b3, ლd8—b6 17. მფg1—h2, a6—a5 18. ეa1—b1, b5—b4 19. f3—f4 (შავების შეტევა ლაზიერის ფრთაზე არავითარ შიშს არ წარმოადგენს თეთრებისთვის და ამიტომ ისინი თანდათანობით ემზადებიან გადამწყვეტი შეტევისთვის მოწინააღმდეგის მეფის ფრთაზე) 19. . . , e5:f4 20. e3:f4, მg6-f8 21. კd2—c1, ლb6—d8 22. ლc2—f2 (შეცდომა იქნებოდა 22. კb2,—ეს საშუალებას მისცემდა შავებს მg4+ თამაშს თავიანთ სასარგებლოთ) 22. . . , a5—a4 23. კc1—b2, მf8—g6 24. ეb1—d1, a4:b3 25. a2:b3, ეa8—a7 26. ეd1—e1, ეe8:e1 27. ეf1:e1, მg6—f8 28. კb2:f6! (სვლა გაკეთებულია პოზიციის სრული დაფასებით, თეთრები სცვლიან თავიანთ ძლიერ კუს, რათა შავების ლაზიერს დააკავებინონ ცუდი მდგომარეობა და შესაძლებლობა იქონიონ პაიკ d6 შეტევის) 28. . . , ლd8:f6 29. მg3—e4, ლf6—h6 30. f4—f5!, ეa7—a3 31. ეe1—b1, ეa3—a6 32, g2—g4 (ამ სვლით თეთრები ემუქრებიან ლაზიერის მოგებით g5 და კe2) 32. . . , f7—f6 33. მფh2—g3, კd7-c8 34. ეb1—e1! (შავებს აღარ შეუძლიათ თავიანთი გეგმის სისრულეში მოყვანა მf8—d7—e5, რადგან უკვე მf8—d7-ს მოჰყვება მ d6!) 34. . . , კc8—b7! 35. ლf2—c2! (თეთრები წინააღმდეგობას უწევენ შავებს მხედრის გამოყვანაზე და ამას გარდა ემუქრებიან h3—h4 და g4—g5 ლაზიერის მოგებით) 35. . . , მf8—d7 (შავებმა ვერ გაითვალისწინეს მოწინააღმდეგის უკანასკნელ სვლის სიძლიერე და მნიშვნელობა. თუმცა უკეთესი დაცვა მათი ფიგურების უმწეო მდგომარეობის გამო არ სჩანს, ეხლა პარტიის ბედს სწყვეტს ლამაზი კომბინაცია) 36 მe4:d6! ეa6:d6 37. ლc2-e8+, მd7—f8 38. ეe1—e7, g7—g6 39. ლe8—f7+, მფg8—h8 40. ეe7—e8, ეd6—d8 (მახე! თუ თეთრები აიყვანენ ეტლს, მაშინ ლe3+ სამუდამო ქიშით) 41. ლf7:f6+, მფh8—g8 42. ლf6—e6+, მფg8—g7 43. f5—f6+ შავები დანებდნენ. რუბინშტეინის სტილის დამახასიათებელი პარტიაა. სავსებით ეწევა ანგარიში პოზიციის ყველა მოთხოვნილებას, თანდათანობით ვიწროვდება მოწინააღმდეგის მდგომარეობა და მას ყოველგვარი შანსები ერთმევა. სამწუხაროდ, რუბინშტეინს აღარ აქვს ძველი გამძლეობა და ნებისყოფა, რითაც აიხსნება მისი ჩამორჩენა შეჯიბრებებში.

წითელ ჯვარში

საერთაშორისო გამოფენა

საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრალურ კომიტეტში მიღებულია ცნობა, რომ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოება შვეიცარიაში აწყობს გამოფენას.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს წითელი ჯვრის კომიტეტმა თავის წარმომადგენლისაგან შვეიცარიაში—ექ. ბაგიცკისაგან მიიღო მიმართვა, რომელშიაც ის სთხოვს გამოფენისათვის ზოგიერთ მასალების გადავზავნას საქართველოს შესახებ.

ამხ. ბაგიცკი იუწყება, რომ მასალების ნაწილი ხსენებულ გამოფენისათვის მან მიიღო კელნში ამ ზაფხულზე გამართულ პრესის გამოფენის საბჭოთა განყოფილებიდან.

სანიტარული ავიაციის საერთაშორისო კონგრესი

საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრალურ კომიტეტში მიიღეს ცნობა, რომ 1929 წლის 15—20 მაისისათვის პარიზში მოწვეულია სანიტარული ავიაციის პირველი საერთაშორისო კონგრესი.

კონგრესზე მიწვეულია საბჭოთა კავშირის წარმომადგენელიც.

მოტო-შეჯიბრება

თავისი 5 წლის არსებობის აღსანიშნავად, თბილისის მოტო-ველო - საზოგადოებამ კვირას, 9 დეკემბერს, იპოდრომზე მოაწყო მოტო-შეჯიბრება რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ მექანიკური სპორტის ყველა სექციები და სამხედრო უწყება.

შეჯიბრება გაიხსნა 350 კუბ. სანტიმეტრიანი ძალის მანქანების შემორბენით. ამ შემორბენაში პირველი ადგილი დაიკავა **ზენტაშვილმა** („მოტო-ველო საზოგადოება“. მანქანა — „დუგლასი“). მეორე ადგილი **არაქელოვმა** (იგივე საზოგადოება, მანქანა „ვანდერერი“).

500 კუბ. სანტიმეტრიან მანქანების შემორბენის დროს ადგილიდან პირველათვე დაიძრა და ყველას მისწრო **მარკევიჩმა** (მანქანა „ტრიუმფი“ მოტო-ველო საზოგადოება). მეორე ადგილი დაიჭირა **იაშჩენკომ** (ავტოკლუბი).

750 კუბ. სან. მანქანების შემორბენაში საბოლოოთ მრავალ მონაწილეთაგან ფინალში მოხვდნენ **ხაზონოვი** (მ. ვ. საზ-ბა, მანქანა „ნორტონი“, სამხედრო უწყებისა) რომელმაც დაიკავა პირველი ადგილი, **ბარაუსოვმა** დაიკავა მეორე ადგილი. (სამხედრო უწყება, მანქანა „ნორტონი“), მესამე ადგილი **ტერ-ზახაროვმა** (ავტო-კლუბი, მანქანა „ხარლ-დავიდსონ“).

ათას კუბ. სანტ. გოდორიან მანქანების შეჯიბრებაში პირველი ალაგს იკავებს **დაურე** (მ. ვ. საზ., მანქანა „ხარლეი-დავიდსონ“ სამხედრო უწყება) და მეორეს—**ატოევი** (მ. ვ. საზ. მანქანა „ინდიანი“).

უკანასკნელათ გაიმართა ერთიულ მანქანების შეჯიბრი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ათას კუბ. სანტიმეტრიან მანქანებმა. როგორც მოსალოდნელი იყო ადგილიდან ყველაზე ადრე დაწინაურდა **მარდიევი** (ავტო-კლუბი, მანქანა „ხარლეი-დავიდსონ“), მას მოჰყვება **რევაზოვი** (ავტო-კლუბი, მანქანა „ინდიანი“), ხოლო მესამეთ მიდის **ხაზონოვი** (მ. ვ. საზ-ბა, მანქანა „ნორტონი“ სამხედრო უწყებისა). ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ სტარტთან პირველად მოდის **რევაზოვი**(ავტო-კლუბი), ხოლო მეორეთ **ხაზონოვი** რომელზედაც ძალიან მოქმედებდა ქარის წინააღმდეგობა მანქანის მცირე სიმძლავრის გამო.

გ. ა—ლი.

მეცნიერება და ტეხნიკა

პროფ. კუშინსკის აღმოჩენა

ბერლინი. ცნობილმა გერმანელმა ბაქტერიოლოგმა პროფ. კუშინსკიმ გერმანიის ტერაპევტთა საზოგადოებაში გააკეთა მოხსენება ყვითელი-ცხელების ბაქტერიის აღმოჩენის შესახებ. ეს საშინელი ავადმყოფობა, რომელიც ყოველწლიურად ათეულ ათას მსხვერპლს იწირავდა, დღემდე გამოცანას წარმოადგენდა. მთელ რიგ ქვეყნების გამოჩენილ მეცნიერთა თავდადებული მუშაობის მიუხედავად ვერ აღმოაჩინეს ავადმყოფობის გამომწვევი ბაქტერია. თავისი აღმოჩენის შესამოწმებლად, პროფ. კუშინსკიმ აცრა და თავის ასისტენტ ქალსაც აუცრა მის მიერ აღმოჩენილი ბაქტერიების კულტურა რასაც შედეგად მოჰყვა ორივეს დაავადება ყვით.-ცხელების მძიმე ფორმით. ამ თამამი ცდის შემდეგ, რომელიც თვითგანწირვას შეიძლება შევადაროთ, უკვე აღარ არის საეჭვო საკითხი—წარმოადგინს თუ არა კუშინსკის მიერ აღმოჩენილი ბაქტერია ავადმყოფობის გამომწვევი. თავისი ცდების შემდგომ სტადიაში პროფ. კუშინსკიმ მოამზადა ვაქცინა, რომლის საშუალებით მან მოარჩინა ყვითელი-ცხელებით დაავადებული ცხოველები.

ყვითელი ცხელება

(პროფ. კუშინსკის აღმოჩენის გამო*)

ყვითელი ცხელება უკვე მრავალ საუკუნეების განმავლობაში გავრცელებულია დასავლეთ ინდოეთში, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში და დასავლეთ აფრიკაში. ხანდახან ესპანეთს, საფრანგეთს, იტალიას, ინგლისსაც ეწვევა. მაგრამ ამ ქვეყნებში ავადმყოფობას გავრცელება დიდ ეპიდემიის ხასიათს არ იღებს. ყვითელი ცხელება მძიმე ინფექციური სნეულებაა და მუდამ დიდ სიცხის იძლევა. ტემპერატურის სიმაღლესთან დაკავშირებულია თვით საკითხი იმის შესახებ, მორჩება თუ დაიღუპება ავადმყოფი. თუ ტემპერატურა 39,5-ს არ ასცილდება, მაშინ ავადმყოფს განკურნება უმრავლეს შემთხვევებში საიმედოა. თუ ტემპერატურის რყევა 39, 5-ს და 40,5-ს შუა ხდება, მაშინ ავადმყოფის მორჩენა ძლიერ საეჭვოა და თუ სიცხე 41-ზე მეტია, მაშინ სიკვდილი აუცილებელია. ავადმყოფობას ფრიად ახასიათებს აგრეთვე სიყვითლე და ცილა შარდში. სუბიექტურ მწუხარების და ტკივილების გარდა, ავადმყოფის მდგომარეობას ამწვავებს და ამძიმებს ურემიული და მენინგიალური მოვლენები. ინფექცია იწვევს ორგანოების გადაგვარებას და ნეკროზს და სისხლის ჩაქცევას კანში, კუჭში, ნაწლავებში, პერიკარდიუმში და კიდევ სხვა ორგანოებში. რამდენად ყვითელი ცხელება მძიმე ინფექცია და ინტოქსიკაცია არის, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ამ ავადმყოფობისაგან სიკვდილიანობა სხვადასხვა ეპიდემიის დროს უდრის 20 პროც.—95 პროც. ინფექციის გადამტანია ავადმყოფობიდან სალ ადამიანზე კოღო კულექსის ჯიშის Stegomyia Calopus (fasciata) კოღო კბენით ამოწუწნის ადამიანის სისხლს ავადმყოფობის პირველ სამ დღეში და შემდეგ გამომწვევი განვითარდება კოღოს სხეულში 12—17 დღის განმავლობაში, თუ გარეშე ტემპერატურა არ იქნება 30 გრ. ნაკლები ამის შემდეგ კოღო აგრეთვე კბენით შეყრის ავადმყოფობას სალ ადამიანს. ამიტომ ავადმყოფობა საზოგადოდ ფრიად ვრცელდება დიდი სიცხის დროს და ცხელ ზაფხულში. ავადმყოფობა ძლიერ ვრცელდება სხვათა შორის, გემების საშუალებით, ნამეტურ როდესაც გემებს შაქარი და ხილეულობა მოაქვთ, რადგან კოღოები ამნაირი გემებზე საზრდოობისთვის ხელსაყრელ პირობებს პოულობენ. რაც შეეხება ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზს, წინეთ ფიქრობდნენ, რომ ყვითელი ცხელებას იწვევს ბაცილები (Seidelin Sanarelli და სხ.), მაგრამ ამ ცნობას ეხლა მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ავადმყოფობის ნამდვილ გამომწვევი როგორც თითქმის ყოველგან მიღებულია, აღმოაჩინა 1919 წელში, აწ უკვე განსვენებულმა იაპონელმა ნოგუშიმ (Noguchi) ამ მიკრობის სახელწოდება არის ლეპტოსპირა (leptospira jsteroides) ნოგუშიმ მიიღო მისი წმინდა კულტურა და მანვე მოამზადა ავადმყოფობის წინააღმდეგ ასაცრელი ნივთიერება.

აღსანიშნავია, რომ სულ ამ უკანასკნელს ხანში ზოგიერთმა მეცნიერმა ეჭვი შეიტანა ნოგუშის აღმოჩენის სინამდვილეში. თვით ნოგუში გაემგზავრა აფრიკაში ახალი დაკვირვებების და ცდების შესასრულებლად. მაგრამ იქ დიდებული ბაქტრიოლოგი სწორედ ყვითელმა ცხელებამ იმსხვერპლა. ამისდამიუხედავად, ნოგუშის მიერ აღმოჩენილი მიკრობი საყოველთაოდ აღიარებულია ყვითელი ცხელების გამომწვევ მიზეზად და როგორც ასეთი აღნიშნულია ევროპიულ სახელმძღვანელოებში. როგორც ზემორედ ნათქვამიდან სჩანს, დეპეშა პროფ. კუშინსკის აღმოჩენის შესახებ სრულიად ეწინააღმდეგება არსებულ მტკიცე მეცნიერულ შეხედულებას. იმავე დროს დეპეშაში ცნობები მოკლედ არის გადმოცემული. ასე ამრიგად, ჯერჯერობით ე. ი. სანამდე სპეციალურ ლიტერატურაში არ იქნება გამოქვეყნებული დასაბუთებული შრომა, პროფ. კუშინსკის აღმოჩენის შესახებ გადაწყვეტით არაფრის თქმა არ შეიძლება.

პროფ. სპ. ვირსალაძე.

---

*) ანკეტის წესით.

ახალი ექსპედიცია ჩრდ. პოლიუსისაკენ ცეპელინით

(წერილი გერმანიიდან)

გერმანიის მთავრობა ენერგიულად ემზადება მონაწილეობისათვის ახალ პოლიარულ ექსპედიციაში, რომელსაც აწყობს არკტიკის (პოლიარული ქვეყნის) შემსწავლელი საერთაშორისო საზოგადოება—„აერო-არკტიკ“.

26 ნოემბერს ბერლინში გერმანიის გზათა მინისტრის თავმჯდომარეობით შესდგა ე. წ. ჩრდილოეთ-პოლიარული კონფერენცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო „აერო-არკტიკის“ თავმჯდომარე ფრიტიოფ ნანსენმა და გერმანიის „ცეპელინთა საზოგადოების“ წარმომადგენელმა ჰუგო ეკკენერმა, რომლებიც ამ მიზნით სპეციალურად ჩამოვიდნენ ბერლინში. „აერო-არკტიკის“ გერმანელი სექცია კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო პროფ. ვეგენერით და კაპიტან ბრუნსით.

ჯერ კიდევ კონფერენციის გახსნამდე, ფრიტიოფ ნანსენი, როგორც საზ-ბა „აერო არკტიკ“-ის თავმჯდომარე წინასწარ მოლაპარაკებას აწარმოებდა გერმანიის მთავრობასთან „ცეპელინის საზოგადოების“ მონაწილეობის შესახებ მომავალ ექსპედიციაში.

კონფერენციაზე გამოირკვა რომ სამეცნიერო სამზადისი ექსპედიციისათვის უკვე დასრულებულია. საჭირო აპარატები და ხელსაწყოები შეძენილია. შედგენილია საჭირო გეგმები და ექსპედიცია უზრუნველყოფილია ფინანსებით.

დირიჟაბლი „L 127“ („გრაფ ცეპელინი“), რომლითაც მოეწყობა გადაფრენა ჩრდ. პოლიუსისაკენ.



დირიჟაბლი „ლოს-ანჟელოს“ („L 126“), რომელიც მზად იქნება, რომ საჭირო შემთხვევაში დახმარება აღმოუჩინოს ექსპედიციას.

დირიჟაბლის გაფრენა ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ დაიწყება საბჭ. კავშირის ტერიტორიიდან—მურმანსკიდან.

„აერო-არკტიკის“ მეთაურები ფიქრობენ, რომ ექსპედიციის მთავარი ამოცანას შეადგენს არა ჩრდილოეთ პოლიუსის მიღწევა, არამედ შესწავლა უზარმაზარი, ჯერ კიდევ აღმოუჩენელი პოლიარული რაიონის, რომელიც (ცნობილია „თეთრ ლაქას“ სახელწოდებით) და აგრეთვე თვით ჩრდ. პოლიუსის. ამ მიზნით იქ დირიჟაბლიდან დაშვებული იქნება სამტონიანი ხომალდი, საიდანაც მოახდენენ დაკვირვებებს.

ა. ვ—ლი.

ბერლინი, 27 ნოემბერი.

ახალგაზრდა საბჭოთა მეცნიერის უდიდესი აღმოჩენა

გაზ. „კრასნაია გაზეტა“-ს ცნობით, ლენინგრადის უნივერსიტეტის ახალგაზრდა (24 წ.) ასპირანტმა გ. ა. გამოვმა, რომელიც სამეცნიერო მუშაობისათვის იყო გაგზავნილი მსოფლიოში ცნობილ ფიზიკოს ნილს ბორის ინსტიტუტში (კოპენჰაგენი, დანია) გააკეთა აღმოჩენა, რომელმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა ქვეყნების ფიზიკოსებზე. ახალგაზრდა საბჭოთა მეცნიერმა გადასჭრა ატომის ბირთვის პრობლემა.

ზღვის მიმოქცევის ძალის გამოყენება

ინგლისის პრესა იუწყება ზღვის მიმოქცევის ძალის გამოყენების ახალი პროექტის შესახებ. პროექტის შინაარსი ასეთია:

პროექტის ავტორებს განზრახული აქვთ სპეციალური ელექტრო-სადგურის ასაგებათ გამოიყენონ დიდი ვიწრო ბუხტი ინგლისის აღმოსავლეთ ნაპირზე. (ცნობილი უოშ-ის სახელწოდებით. ზღვის მოქცევა აქ დიდ ძალას აღწევს: დღე-ღამის განმავლობაში წყლის დონე რამდენიმე მეტრით მატულობს. პროექტის ავტორებს განზრახვა აქვთ ბუხტს მიდამოებში მოაწყონ ორი აუზი; ერთი—დაახლოებით ზღვის დონეზე, მეორე—გაცილებით დაბლა მოქცევის დროს პირველი აუზი ივსება წყალით, რომელსაც შემდეგ განსაკუთრებული მილებით უშვებენ მეორეში წნევის (напор) განსხვავება გამოყენებული იქნება ელექტრო-დენის გენერატორებით შეერთებულ ჰიდრავლიურ ტურბინების საბრუნებლად. დაახლოებითი გამოანგარიშებით ასეთ დადგმულობას შეუძლია 100.000 კილოვატი ენერგიის მოცემა საათში, თუ დაუშვებთ, რომ ელექტრონის ეს ენერგია მოხმარდება მხოლოდ და მხოლოდ განათებას, გამოანგარიშების თანახმად სადგურს შეუძლია დააკმაყოფილოს 25 მილიონი მცხოვრებს მოთხოვნილება მთელი წლის განმავლობაში. ამავე გამოანგარიშებას თუ დავუჯერებთ, ენერგია არაჩვეულებრივად იაფი ღირება—2 კაპ. კილოვატ-საათი (ინგლისში ელექ. ენერგია 10-12-ჯერ უფრო ძვირი ღირს). სადგურის მოწყობა დაჯდება 45.000.000 მანეთი. ეს დიდი ხარჯი მოკლე ხანში იქნება ანაზღაურებული, ელექტრონის ენერგიის სიიაფის წყალობით. პროექტის განსახორციელებლად დაარსებულია საქციო საზ-ბა „დაინემიკ ელექტრიკალ ლიმიტედ“.

ევროპა-აზია—აეროპლანებით

ცნობილი გერმანელი მფრინავი **ხიუნეფელდი** (გერმანელ მფრინავთა ტრანსატლანტიური გადაფრენის მონაწილე) იაპონიის ექსპრესით დაბრუნდა ბერლინში (ბერლინიდან ტოკიოში გადაფრენის შემდეგ). ხიუნეფელდმა შვედ მფრინავ **ლინდნერთან** ერთად მოაწყო გადაფრენა ბერლინიდან ტოკიოში იმ მიზნით, რომ დაემტკიცებია აზიაზე გადაფრენის შესაძლებლობა იმის შემდეგაც, როცა ნორმალურ საჰაერო ხაზებზე წყდება მუშაობა. ამისათვის მფრინავებს მოუხდა საზღვრის მარშრუტის არჩევა. ამ მარშრუტის ერთ მთავარ სიძნელეთ მფრინავებმა მიაჩნია ტემპერატურის თვალსაჩინო ცვალებადობა დღე-ღამის განმავლობაში, რამაც ძლიერ გაუძნელა საქმე მფრინავებს და დააბრკოლა მოტორის მუშაობა. მაგრამ მფრინავებს ეს დაბრკოლებები არ მიაჩნიათ დაუძლეველათ. ხიუნეფელდის აზრით, მათმა გადაფრენამ დაამტკიცა სრული შესაძლებლობა საჰაერო ხაზის მოწყობისა ევროპა-აზიის მატერიკზე. დღემდე ამ ხაზის მოწყობა შეუძლებლად ითვლებოდა იმ საშინელი სიცივეების გამო, რომელიც ციმბირში მძვინვარებს წლის უმეტეს ნაწილში.

სახანძრო მოტოციკლეტები

ვინაიდან სახანძრო ავტომობილებით სარგებლობა ისეთ რაიონებში, სადაც მჭიდრო მოსახლეობა და მოძრაობა დიდი არის, ძნელია, ამერიკის მოტოციკლეტების კომპ.—„ინდიანმა“ გამოუშვა გასასვლელად სპეციალური სახანძრო მოტოციკლეტი, რომელსაც გვერდით გაკეთებული აქვს მოწყობილობა, სადაც მოთავსებულია ყველაფერი, რაც ცეცხლის საქრობათ არის საჭირო: ერთი დიდი ქიმიური ცეცხლის საქრობი აპარატი და იქვსი ასეთივე პატარა აპარატი, ცული, წყალის სასხამი მილი და სხვ.

მოტოციკლის სისწრაფე საათში აღწევს 83 კილომეტრს.

სურდოს მკურნალობა

ფრანგმა პროფ. გორტიემ (ლიონი) კარგი შედეგები მიიღო სურდოს მკურნალობის დროს ელექტრონის საშუალებით. პროფ. კორტიემ დაამზადა ელექტრო-აპარატი რომლიდანაც მავთულების საშუალებით მაღალი სიხშირის დენი მიდის ცხვირის ნესტოებზე დამაგრებულ ელექტრონებში. ელექტროდენი ცხვირიდან სდევნის სურდოს ბაქტერიებს და ამცირებს სისხლის მოქცევას და ლორწოვან გარსის სიმსივნეს.

„მფრინავი ბენზინის ბაკი“

ინგლისის საავიაციო წრეები ენერგიულად ემზადებიან ფრენის ხანგრძლივობის ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარებისათვის. ამჟამად რეკორდი ეკუთვნის გერმანელებს და უდრის 65 ს. 30 წ. სახელმწიფო საავიაციო ქარხნებში სიიდუმლოთ აგებს სპეციალური აეროპლანი, რომლითაც დამყარებული უნდა იქნეს ფრენის ხანგრძლივობის ახალი რეკორდი. ეს აეროპლანი იმ ცნობებით რომელიც პრესაში გამოქვეყნდა, თუმცა აეროპლანის აგება სიიდუმლოდ მიმდინარეობდა, წარმოადგენს „ფერი-ფეირ“-ის სისტემის მონოპლანს. აეროპლანის კონსტრუქციის დამახასიათებელ თავისებურობას წარმოადგინს ის, რომ გაფრენის დროს იგი (აეროპლანი) ჰაერის მინიმალურ წინააღმდეგობას განიცდის, მოტორების მუშაობა არაჩვეულებრივად ეკონომიურია და აეროპლანს დიდძალი ტვირთის წაღება შეუძლია. დიდი ყურადღება აქვს დათმობილი აეროპლანზე ბენზინის მარაგის განაწილების საკითხს (აეროპლანს მიაქვს 72 საათის განუწყვეტელი ფრენისათვის საყოფი ბენზინი). საწვავი მასალა მოთავსებულია არა მარტო აეროპლანის კორპუსში, არამედ სქელ ფრთებშიც,—გარემოება, რომელიც საბაბს აძლევს ინგლისის პრესას აეროპლანს „მფრინავი ბაკი“ უწოდოს. აეროპლან გაფრენის წინ იმდენათ იქნება დატვირთული რომ ასაფრენათ მას დასჭირდება გარბენა ერთი კილომეტრის მანძილზე.

აეროპლანს ფრენის დროს მართავს (რაგრიგობით) ორი ან სამი მფრინავი, რომელნიც თან წაიღებენ საკმაო სურსათ-სანოვაგეს.

თუ აეროპლანის გამოცდამ დამაკმაყოფილებელი შედეგები გამოიღო, მაშინ მოეწყობა გადაფრენა ფრენის ხანგრძლივობის ახალი რეკორდის დასამყარებლად. პირმარშრუტათ არჩეულია: მოტლანდია—საბერძნეთ-აფრიკა.

ინგლისის საავიაციო წრეებში **დიდის** ყურადღებით ადევნებენ თვალყურს მზადებას გაფრენისათვის. ამ წრეებში აღნიშნავენ, რომ აეროპლანებს, რომელთაც შეუძლია რამდენიმე ათასი კილომეტრის გავლა და სამი დღეღამე ფრენა მიწაზე დაუშვებლად, საარაკო მნიშვნელობა აქვთ ინგლისისათვის, რომლის კოლონიები შორ მანძილზეა გაფანტული.

საფოსტო ავტომატები წერილის მისაღებათ და მარკების გასაყიდათ

ავტომატი დაზღვეული წერილების მისაღებათ გამოიგონა ფ.-ტ. ჩრდილოეთ-კავკასიის ოლქის სამმართველოს მექანიკოსმა ამხ. **პოპოვმა.** ავტომატის დაზღვეული წერილისა და ანაზღაური ჩაშვების შემდეგ, წერილზე ავტომატიურად ისმება დაღი და რიგის ნომერი. ავტომატის მოქმედება მეტად მარტივია. ამ დროს ავტომატიურად ვარდება ქვითარი წერილის მიღების თარიღის აღნიშვნით.

მარკების გამყიდველი ავტომატი გამოიგონა საფოსტო ტეხნიკის ინჟინერმა ამხ. როზანოვმა. ავტომატი არაჩვეულებრივად იაფი ღირს—30 მანეთი რაც შესაძლებლად ხდის მათ შეძენას ყველა საფოსტო დაწესებულებებისათვის.

იმავე ინჟინერმა როზანოვმა გამოიგონა აგრეთვე იაფფასიანი სპეციალური საფოსტო ყუთი, ასეთ ყუთში უშვებენ წერილსა და ორმაურიანს, იმ წუთშივე წერილზე ეკვრება მარკა, თუ წერილი ყუთში უფულოდ ჩააგდეს, მარკა არ ეკვრება და წერილი მიდის ფასდადებით.

ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის სახელოსნოებში მოსკოვში შეუდგენ ყველა ავტომატების მასიურ დამზადებას.

ფიზკულტურა და სპორტი

რკინისგზელები—მელითონეები

კვირას, 9 დეკემბერს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა რკინისგზელების და მელითონეების ფეხბურთელთა გუნდების ამხანაგური შეჯიბრება.

მელითონეების პირველი გუნდი დიდი ხანი არ არის რაც ჩამოყალიბდა. პროფკავშირების პირველობის გათამაშებაში ამ გუნდს მონაწილეობა არ მიუღია. კვირის შეჯიბრება იყო პირველი სერიოზული მატჩი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა აღნიშნული გუნდი. მაგრამ გუნდის სიძლიერის გამოსარკვევად ეს შეჯიბრება არ იძლევა საკმაო მასალას, რადგან გუნდი არ გამოსულა თავისი ძირითადი შემადგენლობით. (შეჯიბრებაში მელითონეების მხრიდან მონაწილეობას იღებდა გემო-კვების მუშაკების გუნდის ოთხი მოთამაშე—მეტიენკო, ვორონოვი, ალმაზოვი და დიაკოვი).

რკინისგზელებსაც აკლდათ რამდენიმე ძირითადი მოთამაშე, რომლებიც შესცვალეს სათადარიგო მოთამაშეებმა. ამ გარემოებამ საგრძნობლად შეასუსტა მათი სიმტკიცე.

თამაშის პირველ განყოფილებაში უპირატესობა მელითონეების მხარეზე იყო. ტაიმი დამთავრდა 1:0 მელითონეთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში რკინისგზელებმა გააძლიერეს თამაში. ისინი ხშირად ქმნიდენ კრიტიკულ მომენტებს „მოპირდაპირის“ კარებთან, მაგრამ ბურთის გატანა მაინც ვერ მოახერხეს, რაც უმთავრესად მელითონეების მეკარის და ცომაის მოხდენილ თამაშს უნდა მიეწეროს.

მელითონეებიც თავის მხრივ დროგამოშვებით ძლიერ შეტევაზე გადადიოდნენ. „ფრონტის“ ერთ-ერთი გარღვევის დროს მათ შესძლეს მეორე გოლის გატანა და შეჯიბრება დაამთავრეს თავის სასარგებლოდ—2:0.

რკინის გზეზე

ორთქლმავლების დაჯახება

8 დეკემბერს სადგ. ბაჩოში მოხდა ორთქლმავლების დაჯახება ერთმანეთზე. დაჯახების დროს დაზიანდა სამი საბარგო ვაგონი.

შემთხვევა სადგ. ხაშურში

სადგ. ხაშურის ერთ-ერთ ისარზე, რომელიც მიდის დეპოში, ერთი ორთქლმავალი დაეჯახა მეორეს გვერდში. დაჯახების გამო ორთქმავალი გადავარდა ლიანდაგიდან. ხაზი დაზიანდა 15 მეტრის სიგრძეზე.

ზამთრის არდადეგებისათვის

მოსწავლეების შეუფერხებლად გადაყვანის მიზნით გზათა სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის რკინის გზების გამგეობას 1929 წლის 1 თებერვლამდე ყველა სახალხო მატარებლებში, გარდა ჩქარისა მოსწავლე ახალგაზრდობისათვის გამოჰყოს თითო ვაგონი;

მოთხოვნილება ვაგონებზე მოსწავლეებმა გზას უნდა წარუდგინონ ორი საათით ადრე მატარებლების წასვლამდი.

ხე-ტყის მასალების საშრობი

ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავლების და ვაგონების შემკეთებელ სახელოსნოებთან შენდება ხე-ტყის მასალების საშრობი განყოფილება. საამშენებლო მუშაობა დამთავრდება ამ დღეებში.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 11 დეკემბერი

დღეს, 11 დეკემბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

გლეხთა რადიო-გაზეთი; სომხური რადიო-გაზეთი; საუბარი—„ქუნთრუშა და მისი საწინააღმდეგო აცრა“; 12 დეკემბრის პროგრამის გადაცემა; ოპერა „პიკის ქალის“ მუსიკალური ახსნა; „პიკის ქალის“ ტრანსლიაცია; ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; ამინდის ბიულეტენი.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

მშენებლობის საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების მიჩენის ვადების შესახებ

სსრკ შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ „1929 წლის საამშენებლო სეზონისათვის მომზადების შესახებ“ 1928 წ. ივლისის 27-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 48 №-რი, მუხ. 433) დადგენილების მეორე მუხლის თანახმად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაევალოს კომუნალურ და საადგილმამულო ორგანოებს გადასწყვიტონ ხოლმე, ორი კვირის განმავლობაში დღიდან სათანადო განცხადების მიღებისა, საკითხი სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა და შერეულ საქციო საზოგადოებათათვის მიწის ნაკვეთების მიჩენის შესახებ მათ მიერ წარმოებული მშენებლობისათვის, იმ პირობით—კი, რომ უკეთუ განცხადება დაკმაყოფილებულ იქნა, ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის მიჩენის შესახებ დაიდოს არა უგვიანეს ერთი თვისა განცხადების შეტანის დღიდან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

სახ. უნივერსიტეტის კომუჯრედის ბიურო აცხადებს, რომ სამშაბათს, 11 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე მოწვეულია სამკურნალო ფაკულტეტის კომუჯრედის და ა. ლ. კომკავშირის უჯრედის გაერთიანებული სხდომა. წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს ამხ. მონიავას, სვანიძეს, კუპრაშვილს სერგო ერქომაიშვილს, დეისაძეს და აკაკი მგელაძეს გამოცხადდენ ბიურო-კოლექტივში დღეს, 11 დეკემბერს, დღის პირველ საათზე.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, 11 დეკემბერს, დღის 12 საათზე მოწვეულია ბიურო-კოლექტივის სხდომა.

წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ლენრაიკომის მუშა და გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყოფილება აცხადებს, რომ დღეს 11 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე რაიკომის შენობაში მოწვეულია ლენრაიონის ქალთა ორგანიზაციების თათბირი.

ოთხშაბათს, 12 დეკემბერს, საღ. 6 საათზე საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის აგიტპროპგანყოფილებაში შესდგება აგიტპროპთა თათბირი, რომელზედაც მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: **სვანიძე** (კომ. პარტიის ც. კ. საორგანიზაციო განყ.), **დელიბაში** (ქალთა განყოფილება), **კანდელაკი დ., ახრიბეკოვი, მიქაძე არ.** (საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილება), **ჩხარტიშვილი** (მთ. პოლიტგან.), **ტონოვი** (ა.-კ. საოლქო კომიტეტი), **ბუჯიაშვილი, ბარნაბიშვილი** (ქ. კ. ც. კ.) **გიორგაძე** (პირველი რაიკომი), **პატარაია** (ქართ. დივ. პოლიტგანყოფილება), **ხნეგიროვი** (ა.-კ. პოლიტსამმართველო) და **გეგენავა** (განათლების მუშაკთა კავშირი).

დღის წესრიგი: ამხ. კორსაველის მოხსენება სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის აგიტპროპ მუშაობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცაკისა და სახკომსაბჭოს საფინანსო განყოფილება ამით აცხადებს, რომ ა. წ. 10 დეკემბერს გარდაიცვალა დაუვიწყარი თანამშრომელი და ამხ.

ალექსანდრე სარდიონის-ძე ანთაძე

სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია რესპუბლიკის მე-2 საავადმყოფოში საღამოს 5 საათზე. გამოსვენება ქალაქის მე-2 საავადმყოფოდან ა. წ. დეკემბრის 12-ს დღის 4 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. (შ)

მთავრობის დაწესებულებების მ/მოსამსახურეთა გაერთიანებული ადგილკომი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ა. წ. 10 დეკემბერს გარდაიცვალა დაუვიწყარი თანამშრომელი და ამხანაგი

ალექსანდრე სარდიონის-ძე ანთაძე

სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია რესპუბლიკის მე-2 საავადმყოფოში 11 დეკემბერს საღამოს 5 საათზე დაკრძალვა მოხდება ვერის ახალ სასაფლაოზე ა. წ. 12 დეკემბერს. გამოსვენება სრულ 4 საათზე რესპუბლიკის მე 2 საავადმყოფოდან. (შ)

მამა სარდიონ, ცოლი მელანია, ძმა პეტრე და შვილი ეთერი ანთაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელ

ალექსანდრე სარდიონის-ძე ანთაძის

უდროოთ გარდაცვალებას დაკრძალვა 12 დეკემბერს ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება ყ. ალექსანდრეს საავადმყოფოდან 4 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 5 საათზე. იქვე (შ)

ღრმად დამწუხრებულნი ნიკოლოზ და ვერა კოპულაშვილნი აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს, რომ 10 დეკემბერს გარდაიცვალა პირველის ცოლისძმა და მეორის ძმა

ალექსანდრე სარდიონის-ძე ანთაძე

(შ)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე თამარა, ძმა კოსტა, რძლები: ანა და კატო, ძმისწულები: იოსები, ანდრო ლიდა და მაგლონია სტეფანიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ უეცრათ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ქიშვარდი დავითის-ძე სტეფანია

დაკრძალვა ნაგომარში (გურია), 11 დეკემბერს. 5198

დედა მატა, ძმა გიორგი, რძალი ალექსანდრა და ძმისწული ზურაბი ახვლედიანები და დისწულები ივანე, ალექსანდრე და გიორგი ძაძამიძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს საყვარელი

გაგილინა კონსტანტინეს ას. ახვლედიანი-შავდიას

გარდაცვალებას დაკრძალვა სოფ. ნალეფსაოში (სამეგრელო) ა. წ. 13 დეკემბერს. ნ. 1967

ღრმად დამწუხრებული მეუღლე იასონ კონსტანტინეს ძე შვილი—გივი, დედა ქეთევან, ძმისწულნი: დიომიდე და ზინოვა ფოჩხუები, დები: ქრისტინე ეფროსინე და მარინე, სიძეები: სტეფანე ცანავა მიტროფანე კეკელია და ალექსანდრე ქემერტელიძე თავიანთი შვილებით აუწყებენ ნათესავ ნაცნობ მეგობრებს, რომ ა. წ. 9 დეკემბერს ქალაქის 1-ლ საავადმყოფოში მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი

ცირუ (ანასტასია) გრიგოლის ას. შავდია-ფოჩხუასი

რომლის დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 13 დეკემბერს ქალ. თბილისში ავლაბრის სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარი ბინიდან (კომუნალური ქ. უსახელო შეს. № 1) ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე. (ი)

დამწუხრებულნი მამა გრიგოლი, დები: კლეოპატრა და ლიდა, რძალი ნატალო და ძმა მამია შავდიები აუწყებენ ნათესავ და ნაცნობ მეგობრებს, რომ ა. წ. 9 დეკემბერს მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი და მუდამ ჟამს დაუვიწყარი

ანასტასია (ცირუ) გრიგოლის ას. შავდია-ფოჩხუასი

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 13 დეკემბერს, ქ. თბილისში ავლაბრის სასაფლაოზე გამოსვენება საკუთარ ბინიდან (კომუნალური ქ. უსახელო შესახ. № 1) ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე. (ი)

კომუნისტი

დიდი პოლიტიკური გაზეთი

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის და სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო.

მიიღება ხელისმოწერა 1929 წლისათვის

გაზეთის წლიურ ხელისმომწერთ 1929 წელს დაურიგდება

კ. მარქსის „კაპიტალი“ ქართულ ენაზე

ტომი I-ლი, ათას გვერდამდე ყდაში, სახელგამის გამოცემა

თარგმნილი გერმანულიდან ქართულად—დ. ე. ონიაშვილის მიერ.

ქართული თარგმანის პასუხისმგებელი რედაქტორი—სახ. უნივერსიტეტის რექტორი გ. ტოროშელიძე.

გაზეთი წლიურად „კაპიტალი“-ს დამატებით ღირება:

შეღავათიან ხელისმომწერთათვის 15 მ. 50 კ.

დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კერძო პირებისათვის 19 მან.

დაწესებულებანი და კერძო პირები 19 მანეთს იხდიან ერთდროულად, ხელისმოწერისთანავე.—

შეღავათიან ხელისმომწერლებს შეუძლიათ ნაწილ-ნაწილ შემოიტანონ ხვედრი (15 მ. 50 კაპ.) ფული შემდეგ ვადებში: ორი მანეთი 10 იანვრამდე, დანარჩენი კი გადაიხადონ თვიურად მანეთნახევარი, თებერვლიდან დაწყებული.

ხელისმოწერა მიიღება ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებში, რკინისგზის კიოსკებში, „კომუნისტი“-ს გამომცემლობის კონტრაგენტებთან და **გამომცემლობის მთავარ კანტორაში** რუსთაველის პრ. № 34.

ჟურნალი „დროშა“

„კომუნისტი“-ს გამომცემლობა იწყებს 1929 წლიდან დასურათებული ორკვირეული ჟურნალის გამოცემას

I-ლი №-რი გამოვა იანვრის შუა რიცხვებში

მიიღება ხელისმოწერა 3 თვით და ნახევარი წლით 3 თვით ჟურნალი ღირება 85 კ. ნახევარი წლით 1 მ. 70 კ. ცალკე №-ი 15 კაპ.

გამომცემლობა იტოვებს უფლებას შესცვალოს „დროშა“-ზე ხელისმოწერის პირობები, როდესაც ჟურნალი ყოველ კვირეულად გამოვა

„კომუნისტზე“ ხელისმოწერის პირობები

დამატების გარეშე გაზეთი ღირება

მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის				დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის			
1 თვით	1 მ. — კ.	7 თვით	6 მ. 70 კ.	1 თვით	1 მ. 30 კ.	7 თვით	8 მ. 80 კ.
2 „	2 მ. — კ.	8 „	7 მ. 65 კ.	2 „	2 მ. 60 კ.	8 „	10 მ. — კ.
3 „	2 მ. 90 კ.	9 „	8 მ. 60 კ.	3 „	3 მ. 80 კ.	9 „	11 მ. 30 კ.
4 „	3 მ. 85 კ.	10 „	9 მ. 55 კ.	4 „	5 მ. — კ.	10 „	12 მ. 60 კ.
5 „	4 მ. 80 კ.	11 „	10 მ. 50 კ.	5 „	6 მ. 25 კ.	11 „	13 მ. [illegible]0 კ.
6 „	5 მ. 75 კ.	ერთი წლით	11 მ. 50 კ.	6 „	7 მ. 55 კ.	ერთი წლით	15 მ. — კ.

ხელისმოწერა მიიღება

ქუთაისში — „კომუნისტი“-ს განყოფილება.
[illegible] — კონტრაგენტ [illegible]თან
ახალსენაკში — კონტრაგენტ [illegible]თან
[illegible] — კონტრაგენტ გოგიტიასთან
ჭიათურაში — კონტრაგენტ ჯალაღანიასთან
ყვირილაში — კონტრაგენტ ისხომელიძესთან
[illegible] — კონტრაგენტ ისხომელიძესთან
[illegible] — კონტრაგენტ კობახიძესთან
ბორჯომში — კონტრაგენტ კობახიძესთან
ფოთში — კონტრაგენტ ლორიასთან
ხონში — კონტრაგენტ გენძეხაძესთან
თელავში — კონტრაგენტ რევაზოვთან
ცხინვალში — კონტრაგენტ ტარალოვთან
გორში — კონტრაგენტ მაისურაძესთან
გურჯაანში — წიგნის მაღაზიაში
სიღნაღში — კონტრაგენტ მდივანოვთან
აბაშაში — კონტრაგენტ მიქაძესთან
ლანჩხუთში — კონტრაგენტ ღლონტთან
ბათუმში — ფ/ტ. კანტორაში
ხაშურში — კონტრაგენტ ლორთქიფანიძესთან
ბაღდადში — კონტრაგენტ აბულაძესთან
ონში — კონტრაგენტ ბერიშვილთან
ჭრებალოში — კონტრაგენტ ცხვედიანთან

გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობის მთავარი კანტორა თბილისი—რუსთაველის, პრ. № 34.



1. **ანრი ბარბიუსი** — მოუდრეკელნი (თარგმ. გ. ქიქოძის ფასი 15 კაპ.
2. **გრ. ვეშაპელი**—ახალი საქართველო ფასი 1 მან.
3. **„დელო ო. მ. გორკომ“** (თბ. ჟანდარმთა სამართვ. მასალებიდან) ფასი. 50 კაპ.
4. **ი. ნაკაშიძე**—როგორ გაიცანი ლეონ ტოლსტოი ფასი 30 კაპ.
5. მასწავლებელი და თვით-განვითარება (მეთოდიური წერილების კრებული) ფ. 90 კ.

ნ. 1953 5—4

სახელმწ. აკადემიური ოპერა

(1928—29 წლის სეზონი)

დღეს, 11 დეკემბერს მე-7 აბონემენტი მე-3 წარმოდგენა ქ. გ. დერჟინსკაიას მონაწილეობით **პიკის ქალი**

12 დეკემბერს მე 8 აბონემენტის მესამე წარმოდგენა **აბესალომ და ეთერი**

აბესალომი—**ნ. გ. ქუმსიაშვილი** მურმანი—**სანდრო ინაშვილი**

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 საათ. დაწვრილებით აფიშებში. ბილეთები იყიდება

2—1 ნ. 1962

ცირკი კოლოსი

ტელეფ. № 8—64

დღეს,

დედა-ქალაქების ცირკების პროგრამა ევროპის ცირკების მასშტაბის სანახაობათა 1-ლი ციკლი

3 განყოფილებით

4 ეშმაკი კონვალდი, ლეომარო მარგულო, ტამარინი და სხვა ნომრები

ანონსი! მალე?! თვალყური ადევნეთ!

დირ. ი. ზ. კუჭრიაშვ 30, გამგე მ. ი. ტადე

←1 ნ. 1963

რუსთაველის თეატრი

სამშაბათს 11 დეკემბერს ხოზიკახი

„ხოჭოების დოლი“ კომ. 3 მოქ.

დადგმა **ალ. ახმეტელის.** მხატვარი **ირ. გამრეკელი**

დასაწყისი სრულ 8 საათზე

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში და პროფსაბჭოს კულტგანყოფილების მუშათა ზოლის ბიუროში მუშათა სასახლე ოთახი № 1

2—1 ნ. 1957

სახკინმრეწვის კინოები

ანთიადი	**თავზე ხელაღებული** 1 და 2 სერიები ერთად
არფასტო სოლეი აპოლო	გრანდიოზულად დადგმული ფილმი **კაპიტანის ქალიშვილი** (КАПИТАНСКАЯ ДОЧКА) რეჟ სორი ი. ტარიჩი
[illegible]	სეზონის საუკეთესო კომედია **წარჩინებული მოგზაურები** პატის და პატაშონის მონაწილეობით
მინიონი	ორიგინალური კომედია **ბედნიერების ნალი** მონტი ბენქსის მონ. წ.
დარბაზი	**თავზე ხელაღებული** უკანასკნელი 5 და 6 სერიები
პროლ.-ტარი ავლაბარი	მხატვრული ბოევიკი **პორტფელის გამტაცებელნი**

1 სეანსის დასაწყისი საღ. 6 საათ. 15 წუთზე. სალარო ღიაა 5 საათ. 20 წუთიდან 0—6

ქ. თბილისის საბ. სასამართლოს აღმასრულებელი პ. ჭეიშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 14 დეკემბერს, 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 7 არსენალის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. პოლოს ოვანეცის მოძრავ ქონებას: ერთი ბუფეტი სარკით, საწერი მაგიდა შავი უჯრიანი, ერთი ხალიჩა ზომით 2/1 ერთი რგვალი საათი კედლის, ერთი საწოლი შავი ფერის (რკინის), ერთი ეტაჟერკა შეფასებულს 235 მანეთად, საიჯარო ამხ. № 23 ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. საბინაო სახალხო სასამართლოსაგან 13 ნოემბერს 1928 წ. თარიღით, № 1891 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 5202

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი დ. აშორდია

ამით აცხადებს, რომ 1928 წ. 21 დეკემბერს 12 საათზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის პარმენ ელიზბარის ძე ამაღლობელის ერთ სართულიან ხის სახლს, შიღებილს კირით, მდებარე ქ. ქუთაისში, ოქტომბრის რევოლიუციის ქუჩაზე; სახლი შეიცავს—4 საცხოვრებელ ოთახს ერთი სამზარეულოთი, ფეხსადგილით, დახურულია ყავრით და შეფასებულია 1500 მან. სახლი იყიდება ალექსანდრე ივანეს ძე საყვარელიძის ვალის დასაკმაყოფილებლათ. ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, უნდა წარმოადგინოს ცნობები 311 და 312 მუხ. ს.ს.ს. კოდ. და საწინდარი 10 პროც. ნ. 1964

ქუთაისის სამაზრო მმაჩ.-ს ბიურო ამით აცხადებს

თანახმად ს.ს. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის 13 მარტის № 12 ცირკულიარისა, რომ ქუთაისის მაზრის გორას თემის სოფ. სალომინაოს მცხოვრებს მოქ. ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე ტოფაძეს თავის გვარი „ტოფაძე“ შეეცვალა გამყრელიძეზე და თუ ვისმეს აქვს ამის საწინააღმდეგო დღიდან გამოცხადებისა ორი თვის განმავლობაში მეუძლია მიმართოს ზემო-აღნიშნულ დაწესებულებას.

ქუთაისის სამაზრო მმაჩის ბიუროს გამგე: ვ. კაჭკაჭაშვილი.

საქ. მწარმოებელი: მ. ბუილიშვილი.

ნ. 1965

ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. №10

კბილის ექიმი დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

ტელ. 10—14 ნ. 6 25 1

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 13 და პარასკევს 14 დეკემბერს დილის 11 საათზე პუშკინის ქ. № 6

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლად. გაიყიდება მოქ. გოლეცბეკის რკინეულობის მაღაზია, ნ. 1466

გამოვიდა

ყოველთვიური სამეცნიერო დ საზოგად. ჟურნალი

„ტროპიკული მედიცინის მოამბე“

წლიური ფასი 10 მან. გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც. მისამართი: თბილისი, კეცხოველის ქ. № 9. „ტროპიკულ მედიცინის მოამბის“ რედაქციის მდივანს ექიმ ბეს. ოქროპირიძეს. 5198 2—1

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.

კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)

მიღება { დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ.

4598 25—1

ექიმი ა. ს. ვადაჭკორია

დაბრუნდა აგარაკიდან და ლებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12—ს—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 3

25—15

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავად.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორნის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 4821 25—1

ექიმი—ვენეროლოგი ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)

საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექიმი ი. ვ. ხანდამოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.

ავადმყოფთა მიღება

დღის 2-დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ძნელაძის ქ. № 35, (ყოფ. მესანგრეთა ქ.), ყოფ. კადეტთა კორპუსის მახლობლად

ექიმი ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ. —12—67. ნ. 3—25

თვალის ექიმი მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო კლ. ცეტკინის ქ. ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი № 5—90.

25—12

ექიმი ი. ვ. ახმეტელი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ.

ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული.

4903 25—1

ექიმი გ. მ. ფხალაძე

მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.

ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილა-საღამოს.

ნ. 8 25—8

ექიმი პ. ი. ჯალალოვი

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა

მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 10—9. ნ. 9. 25—1

ნ. გ. კანტოროვიჩისა

მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25 1

ექ. დ. ლ. თევზაძე

ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმისა და მეტყველებისა.

პლეხანოვის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: დილით 12—1 ნახ. საათამდე საღამოს 7—8 ს. გარდა კვირა დღეებისა. 25—1

კბილის ტექნიკოსთა კურსებზე

შეღავათიან ფასებში სწარმოებს ყოველგვარ ხელოვნურ კბილების ჩასმა და პროტეზების მომზადება.

მიიღება ავადმყოფებს ყოველდღე კვირა უქმის გარდა საღამოს 4—6 საათამდე.

მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126. 25—1

დაკარგვა: მუშ. ოოპის წიგნაკი № 8037 სიმონ ოღიშელის სახელზე, ჩ. გ. 5201

დაკარგვა: კავშირის წიგნაკი № 1824 ინდიკო ჯიშკარიანის სახელზე, ჩ. გ. 5199

დაკარგვა ბანძის 7 წლედიდან მოცემული მოწმობა № 129 კურსის დამთავრების შესახებ და მეტრიკული ამონაწერი № 1012 გრიგოლ მურზას-ძე მიქაძის სახელზე, ჩ. გ. 5200

დაკარგვა: პროფკავშირის წიგნაკი № 38764 გაცემული აფხაზეთის პროფსაბჭოს მიერ და თბ. სახ. უნივერსიტეტის მიერ გაცემული მოწმობა № 77/24 ელენა სამსონის ასულ ლეჟავას სახელზე, ჩ. გ. 5203

დაკარგვა: პირადობის მოწმობა და ოთხი თამასუქი (ვექსილი), ორი თითო 350 მანეთიანი პეპე ნაძის ხელისმოწერით, ერთი თამასუქი 100 მანეთიანი რობაქიძის ხელისმოწერით ერთი 50 მანეთიანი ხვედელიძის ხელისმოწერით და სხვადასხვა ქვითარები, კუთვნილი იონა დ. კირტავასი ჩ. გ. ნ. 1964

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 204.